178/
1987/3

ISSN 0132-5981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60

საბჭოთა სამართალი

178/
1987/3

1987

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი	Главный редактор
ლერი თალაკვაძე	Талаквадзе Л. Г.
სარედაქციო კოლეგია:	Редакционная коллегия:
ლევან ალექსიძე	Алексидзе Л. А.
ანგი არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი)	Арсенашвили А. Г. (научный редактор)
გელა გერძენიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)	Бердзенишвили Г. Д. (ответственный секретарь)
ანზორ გაგიანე	Габиани А. А.
შოთა გორგოძე	Горгодзе Ш. В.
აკაკი კარანაძე	Джорбенадзе С. М.
დურმიშხან ლორია	Каранадзе А. Г.
ვახტანგ რაზმაძე	Лория Д. А.
გრიგოლ როინიშვილი	Размадзе В. А.
თამაზ შავგულიძე	Роинишвили Г. В.
ვიქტორ შარაშენიძე	Чиковани И. П.
ირაკლი ჩიქოვანი	Шавгулидзе Т. Г.
სერგო ჯორგენაძე	Шарашенидзе В. А.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სამართალი

№5

სექტემბერი
ოქტომბერი
1987 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

სსრ კავშირის კონსტიტუციის 10 წლისთავი

საბჭოთა დემოკრატიის დიადი ქარტია 3

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის შესახებ 5

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავამაღლოთ ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა 8

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მუშაობის შესახებ“ 11

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი

ვ. ბენიძე — რესპუბლიკის უშიშროების სადარაჯოზე 13

გარდაქმნა — დროის მოთხოვნა!

გ. შალამბერიძე — საიმედოდ დავიცვათ მოქალაქეთა უფლებები 19

რაიონული გაზეთების ფურცლებზე

ი. ხიონიდი — კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის 22

გარდაქმნას — მაღალი ზნეობა!

ა. გაბიანი — პროსტიტუციის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი 26

კანონის კომენტარი

ჯ. ბაბილაშვილი — სიახლენი ავტოსატრანსპორტო დანაშაულის კანონმდებლობაში 31

საკავშირო პრესის ფურცლებზე

პ. ტრუბნიკოვი, მ. ფედოტოვი — საქმე ღირსების შესახებ 38

ს. ზამოშკინი — კანონმდებლობის პარადოქსები 44

დიდი ილიას საიუბილეოდ

გ. სოსელია — ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები 45

მ. კეკელია — ი. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი შეხედულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი საკითხი 51

შ. მარკოზაშვილი — გლოვობდა საქართველო 57

საზღვარგარეთის კანონმდებლობა

ა. დემეტრაშვილი — ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 200 წლისთავი 60

ინფორმაცია 65

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 69

ლექტორთა დასახმარებლად

არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის 74

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები 76

18856

СОДЕРЖАНИЕ

10-летие Конституции Союза ССР

Великая хартия советской демократии 3

В Президиуме Верховного Совета Союза ССР

О работе органов юстиции по правовому обслуживанию населения . . 5

В Центральном Комитете Компартии Грузии

Повышать правовую культуру молодежи 8

Постановление Президиума Верховного Совета Грузинской ССР «О работе журнала «Сабчота самартали» по пропаганде законодательства и правовому воспитанию» 11

К 70-летию Великого Октября

В. Бенидзе — На страже безопасности республики 13

Перестройка — веление времени!

Г. Шаламберидзе — Надежно защитим права граждан 19

На страницах районных газет

И. Хиониди — За укрепление законности и правопорядка 22

Перестройке — высокую мораль!

А. Габиани — Некоторые результаты конкретно-социологических исследований проституции 26

Комментарий закона

Дж. Бабилашвили — Новое в законодательстве об автотранспортных преступлениях 31

На страницах союзной прессы

П. Трубников, М. Федотов — Дело о чести 38

С. Закошкин — Парадоксы законодательства 44

К юбилею Ильи Чавчавадзе

Г. Соселия — Общественно-политические и правовые взгляды Ильи Чавчавадзе 45

М. Кекелия — Воззрения Ильи Чавчавадзе на некоторые вопросы государственного и обычного права 51

Ш. Маркозашвили — Скорбила Грузия 57

Зарубежное законодательство

А. Деметрашвили — 200-летие Конституции США 60

Информация 65

Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 69

В помощь лектору

Профилактика преступлений несовершеннолетних 74

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 76

© „საბჭოთა სამართალი“, 1987 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, პლეხანოვის ქ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 9.09.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.87 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. 2159 ტირაჟი 35 400 უე 04878

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 10 წლისთავი

საბჭოთა დემოკრატიის დიადი ქარტია

ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მოქმედებს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. იგი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნების ამსახველი დიადი დოკუმენტი, სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

წელს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლის საიუბილეო, დიდმნიშვნელოვან თარიღს.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საფეხურებს შეესაბამება საბჭოთა კონსტიტუციის განვითარებაც. აქედან წარმოსდგა ისტორიულად სსრ კავშირის 1924 წლის 31 იანვრის, სსრ კავშირის 1936 წლის 5 დეკემბრის და 1977 წლის 7 ოქტომბრის კონსტიტუციები.

თითოეულ მათგანს თავისი მისია აქვს შესრულებული. დღეს მოქმედი კონსტიტუცია კი საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს კონსტიტუციაა, რომლის უზენაესი მიზანია ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება. ამიტომ არის კონსტიტუციაშივე ფიქსირებული, რომ სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანებია: შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულყოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და გარდაქმნას ისინი კომუნისტურ ურთიერთობებად, აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების ადამიანი. ამასთან, აუცილებელია აამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროება, ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის სრულყოფა — კომუნიზმის მშენებლობაა. ამუამად მთელ მსოფლიოში სსრ კავშირის კონსტიტუცია ერთადერთია, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიზმის აშენებას.

სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა კონსტიტუციები (ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის და ა. შ.) მიზნად ისახავენ განვითარებული სოციალიზმის აგებას. როგორც ცნობილია, „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე". ეს ეტაპი კომუნიზმის მშენებელმა ყველა სახელმწიფომ უნდა გაიაროს.

კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა განხორციელება მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს მოვალეობა როდია. ამასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც საბჭოთა საზოგადოების, მისი პოლიტიკური სისტემის ანუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. ყოველივე ეს კი დაკანონებულია საბჭოთა კონსტიტუციით (მუხ. 6).

კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი მიმართულებანი და მათი ხორცშესხმის გზები პარტიამ დასახა თავის XXVII ყრილობაზე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე.

სამეურნეო და სხვა სფეროების გარდაქმნა, დაჩქარების ტემპი, ახლებურად, პროგრესულად აზროვნება, ყოველი მოქალაქის გააქტიურება — ასეთია დროის მოთხოვნა.

როცა სსრ კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიამ კონსტიტუცია დაამტკიცა. დამტკიცების დღე — 7 ოქტომბერი გამოცხადდა კონსტიტუციის დღედ. ამ საზეიმო დღეს კიდევ ერთხელ ჯამდება თუ როგორ სრულდება კონსტიტუციური ნორმები, სოციალისტური კანონიერება.

ამ მიზნით ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები უნდა სრულყოფდნენ კანონმდებლობას, აკონტროლებდნენ, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი კანონები, რა რეალურ უკუგებას იძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევა თითოეული სახელმწიფო ორგანოს და ხელმძღვანელის მუშაობა.

როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა „დემოკრატია იყო და კვლავ იქნება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, ხოლო მტკიცე კანონიერება — ჩვენი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი".

პარტია მოითხოვს, რათა გავაუმჯობესოთ საბჭოთა კანონიერების ხარისხი, ავამაღლოთ სოციალისტური სამართლის ცალკეული დარგების როლი ქვეყნის გარდაქმნის საქმეში. იქვე, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ „ჩვენმა კანონმდებლობამ — სამოქალაქო და შრომითმა, საფინანსო და ადმინისტრაციულმა, სამეურნეო და სისხლის სამართლის კანონმდებლობამ — კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითს კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას".

სსრ კავშირის კონსტიტუციაში ბევრია ისეთი მუხლი, რომელიც დამატებით საკანონმდებლო აქტის მიღებას მოითხოვს. ასეთი აქტები მივიღეთ კიდეც. მაგალითად: „კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ", „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი", „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები", „კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ", კანონები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის, სსრ კავშირის ადვოკატურის, სახელმწიფო ნოტარიატის, სახალხო კონტროლის შესახებ და ა. შ. მსგავსი აქტების მიღების აუცილებლობაზე ყურადღება სკკპ XXVII ყრილობაზეც იქნა გამახვილებული. მ. ს. გორბაჩოვმა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში აღნიშნა, რომ „უნდა უახლოეს დროში დავამთავროთ მომზადება კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონისა იმ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის უფლებებს". ასეთი კანონი დღეისათვის უკვე მიღებულია. იგი დაამტკიცა სსრ კავშირის მეთორმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ 1987 წლის 30 ივნისს, ხოლო ძალაში შევა 1988 წლის 1 იანვრიდან.

ამავე სესიამ მიიღო კანონი „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ", მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს მიღებული კანონი სსრ კავშირში რეფერენდუმის ანუ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის წესის შესახებ, რაც ალბათ უახლოეს პერიოდში გადაწყდება.

სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში პარტია თანამიმდევრობით იცავს კონსტიტუციურ მოთხოვნებს. უახლოესი სპეციალური აქტი ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 1986 წლის ნოემბერის ბოლოს — „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ".

დადგენილებაში მითითებულია, რომ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ეფექტიანი და სრულად არ შეესაბამება დროის, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს.

პარტია მოითხოვს, რათა კანონიერების დარღვევის ყოველი შემთხვევა, ვინც არ უნდა დაუშვას იგი, პრინციპულად, მწვავედ შეფასდეს და დაიგმოს, ხოლო ამაში ბრალეული პირები მთელი სიმკაცრით დაისაჯონ.

საბჭოთა კავშირის მოქმედ კონსტიტუციაში პირველად არის შეტანილი ცალკე თავი საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის დაცვის შესახებ. აქ გათვალისწინებულია საგარეო სამშვიდობო პოლიტიკის დაცვისათვის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები, რაც მათი თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის დაცვაზე მიუთითებს.

პარტია გვასწავლის, რომ მშვიდობის დაცვა ყოველი ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფაა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეათე საიუბილეო წელი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ამ ძირითადი კანონის რეალიზაცია განუხრელად მიმდინარეობს, რომ ამ დიადი ქარტიით დასახული ამოცანები აუცილებლად შესრულდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოების არსით რევოლუციური გარდაქმნის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მითითებათა რეალიზაციამ ბევრად მოითხოვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განახლება, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველმხრივი განმტკიცება, პიროვნების უფლებათა დაცვის გაძლიერება. ეს წინა პლანზე აყენებს იმის საჭიროებას, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურება, გააქტიურდეს კანონმდებლობის პროპაგანდისა და კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდისათვის მუშაობა.

მოქალაქეთა სამართლებრივ უზრუნველყოფაში დიდია სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სასამართლოების, ადვოკატურის, სანოტარო ორგანოების, იუსტიციის სხვა დაწესებულებების როლი. თავისი უფლებების რეალიზაციაში მათი მომსახურებით სარგებლობს ათმილიონობით ადამიანი. მტკიცდება მოქალაქეთა უფლებებისა და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევის გარანტიები. გამოვიდა სსრ კავშირის კანონთა წიგნი. მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს შრომის, საბინაო, კანონმდებლობის სხვა დარგების სრულყოფისათვის.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის, თანამედროვე ეტაპზე დემოკრატიის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და მისი საქვეუწყებო ორგანოები სუსტად მუშაობენ იმ საკითხებზე, რომ დროული დახმარება გაუწიონ მოქალაქეებს მათი შრომის ,საბინაო და სხვა უფლებების რეალიზაციაში, წარმოქმნილი დავის კვალიფიციურ გადაწყვეტაში, დაცვის კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფაში. სათანადო მომთხოვნელობას არ უყენებენ იუსტიციის ორგანოთა ხელმძღვანელებს საქმის ფაქტობრივი ვითარებისა და მომწიფებული საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტისადმი.

ნელა გარდაიქმნება მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის სასამართლოების მუშაობა, რასაც მოწმობს მრავალი წერილი და საჩივარი, რომელთა რიცხვი იზრდება. მარტო სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს აპარატი ყოველწლიურად განიხილავს 25 ათასზე მეტ ასეთ მიმართვას, რომელთა ნახევარზე მეტი ეხება სასამართლოთა გადაწყვეტილებების შეუსრულებლობას, გაჭიანურებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო. ბევრ საყვედურს გამოთქვამს მოსახლეობა სასამართლოების მუშაობის ცუდი ორგანიზაციის გამო. გავრცელებულია სასამართლოთა სხდომების დაუსაბუთებლად გადატანის პრაქტიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მოქალაქენი უკმაყოფილონი არიან იურიდიული კონსულტაციების სამართლებრივი დახმარებით. ზოგიერთი ადვოკატი არასათანადო კვალიფიკაციის გამო ვერ

უწევს რეალურ დახმარებას, სხვადასხვა საბაბით თავს არიდებს მოქალაქეთა უფლებების დაცვის მოვალეობათა შესრულებას. ნორმალურად ვერ ჩაითვლება ისიც, რომ ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში საერთოდ არ არის იურიდიული კონსულტაციები.

სამინისტროსა და მისი ორგანოების მეტ ყურადღებას მოითხოვს სანოტარო კანტორებისა და მმაჩის ორგანოების მუშაობა. მათ საქმიანობას აგრეთვე აკლია ორგანიზებულობა და კულტურა, ვლინდება ფორმალიზმი და უსულგულო დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი. ბევრი სხვადასხვა დარღვევა და შეცდომაა დაბადების, ქორწინების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების რეგისტრაციის დროს.

ყოველთვის როდი იცავენ იუსტიციის დაწესებულებანი მუშაობის დადგენილ რეჟიმს, რის გამოც მოქალაქენი დიდხანს ელიან მოსამართლეებთან, ადვოკატებთან, ნოტარიუსებთან მიღებას. კურგანის მმაჩის საქალაქო განყოფილებაში, მაგალითად, ქორწინების სარეგისტრაციოდ დოკუმენტებს იღებდნენ მხოლოდ კვირაში ორჯერ, რაც ქმნიდა რიგებსა და მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

მოქალაქეთა სამართლებრივ მომსახურებაში არსებითი ნაკლოვანებანი მოწმობს, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მისი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები საკანონმდებლო მომთხოვნელობას არ იჩენენ კადრებისადმი, სუსტად ზრდიან მათ პრინციპულობისა და პატიოსნების სულისკვეთებით, მტკიცედ არ იბრძვიან მოვალეობათა შესრულებისადმი ზოგიერთი მუშაკის ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ. ზოგჯერ პასუხსაგებ თანამდებობებზე ხვდებიან არაკომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, აქვთ გამოძალვის მიდრეკილება.

მოქალაქეთა თხოვნისა და მოთხოვნილებათა სათანადო გადაწყვეტაში სერიოზული დაბრკოლებაა ის, რომ იუსტიციის ბევრი დაწესებულება მოთავსებულია გამოუსადეგარ შენობებში, არა აქვს ელემენტარული პირობები მოქალაქეთა მიღებისათვის. ამ მხრივ არახელსაყრელი ვითარებაა უკრაინის მთელ რიგ ოლქებში, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში, ზღვისპირეთის მხარეში, კოსტრომისა და ჩიტის ოლქებში. მაგრამ იუსტიციის ორგანოები არ იჩენენ სათანადო ზრუნვასა და სიმტკიცეს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, სასამართლოებისა და იუსტიციის დაწესებულებების თანამედროვე ორგტექნიკით უზრუნველყოფაში.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად წინადადება მიეცა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას, აგრეთვე კვალიფიციური კადრებით ამ ორგანოების განმტკიცებას. განუხრელად გააძლიეროს ამ ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ყველა სასამართლოს, ადვოკატთა კოლეგიების, სანოტარო კანტორების, მმაჩის ორგანოების მუშაობაში სიზუსტის, კულტურისა და საქმიანობის ორგანიზაციისათვის. უნდა აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოთა ადამიანების შრომის, სადინარ, ქონებრივი და პირადი უფლებების დაცვისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობაში, უზრუნველყოს, რომ ყველგან ხელმისაწვდომი იყოს იუსტიციის ორგანოები და დაწესებულებანი მშრომელებისათვის, განავითაროს მუშაობის დემოკრატიული პრინციპები, დანერგოს ახალი, მოქალაქეთათვის მოხერხებული სამართლებრივი დახმარების სახეობანი და ფორმები უშუალოდ საწარმოებში და საცხოვრებელ ადგილას.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიუთითეს, რომ საჭიროა გააძლიეროს სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობა სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმას, რომ მათ მიერ გამოცემული საუწყებო ნორმატიული აქტები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო გავლენას ვერ ახდენენ მოქალაქეთა სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობაზე, იშვიათად ისმენენ ამ ორგანოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ მუშაობის სათანადო პირობები შეუქმნან სასამართლოებს, იურიდიულ კონსულტაციებს, სანოტარო კანტორებს, მმაჩის ორგანოებს. არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი საბჭოების ცალკეული აღმასრულებელი კომიტეტები თავად უშვებენ გადახრებს კანონებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ ადგილებში ცუდად არის მოწყობილი ახალი საკანონმდებლო აქტების ახსნა-განმარტება, საქმარისი არ არის კანონთა ტექსტები და იურიდიული ლიტერატურა. იუსტიციის ორგანოებს სათანადო კონტაქტები არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ყოველივე ეს მოქალაქეებს უძნელებს დროულად და სწორად გადაწყვიტონ ადგილებზე წარმოქმნილი საკითხები, მიიღონ მათ გამო კვალიფიციური ახსნა-განმარტებანი.

სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი საბჭო სათანადოდ არ წარმართავს იუსტიციის დაწესებულებათა მუშაობას მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის და მათ ურთიერთმოქმედებას სხვა სამართალდაცვით ორგანოებთან, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და სამართლებრივ ინსპექციებთან. ამ მიზნით მეტად სუსტად იყენებენ იურიდიული საშსახურის შესაძლებლობებს სახალხო მეურნეობებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ ეფექტიანად საქმიანობდეს ახლად არჩეული სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყველა რგოლი მოქალაქეთა უფლებების საიმედო დაცვისათვის, ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის, გაზარდონ კადრების მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა კანონმდებლობის განუხრელი შესრულებისათვის, განამტკიცონ მათი კავშირი შრომითს კოლექტივებთან და მოსახლეობასთან. ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის პირობებში უნდა გავზარდოთ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იურიდიული საშსახურის როლი და პასუხისმგებლობა მუშათა და მოსამსახურეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში.

სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით დაევალა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი კანონთა ტექსტების, კოდექსებისა და მათი კომენტარების, აგრეთვე ნორმატიულ-საცნობარო და სამეცნიერო-პოპულარული იურიდიული ლიტერატურის გამოშვების გადიდებისათვის.

გაზეთ „იზვესტია სოვეტოვ ნაროდნიხ დეპუტატოვ სსსრ“, ჟურნალ „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვ“ რედაქციებმა რეგულარულად გამოაქვეყნონ სტატიები და კონსულტაციები, რომლებიც განმარტავენ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და მოვალეობებს, პროპაგანდა გაუწიონ მოსახლეობისადმი სამართლებრივი დახმარების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

აუცილებელია ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში შეინიშნება გარკვეული დადებითი ძვრები ახალგაზრდობის სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბების, ნაკლოვანებებისა და სამართალდარღვევებისადმი შეურიგებლობის განვითარების საქმეში. უმჯობესდება გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის პრაქტიკა, სამართლებრივი განათლების სისტემა. იზრდება ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაში იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა როლი. ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლებისა და განათლების გაძლიერება ბევრად უწყობს ხელს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში, წარმოებისა და სასწავლო კოლექტივის მართვაში ახალგაზრდობის თვითმმართველობის ფორმების განვითარებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ გაორკეცდა გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს ახალგაზრდულ რედაქციებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყღერადობის წერილების ხვედრითი წილი. იზრდება ახალგაზრდობის როლი სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებისა და ყველგან დამკვიდრების საქმეში.

ამავე დროს რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანოებმა, იდეოლოგიურმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ მიაღწიეს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ახალგაზრდობასთან სამართლებრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, ამ საფუძველზე ახალგაზრდების დიდი მოქალაქეობრივი აქტიურობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას, მასობრივი სამართლებრივი კულტურის ამაღლებას. კომკავშირული ორგანიზაციების, განათლების, პროფტექნიკური განათლების, უმაღლესი სკოლის ორგანოების ყოველდღიურ პრაქტიკაში ადმინისტრირება ხშირად სჭარბობს აღმზრდელობითს ღონისძიებებს, შეინიშნება სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარკვეული სესხება.

ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს განათლების დაწესებულებების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა. მათს ურთიერთობაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ახალგაზრდების სამართლებრივ საქმიანობას, მოქალაქეობრივი პოზიტიური ასპექტების განვითარებას. დაბალია ამ საქმეში რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი პროპაგანდის საუწყებათშორისო საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს როლი, რომლის მუშაობას უწყებრივი მიმართულება მიეცა.

სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით არასრულწლოვანებს, რეალურად ვერ წარმოუდგენიათ კანონის სოციალური როლი, სამართალი მიაჩნიათ ფორმალური აკრძალვებისა და შეზღუდვების სისტემად. ამით, კერძოდ, აიხსნება ის, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის ვერ ავლენს სამართლებრივ აქტიურობასა და კულტურას საზოგადოებაში თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობების, სოციალური ფუნქციების შესრულებაში, ხელს არ უწყობს დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცებას. დიდია იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, აქვთ წუნი მუშაობაში, არღვევენ შრომის დისციპლინას. ამ ბოლო დროს გაიზარდა რიცხვი სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისა, რომლებმაც ჩაშალეს მეცადინეობა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისა, რომლებმაც გაკვეთილები გააცდინეს არასაპატიო მიზეზით, მიიღეს „არადამაკმაყოფილებელი" შეფასება და ა. შ.

უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სუსტად ვითარდება ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლებისა და განათლების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდიკური ბაზა. შეინიშნება სახელმძღვანელოების, მეთოდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური მასალების, იურიდიული ლიტერატურის, სამართლებრივი სწავლების თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა. სრულყოფილი არ არის სამართლის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები საკმაოდ ეფექტურად არ წარმართავენ და აკოორდინირებენ ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, განათლების, დაწესებულებების, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას იმ საქმეში, რომ უზრუნველყონ სამართალმზრდელობითი პროცესის კომპლექსურობა, მიაღწიონ სამართლებრივი სწავლების, სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი საქმიანობის კულტურის განუხრელ კავშირს.

საბჭოთა პროფკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს სოციალისტური თვითმმართველობის განვითარებაში. რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში სერიოზული ხარვეზების, საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომის გამო დამახასიათებელი ფუნქციები დაკარგეს საზოგადოებრივმა იურიდიულმა კონსულტაციებმა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ოპერატიული კომკავშირული რაზმების შტაბებმა, ამხანაგური სასამართლოების, მუშათა (სტუდენტთა) ღირსების სასამართლოებისადმი სამართლებრივი დახმარების საბჭოებმა, მართლწესრიგის დაცვის საყრდენმა პუნქტებმა.

კომკავშირული ორგანიზაციები, ახალგაზრდობის თვითმმართველობის ორგანოები ჯერ კიდევ საკმარისად ჯერ იყენებენ საბჭოთა კანონმდებლობითა და საკავშირო ალკკ წესდებით მინიჭებულ ფართო უფლებებს წარმოების მართვის, ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნის საქმეში. დაბალი სამართლებრივი კულტურის, ბევრ შემთხვევაში კი მინიჭებული უფლებების განხორციელებისადმი ფორმალური დამოკიდებულების შედეგად იზრდება იმ ქალიშვილთა და ჭაბუკთა რიცხვი, რომელთა მიმართ ხორციელდება ზემოქმედების ორგანიზაციული ან სამართლებრივი ღონისძიებანი. შესუსტებულია მოზარდთა და ახალგაზრდობის ხელახალ სამართლებრივ ორიენტაციაში კომკავშირული აქტივის, პედაგოგიური კოლექტივების, შეფებისა და საზოგადოებრივი აღმზრდელების როლი.

რესპუბლიკის პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ მიაღწიეს გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურებას, გადამცდარი ახალგაზრდების აღზრდის საქმეში მინიჭებული უფლებების სრულ გამოყენებას. გამოსწორების გზაზე დამდგარი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი მოწყვეტილი რჩება შრომითი, სასწავლო კოლექტივებისაგან და ექცევა დამნაშავე ელემენტების, ნარკომანების, ლოთების, მუქთახორების, მეძავების გავლენაში. ამის შედეგად იზრდება განმეორებითი და რეციდივული დამნაშავეობის, ნარკომანიის, მუქთახორობის, პროსტიტუციისა და სხვა ფაქტების რიცხვი. ნარკომანებისა და მომხმარებლების რიცხვის ზრდასთან ერთად მატულობს ახალგაზრდათა ხვედრითი წილიც ნარკოტიკულ საშუალებათა დამამზადებელ-გამსაღებელთა შორის. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ახალგაზრდობაში ვენერიულ დაავადებათა ზრდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა საზოგადოება „ცოდნამ" და შემოქმედებითმა კავშირებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ქალიშვილებისა და ჭაბუკების იდეურ-ზნეობრივი აღზრდის, ახალგაზრდულ გარემოში სოციალისტური ცხოვრების წესის ყველგან დამკვიდრების ამოცანებისადმი. დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მუშაობა, რომელიც წარმოებს ინდივიდუალური შრომის ფორმების გაფართოებისათვის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, იმისათვის, რომ ახალგაზრდობას განუვითარდეს შეურიგებლობა ნაკლოვანებებისა და სამართალდარღვევებისადმი. ნივთმონობა, სხვისი მოიმედეობის განწყობილება, ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაბალი კულტურა, სოციალური ორიენტაციები, რომლებიც კანონის ფარგლებში ვერ ეტევა, ბევრ შემთხვევაში ახალგაზრდებსა და მოზარდებში დამნაშავეობის გავრცელების ძირითადი მიზეზი ხდება. წუხილს იწვევს ის, რომ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს სწორად არ ესმის თავისი კონსტიტუციური უფლება-მოვალეობები. დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოების მიმდინარე პროცესებმა გამოავლინა ახალგაზრდობის ერთი ნაწილის პოლიტიკური და ზნეობრივ-სამართლებრივი მოუმზადებლობა, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის სხვადასხვა ჯურის დემაგოგთა და დეზინფორმატორთა მოქმედებას, რომლებიც გარდაქმნის იდეებს იყენებენ პირადი ანგარებით, ზოგჯერ კი პროვოკაციული მიზნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ კანონისადმი, საზოგადოების ნორმატიული მოთხოვნებისადმი პატივისცემა არ ეამხდარა თიოოეული ახალგაზრდის შინაგანი მოთხოვნილება, კვლავ დაბალია ახალგაზრდობაში საზოგადო, ზნეობრივი სამართლებრივი კულტურის დონე. მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა მძღოლების წილად მოდის რესპუბლიკაში მომხდარი ყველა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის 41-48 პროცენტი.

სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები ახასიათებს საოჯახო-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის სფეროში ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის მუშაობას. ბევრია ქალების მოტაცების, გაუპატიურების, მოსწავლეთა შორის ქორწინების შემთხვევა, იზრდება ოჯახიდან თვითნებურად წასულ არასრულწლოვანთა რიცხვი. არის ფაქტები, როცა ახალგაზრდობა, არასრულწლოვანები და ბავშვები მონაწილეობენ რელიგიურ-საკულტო რიტუალებში, რომელთაც თან სდევს ლოთობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენები.

ამავე დროს, რესპუბლიკის ყველა რეგიონში როდი ეწევიან მუშაობას იმისათვის, რომ შექმნან სპორტში, ფიზიკურ კულტურაში, ტურიზმში ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმის პირობები. უმარტივეს სპორტულ ნაგებობებზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ნხოლოდ 45 პროცენტით კმაყოფილდება. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სპორტსმენთა ზნეობრივ-სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. შეშფოთებას იწვევს მთელ რიგ სპორტულ კოლექტივებში არაჯანსაღი ცხოვრების წესის გამოვლინებანი. ხშირია ჭაბუკთა შეჯიბრებებზე, რესპუბლიკურ, ზოგჯერ კი საკავშირო პირველობებზე ხულიგნური ქცევის შემთხვევები.

დადგენილებით საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაეევალათ გააძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფის, ახალგაზრდობის სამართალშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების საქმეში. მათ უნდა შეისწავლონ და განიხილონ ადგილებზე ამ საკითხის მდგომარეობა, შექმნან ახალგაზრდობის სამართლებრივი მომზადებისა და აღზრდის შესაბამისი სისტემა, ამასთან გაითვალისწინონ სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებაში მათ მიერ სოციალური ფუნქციების განხორციელებასთან. მიზანშეწონილად ცნეს, რომ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭოები ფუნქციონირებდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივნების ხელმძღვანელობით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ შეუწყნარებელია რესპუბლიკის ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის აქტუალური პრობლემების ჯეროვანი შეუფასებლობა. ამ მიმართულებით მუშაობის გადატანა მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე ოპერატიულ ამოცანებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ-სამართლებრივ საქმიანობაში ახალგაზრდა მოქალაქეთა გეგმაზომიერი და მიზანმიმართული ჩაბმის საზიანოდ. მათ უნდა გააერთიანონ ძალისხმევა სკკკ XXVII ყრილობის, სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნათა მიხედვით სამართლებრივ-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის გარდაქმნის პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცა გადასინჯოს სამართლებრივი პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს ფუნქციები და სტატუსი, რათა გააფართოოს ისინი და გააძლიეროს საბჭოს როლი რესპუბლიკაში სამართლებრივ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი კომპლექსის სახელმწიფო მართვის განხორციელებაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს იურიდიულ განყოფილებებთან, ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, პროფსაბჭოსთან, რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად ახალი სასწავლო წლიდან მან უნდა მოაწყოს საყოველთაო სამართლებრივი სწავლება შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორის ამხ. ლ. თალაკვაძის ინფორმაცია კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებით, უკანასკნელ ხანს ჟურნალმა მნიშვნელოვნად გააქტიურა საქმიანობა სამართალდამცველი ორგანოების, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, მოსახლეობის იურიდიული ცოდნისა და სამართლებრივი კულტურის ასამაღლებლად. გამოქვეყნებულ მასალებში ასახულია ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი; სისტემატურად შუქდება სამართლებრივი პროპაგანდის საკითხები; საგრძნობლად გაიზარდა ტირაჟი; უზრუნველყოფილია მისი დადგენილ ვადებში გამოცემა.

ამასთან ერთად ჟურნალის სამართალგანმარტებითი მუშაობა ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. პუბლიკაციებში შეიმჩნევა კრიტიკული მასალის სიმცირე, ნაკლები ადგილი ეთმობა შრომის, საპენსიო, მიწის, საოჯახო, ბუნების დაცვისა და სხვა კანონმდებლობის იმ საკითხების პროპაგანდასა და განმარტებას, რომლებითაც მოსახლეობაა დაინტერესებული, საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ პრობლემებს, მით უმეტეს, რომ დღემდე არ არის გამოცემული შესაბამისი დარგობრივი საცნობარო-განმარტებითი ლიტერატურა.

იშვიათად იბეჭდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის ახლად მიღებული აქტები კომენტარებით. საკმარისი არ არის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) თაობაზე კანონების პროპაგანდა, სუსტად შუქდება ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჟურნალის ფურცლებზე სრულყოფილად, ამომწურავად და ოპერატიულად არ აისახება რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციული ორგანოსა და იურიდიული სამსახურის საქმიანობა. რედაქციის ინიციატივით არ ეწყობა რეიდები. სათანადო შეფასება არ ეძლევა უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ფაქტებს, სამართალდამცველ ორგანოებში ჯერ კიდევ არსებულ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას მოქალაქეთა მიღების, საჩივრებისა და განცხადებებისადმი. სამართლებრივი პროპაგანდის თემატური მიმართულება მჭიდროდ არ არის დაკავშირებული სამართალდარღვევათა დინამიკასთან, რაც აქვეითებს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების პროფილაქტიკურ მნიშვნელობას. ქმედითი კონტაქტები არ არის დამყარებული მკითხველთა ფართო აქტივთან, ნაკლები ყურადღება ექცევა იურიდიული კადრების აღზრდის საკითხს, ვერ დაინერგა კონფერენციების, „მრგვალი მაგიდის,“ სხვა საჭირო ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისძიებათა სიტემატური ჩატარება, მცირეა შტატგარეშე კორესპონდენტთა რიცხვი, დღემდე არ შექმნილა სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო.

„საბჭოთა სამართალი“ რესპუბლიკის ერთადერთი იურიდიული პერიოდული გამოცემაა, რომელსაც ძალუძს სისტემატური და ეფექტიანი მუშაობა გასწიოს კანონმდებლობის განმარტებისა და სამართლებრივი აღზრდისათვის. ქვეყანაში ფართოდ მიმდინარე გარდაქმნისა და დაჩქარების, დემოკრატიზაციის პროცესის პირობებში განსაკუთრებით იზრდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მნიშვნელობა. ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ამ მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობას და მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ჟურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ, არ აქვს სათანადო ყოველკვარტალური დამატება ოფიციალური მასალების გამოსაქვეყნებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას (ამხ. ლ. თალაკვაძე):

გარდაქმნის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად აღმოფხვრას სამართლებრივ აღზრდასა და კანონმდებლობის პროპაგანდაში არსებული ხარვეზები, მეტი ყურადღება დაუთმოს სოციალისტური დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის, მშრომელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის საკითხებს, კონკრეტულ და კრიტიკულ პუბლიკაციებს, შექმნას სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო;

კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის საკითხები მჭიდროდ დაუკავშიროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საბჭოთა კანონმდებლობის დაცვის, სოციალისტური დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანებს; სერიოზული ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის პრობლემებს;

მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს მკითხველთა აქტივთან, მოაწყოს მათთან შეხვედრები, ჩაატაროს კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები, გაითვალისწინოს მათი შენიშვნები და წინადადებები; გააფართოოს შტატგარეშე კორესპონდენტთა ქსელი.

2. საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ უზრუნველყონ ჟურნალის მეშვეობით სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების აქტიური მონაწილეობა სამართლებრივ პროპაგანდაში, რედაქციასთან ერთად მიაღწიონ საბჭოთა კანონმდებლობის განმარტებისათვის აქტუალური თემატიკის შერჩევას.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ითვალისწინებს რა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მნიშვნელობასა და როლს კანონმდებლობის პროპაგანდასა და სამართლებრივ აღზრდაში, მიზანშეწონილად მიიჩნევს ეთხოვოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჟურნალის ყოველთვიურად გამოცემისა და მისი ყოველკვარტალური დამატების დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის უშიშროების სადარაჯოზე

საქართველოს კომპარტია რესპუბლიკის უშიშროების დაცვის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების ორგანიზატორი

ვალერიან ბენიძე,

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ცხოვრების ნორმალური რიტმის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა, მმართველობის სწორი ორგანიზაცია, მკაცრი პროლეტარული დისციპლინის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკის მშენებლობა. მაგრამ დამხობილი ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკები და რეაქციულად განწყობილი ოფიცრობის ნაშთები ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბოტაჟის, შეთქმულებებისა და ამბოხების მეშვეობით. დამარცხებული ბურჟუაზია და მემამულეები, მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები ვერ ურიგდებოდნენ ძალაუფლების დაკარგვას, ხოლო ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი და თურქი იმპერიალისტები — მარცხს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერკავკასიაში მათი ბატონობის დასასრულს. ქართველი კონტრრევოლუციური ემიგრაცია კი ოცნებობდა მსოფლიო იმპერიალიზმის დახმარებით აღედგინა თავისი დაკარგული პოზიციები.

ყოველივე ამან საქართველოს კომპარტიის წინაშე დააყენა მრავალი რთული ამოცანა, რომელთა გადაჭრა ხდებოდა ძველი, ბურჟუაზიული მმართველობის ორგანოების მსხვრევის და ახალი სოციალისტური სახელმწიფო აპარატის მშენებლობის პროცესში.

ვ. ი. ლენინმა ქართველ კომუნისტებს დაუსახა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების, მისი უშიშროების უზრუნველყოფის ისტორიული ამოცანა. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, წერდა ვ. ი. ლენინი, პირველ ადგილს იჭერს „მთავარი და ძირითადი ამოცანა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა, ექსპლოატატორებზე გამარჯვება, მათი შეთქმულების დათრგუნვა“[1].

საქართველოს რევკომმა, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, ენერგიულად დაიწყო ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 488.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორიცხული არ იყო, რომ საბჭოთა საქართველოს შინაგანი სიძნელეებით ესარგებლათ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში დამარცხებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და ახალი ავანტიურა წამოეწყოთ. საამისო სიტუაციის მომწიფებას ხელს უწყობდა მენშევიკური ემიგრაცია. ამიტომ საგანგებო დროული იყო საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 26 თებერვლის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: 1. „კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად, როგორც ქ. თბილისში, აგრეთვე მთელ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ა. წ. თებერვლის 25-ის დადგენილების თანახმად აარსებს საქართველოს საგანგებო-საგამოძიებო კომისიას...

საქართველოს სსრ რევკომი უცხადებს ქ. თბილისის მცხოვრებთ და აგრეთვე მთელ საბჭოთა მოქალაქეთ, რომ ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების, საბოტაჟის და სპეკულაციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა“[2].

ასე ჩაეყარა საფუძველი კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულაციასთან და სხვა ბოროტმოქმედებასთან მებრძოლ საგანგებო ორგანოს — სრულიად საქართველოს „ჩეკას“.

საქართველოს საგანგებო კომისიის შექმნის შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას რევოლუციის მტრებთან ბრძოლის კიდევ ერთი მებრძოლი ორგანო შეემატა. თებერვალ-მარტში მუშებმა და გლეხებმა, კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, შექმნეს რევოლუციის მონაპოვართა დამცველი შეიარაღებული ძალა — მუშურ-გლეხური მილიცია.

საქართველოს საგანგებო კომისიისა და მილიციის ერთობლივი მუშაობის გაადვილებისა და ამ უკანასკნელის რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში აქტიურად გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საქართველოს სსრ მთავარი მილიციის უფროსი, იმავე დროს, საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრიც იყო.

საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს საგანგებო კომისიის ცენტრალური აპარატი დაკომპლექტდა გამოცდილი მუშაკებით. საგანგებო კომისიის მოღვაწეობის მიზანსწრაფული წარმართვისა და ყოველდღიური უშუალო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა „საქჩეკას“ კოლეგია თავმჯდომარისა და ხუთი წევრის შემადგენლობით. მუშაობა გაიშალა უშიშროების საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო ორგანოების შექმნისათვის.

1921 წლის მარტში შეიქმნა ბათუმის საოლქო და ქუთაისის საგუბერნიო საგანგებო კომისიები. იმავე თვის ბოლოს ჩამოყალიბდა აფხაზეთის საგანგებო კომისია („აფხაზჩეკა“), რომელმაც თავისი მოღვაწეობა გაშალა საქართველოს საგანგებო კომისიის უშუალო ხელმძღვანელობით, როგორც მისმა განუყოფელმა ნაწილმა.

1921 წლის 10 აპრილს „საქჩეკას“ კოლეგიამ მიიღო დადგენილება თბილისის გუბერნიის მაზრებსა და რაიონებში საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანოების შექმნის შესახებ. იმავე წლის მაისში ასეთივე ღონისძიება განხორციელდა ქუთაისის გუბერნიაში.

---

2 საქართველოს სახელმწიფო ცენტ. ისტ. არქივი 281, აღწ. 1, საქ. 12, ფ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის ივლისში ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიამ („აჭარჩეკამ") თავისი მოქმედების სფერო გაავრცელა აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის გაერთიანებასთან შეიქმნა საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისია, რომლის ცენტრი ქ. თბილისში იყო[3].

ამით თითქმის დამთავრდა საქართველოს საგანგებო კომისიის ცენტრალური აპარატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბება-ორგანიზაციის პერიოდი. საქართველოს კომუნისტური პარტია შეუნელებლად ზრუნავდა საგანგებო კომისიის ორგანოების სამიედო კადრებით შევსებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის.

პარტიულმა ორგანოებმა რჩეული კომუნისტები გაიწვიეს საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში სამუშაოდ. ეს მეტად დროული და საჭირო ღონისძიება შემდეგში ჩეკისტური ორგანოების კადრებით უზრუნველყოფის ტრადიციად იქცა. 1922 წლის იანვრიდან დაწესდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის შეყვანა საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის შემადგენლობაში, რაც მეტყველებდა საგანგებო კომისიის ორგანოებისადმი პარტიის ყოველდღიურ დახმარებასა და კონტროლზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პრეზიდიუმის თითქმის ყველა სხდომაზე, პლენუმსა და პარტიის კრებაზე იმართებოდა მსჯელობა საგანგებო კომისიის საქმიანობის საკითხებზე, რადგან მას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა.

პარტია ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩეკისტურ ორგანოებში ფეხი არ მოეკიდა უკულმართობასა და თვითდამშვიდებას, გახრწნილობასა და უსულგულობას, მართლწესრიგისაგან ყოველგვარ გადახრას.

„ჩვენ სასტიკი და დაუნდობელნი ვართ მტრებისადმი, რომლებსაც სურთ რევოლუციის და მით ჩვენი ხალხის განადგურება. ჩვენ უჩვეულო საქმის გაკეთება ვიკისრეთ და ვინც მის დაბოლოებაში, გამარჯვებით დასრულებაში გზაზე გვეღობება და სურს ქვეყნის დაღუპვა, მათ დაატყდებათ თავზე მთელი საშინელება დიქტატურის, რკინისა და ცეცხლის. მაგრამ ჩვენ ასევე ულმობლობას ვიჩენთ მათ მიმართაც ჩვენი საკუთარი რიგებიდან, რომლებიც ზიანს აყენებდა მშრომელი ხალხისა და რევოლუციის საქმეს. ეს არ უნდა დაივიწყონ ერთი წამითაც იმათ, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ყური სმენად"[4].

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ჩეკისტური კადრების სიწმინდისა და რკინისებური დისციპლინის განმტკიცების საქმეში უქმად არ ჩაუვლია. მან საქართველოს საგანგებო კომისია იმთავითვე გაწმინდა თაღლითი და არასაიმედო ადამიანებისაგან, რითაც მყარი საფუძველი შეუქმნა სოციალიზმის მტრებთან ბრძოლაში ურიცხვ საგმირო საქმეებს.

1921 წლის 3 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა დებულება რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ. ტრიბუნალების მოქმედების სფეროს დაექვემდებარა: „1. კონტრრევოლუციური მოქმედებანი: შეთქმულება, აჯანყება, ტერორისტული აქტი, დარბევა, ჯაშუშობა; სა-

---

3 მლისფპა, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 2, ფურცელი 14.

4 გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფოს ღალატი და ყველა ისეთი საქციელი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას უმზადებს რაიმე საფრთხეს; 2. აშკარა დამცირება საბჭოთა ხელისუფლებისა და მის მუშაკთადმი ნდობის დამკარგავი მოქმედება; 3. მოსამსახურეთა მიმართ ბოროტმოქმედების ჩადენა: საბოტაჟი, მექრთამეობა, გამოტყუება, თაღლითობა სამსახურში, სახალხო ქონების მითვისება და გაფლანგვა, ხელისუფლების გადაჭარბება და უმოქმედობა, სპეკულაცია და დეზერტირობა[5].

რევოლუციური ტრიბუნალების შექმნით საფუძველი ჩაეყარა არამარტო საბჭოთა ხელისუფლების მტრების დასჯას, არამედ, ამავე დროს, რევოლუციური კანონიერების სადარაჯოზე მდგომ ორგანოს, რომლის დებულებაში ნათლად განისაზღვრა საგამოძიებო და სამოსამართლო ქმედებათა კონტაქტის პრინციპი.

1921 წლის აგვისტოში დამთავრდა საქართველოს საგანგებო კომისიის პერიფერიული ორგანოების კატეგორიებად დაყოფა, რომელსაც საფუძვლად დაედო ჩეკისტური ორგანოების მოწყობის შესახებ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული ახალი სქემა. აგვისტოშივე გაუქმდა ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისია და მისი ფუნქციები გადაეცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგანგებო კომისიებს. საქართველოს საგანგებო კომისიამ დაუყოვნებლივ შექმნა სატრანსპორტო განყოფილება და შეუდგა მის დაკომპლექტებას[6].

შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის სწორად შეფასებისა და შესაბამისი ინფორმაციის შეკრება-დამუშავების დროს ყოველგვარი შეცდომის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1921 წლის 25 აპრილს მოისმინა პასუხისმგებელი საინფორმაციო სამეულის შექმნის საკითხი. საინფორმაციო სამეულში უნდა შესულიყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საგანგებო კომისიის და საქართველოს რევკომის წარმომადგენლები. ბიურომ საინფორმაციო სამეულის ჩამოყალიბება დაავალა ცენტრალური კომიტეტის მდივანსა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს[7].

ცოტა მოგვიანებით საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეიქმნა ცენტრალური სახელმწიფო საინფორმაციო სამეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის თავმჯდომარეობით, რომელმაც ცირკულარული წერილით მიმართა აჭარისა და აფხაზეთის საგანგებო კომისიებს, სამხრეთ ოსეთისა და ყველა სამაზრო ჩეკისტურ ორგანოებს ადგილებზე სახელმწიფო საინფორმაციო სამეულების შექმნა-ორგანიზაციის შესახებ.

ამ წერილის თანახმად აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სამეულები განისაზღვრა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის და საგანგებო კომისიის ერთი თანამშრომლის შემადგენლობით. სამაზრო საინფორმაციო სამეულში უნდა შესულიყო პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე და საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანოს უფროსი.

---

5 „მოამბე", № 16, 1921 წლის 24 სექტემბერი, გვ. 13.

6 მლისფპა, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 15, ფურცელი 92.

7 მლისფპა, ფონდი 14, აღწ. 1, საქმე 4, ფურცელი 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარში გამახვილებული იყო ყურადღება, საინფორმაციო სამეუ-ლების, როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენათა მსვლელობის, ხასიათისა და შექმნილი მდგომარეობის სრულყოფილი გაშუქ-ების უტყუარი სისტემის მნიშვნელობაზე.

განსაზღვრავდა რა სახელმწიფო სისტემაში საგანგებო კომისიის ადგილს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის 1923 წლის 23 მაისის დადგენილებაში ერთხელ კიდევ ხაზს უსვამდა, რომ საგან-გებო კომისია ეწეოდა ბრძოლას, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კონტრრევოლუციის, ყოველგვარი ბანდიტობის, შეიარაღებული აჯანყებებისა და სხვა სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ. ჩეკისტური ორგა-ნოები ძირშივე ანადგურებდნენ ჯაშუშობის ყოველ გამოვლინებას. მათ და-კისრებული ჰქონდათ რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი. ისინი იყვნენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწი-ფოს საზღვრების საიმედო დამცველნი. გარდა ამისა, სახელმწიფო უშიშროე-ბის ორგანოები, პარტიისა და მთავრობის დავალებით, ატარებდნენ რევოლუ-ციური მართლწესრიგის დაცვისათვის საჭირო სპეციალურ ღონისძიებებს[8].

ამ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო იყო ჩეკის-ტური კადრების სათანადო დახელოვნება და დაოსტატება. ამიტომ საქართვე-ლოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ თავის დროზე გაითვალისწინა, რომ კო-მუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ორგანო, მისი შეიარაღებული ნაწილი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, რომ მის რიგებში არ მოხვედრილიყვნენ გაუნათლებელი და უწიგ-ნური მებრძოლები. პრაქტიკული საქმიანობის პერიოდში ოპერატიული ჩვევე-ბის გამომუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების პარალელურად თბილისში გაიხსნა სპეციალური კურსები, რითაც საფუძველი ჩაეყარა ჩეკისტთა კადრე-ბის სწავლა-დახელოვნების სისტემას[9].

შინაურ და გარეშე მტრებთან შეუნელებელ ბრძოლაში ხდებოდა ჩე-კისტური კადრების შერჩევა და მათი სახელდახელო სწავლა-დახელოვნება. შრომასა და ბრძოლაში იწრთობოდნენ პროლეტარიატის საქმისათვის თავდა-დებული მუშაკები, რომლებმაც არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ოქ-ტომბრის რევოლუციის მონაპოვართა საიმედოდ დაცვისათვის ბრძოლის ის-ტორიაში.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ საგანგე-ბო კომისიის ორგანოების შექმნა-ჩამოყალიბება და მისი პრაქტიკული საქმია-ნობა ააგო ვ. ი. ლენინის მიერ მეცნიერულად შემუშავებული საერთო სა-ხელმწიფოებრივი მშენებლობისა და მოღვაწეობის პრინციპებზე. ამ პრინცი-პებს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლად დაედო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობა, მუშათა კლასისა და გლეხო-ბის მჭიდრო კავშირი, ხალხთა მეგობრობა, ხოლო იდეურ საფუძვლად — მარ-ქსისტულ-ლენინური იდეოლოგია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის, მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირის, პოლიტიკური სიფხიზლის, სოციალისტური კანონიერების დაცვის,

---

[8] მლისფპა, ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 229.

[9] მლისფპა, ფონდი 15, აღწ. 1, საქმე 15, ფურცელი 95.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

დემოკრატიული ცენტრალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანამიმდევრული და განუხრელი განხორციელების გარეშე საგანგებო კომისიის ორგანოები ვერ შესძლებდნენ მათ წინაშე დასახული რთული ამოცანების პირნათლად შესრულებას.

სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დაცვის საქმეში მიღწეულ წარმატებებს თითოეული ჩეკისტი სამართლიანად უკავშირებს ლენინური პარტიის მზრუნველობასა და ბრძნულ ხელმძღვანელობას. „ჩვენს რესპუბლიკაში, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არცერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს არ წყვეტს არცერთი სახელმწიფო დაწესებულება ისე, თუ პარტიის ცეკას სახელმძღვანელო მითითებანი არ ექნა“[10].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველ-ღონეს ხმარობდა, რათა ჩეკისტური ორგანოები არ მოწყვეტილიყვნენ პარტიულ ორგანიზაციებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებში და გადაწყვეტილებებში ხაზგასმით მიუთითებდა, რომ საგანგებო კომისიის „მუშაობის წარმატება და ნაყოფიერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი თანამშრომლები მჭიდროდ დაუკავშირდებიან კომუჯრედებს და მაღლა მდგომ პარტიულ ორგანიზაციებს“[11].

პარტიამ განსაზღვრა ჩეკისტური ორგანოების სოციალური ბუნება და მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი. კომუნისტური პარტია არის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების შექმნის, მისი შემდგომი დახვეწა-ჩამოყალიბებისა და მოღვაწეობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

---

[10] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 39.

[11] საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებები, 1923-24 წ. № 2-3, გვ. 148.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნა — დროის მოთხოვნა!

საიმედოდ დავიცვათ მოქალაქეთა უფლებები

გრიგოლ ფალამბერიძე,
ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე

პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიზაცის, მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერების კურსის განხორციელება განუყრელად უკავშირდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საიმედო დაცვის უზრუნველყოფას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების ზედმიწევნით ზუსტ აღსრულებას.

„სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 20 ნოემბრის დადგენილება კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, რაც ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემისა და მისი საზოგადოებრივი წყობილების კონსტიტუციური პრინციპია.

ამ მიმართებით შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობამ, თითოეული ჩვენი მუშაკის მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვის გაუმჯობესებამ, ბევრად შეუწყო ხელი ატმოსფეროს გაჯანსაღებას, პირად შემადგენლობაში მორალურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის წარმართული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ეფექტიანი და სრულად არ შეესაბამება გარდაქმნის მიმდინარე პროცესის სადღეისო მოთხოვნებს.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში, როცა შინაგან საქმეთა ორგანოები მოწოდებული არიან არსებითი წვლილი შეიტანონ კანონიერების განმტკიცებაში, მისი ზოგერთი თანამშრომელი ჯერ კიდევ უხეშად არღვევს კანონიერების მოთხოვნებს.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გააქტიურებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დადგენილების მოთხოვნების განხორციელების მიზნით, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1987 წლის 31 მარტის სპეციალური ბრძანება გვავალდებულებს, რათა თითოეულმა თანამშრომელმა გაითავისოს ქვეყანაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი გარდაქმნების მნიშვნელობა, სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებისა და სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის დაუშვებლობა, რადგან ყოველივე ეს ჩირქს სცხებს შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინა, რომ კანონიერების დარღვევის აღმოფხვრისა და პროფილაქტიკის გადამწყვეტი საშუალებაა საჯაროობა, აქტუალური საკითხების ღია და პირუთვნელი განხილვა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე 1987 წლის 29 მაისს გამოიცა ბრძანება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ჩამოყალიბებულია შინაგან საქმეთა ორგანოებში სოციალისტური კანონიერების დაცვის საუწყებო კონტროლის სისტემა. კანონის მოთხოვნათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, იგი სისტემატურად უნდა განხორციელდეს ყველა დონეზე. გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ აგრეთვე პროკურატურის წარდგინებებზე, სასამართლოს კერძო განჩინებებზე, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კრიტიკულ გამოსვლებზე. ამასთან, პიროვნების უკანონო დაკავების, დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის თითოეულ ფაქტზე საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ მშრომელთა კოლექტივები და თუ საჭიროა შინაგან საქმეთა ორგანოების სახელით საჯაროდ მოვუხადოთ ბოდიში რეაბილიტირებულ პიროვნებას.

დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოებისა და დანაყოფების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების დაცვის მუშაობის კოორდინაციის მიზნით ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეურიგებლობა შინაგან საქმეთა ორგანოებში მომხდარი ყოველგვარი უკანონობისადმი და თანმიმდევრული ბრძოლა მათ აღმოსაფხვრელად.

აღნიშნული კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და 1987 წლის 18 სექტემბერს, თავის პირველ სხდომაზე, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა საკითხი „ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში ჯერ კიდევ არსებული კანონიერებისა და საპროცესო ნორმების დარღვევების შესახებ", რაც თავის დროზე გამოვლენილი და რეაგირებული იყო საგამოძიებო განყოფილების მიერ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოებში, საგამოძიებო განყოფილებასა და სხვა სამსახურში, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებით მინიმუმამდე შემცირდა სოციალისტური კანონიერების დარღვევის შემთხვევები, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულია ძირითადი საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია.

მიუხედავად გაწეული ქმედითი მუშაობისა, მიმდინარე წელს ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა უსაფუძვლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს. კერძოდ, კომისიის სხდომაზე იმსჯელეს სოციალისტური კანონიერების დარღვევის იმ ფაქტის თობაზე, რომელიც დაუშვა ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსმა გამომძიებელმა ვ. ფილიამ. მან „თბილხილბოსტანვაჭრობის" სისტემიდან სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შეკრებილი მტკიცებების არაობიექტური გაანალიზების შედეგად სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მისცა მოქალაქე ა. გასიშვილი, რომლის მიმართ, შემდეგ საქმე წარმოებით შეწყდა რეაბილიტაციის მოტივით, ხოლო სხვა ბრალდებულები სასამართლომ საკადრისად დასაჯა.

მოქალაქე ა. გასიშვილმა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემდეგ სამართლიანად მოითხოვა ძველ თანამდებობაზე აღდგენა, რომელიც უკვე დაკავებული აღმოჩნდა. ყოველივე ამან გამოიწვია ზემდგომ ინსტანციებში მრავალრიცხოვანი განცხადებების შეტანა.

კომისიის სხდომაზე მკაცრად იმსჯელეს სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევების ფაქტებზე, რომლებიც დაუშვეს ლენინის, გლდანის, საჭარხნო რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებების საგამოძიებო ქვედანაყოფების გამომძიებლებმა გ. არუთინოვმა, გ. სვიმონიშვილმა, რ. თავაძემ, ვ. იაშაღაშვილმა, თ. ნებიერიძემ, გ. ხორნაულმა, ა. ჯორბენაძემ, გ. მახარაძემ და ა. ჯიბლიანმა.

კომისიის წევრებისა და მოწვეული ამხანაგების გამოსვლებში მკაცრი შეფასება მიეცა ზემოაღნიშნული რაიონების მოკვლევისა და გამოძიების მუშაკების, მათი ხელმძღვანელების მიერ დაშვებულ სოციალისტური კანონიერების, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თითოეულ ფაქტს. ამასთან, სამართლიანად აღინიშნა, რომ ზოგიერთი მუშაკი იჩენს პროფესიულ არაკომპეტენტურობას, დაბალ პერსონალურ პასუხისმგებლობას, მინდობილი საქმისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, რომ ხელმძღვანელი ამხანაგები ყოველთვის როდი ამყღავნებენ სათანადო მომთხოვნელობასა და კონტროლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა საზოგადოების თვალში შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურისა და, მათ შორის, წინასწარი გამოძიების ორგანოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლება, რადგან, ვერ დავმალავთ და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ორგანიზაცია და საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის კულტურა ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ დგას. მომხდარი დანაშაულის „ცხელ კვალზე" გახსნას, ყველა დამნაშავის მხილებას, საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების დროულ და მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებას ჯერ კიდევ ვერ ვაღწევთ, რის გამოც ბევრი დანაშაული გაუხსნელი და დამნაშავე დაუსჯელი რჩება. ამაზე კი საზოგადოება სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს.

კომისიის სხდომამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაშვებული დარღვევების უმრავლესობა დროულად განიხილეს შესაბამისი დანაყოფების კოლექტივებმა და დამრღვევ პირებს, დაედო, როგორც დისციპლინური, ასევე პარტიული სასჯელები. ამასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მკაცრი რეაგირების საჭიროება და სათანადოდ დაისაჯნენ საქარხნო, კალინინისა და გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკები თავაძე, ელგანდაშვილი, დაშნიანი, კეთილაძე, სვიმონიშვილი და სხვები. ამასთან, საჯაროდ მოეხადა ბოდიში მოქალაქე ა. გასიშვილს, რომელიც უსაფუძვლოდ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

კომისიის სხდომისა და შემუშავებული ღონისძიებების შესახებ დირექტიული წერილები დაეგზავნათ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებს.

კომისიის პირველმა სხდომამ დაგვანახა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების დაცვის განმტკიცებისათვის გაგვაჩნია ჯეროვანი, ოპტიმალური ფორმა, მაგრამ დასახვეწია კომისიის მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებთან მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობის გზები. ყოველივე ამას, გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში და დავსახავთ სათანადო რეკომენდაციებს.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობას, მის პოლიტიკურ განყოფილებასა და პარტიულ ორგანიზაციას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს შინაგან საქმეთა ორგანოების ქვეგანყოფილებათა მებრძოლურობა, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს საბჭოთა კანონების დაცვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის მუშაობის სრულყოფის და პირად შემადგენლობაში სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის

ილია ხიონიდი,
საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე განსაკუთრებულ დავალებათა დარგში,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო, გაზეთი „კომუნისტური შრომა", ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში.

ჯერ კიდევ 1921 წელს, როცა საბჭოთა აფხაზეთში პირველად დაარსდა გაზეთი „მშრომელი აფხაზეთის ხმა", ადგილობრივ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით იგი თავიდანვე მკაცრად კიცხავდა ყველა იმათ, ვინც არღვევდა სოციალისტურ კანონიერებას და ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობას. ამ ტრადიციათა მემკვიდრენი გახდნენ რესპუბლიკური გაზეთები „სოვეტსკაია აბხაზია", „საბჭოთა აფხაზეთი" და „აფსნი ყაფში", ხოლო 1935 წლის აპრილიდან რაიონული გაზეთი „კომუნისტური შრომა".

გაზეთი „კომუნისტური შრომა" (რედაქტორი გ. ადამაძე) დიდ ყურადღებას აქცევს სამართლებრივი აღზრდის, სამართლებრივი კულტურის, რაიონში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. რეგულარულად ბეჭდავს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მიძღვნილ მასალებს, დაუნდობლად ებრძვის უქნარებს, ხულიგნებს, მექრთამეებს, უშრომელი შემოსავლის მოყვარულებს. აღსანიშნავია, რომ გაზეთში დაბეჭდილი მასალა ხშირად გამხდარა საფუძველი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა. სისტემატურად აქვეყნებს რედაქციის მიერ ორგანიზებული რეიდების მასალებს. გაზეთი რაიონში მომხდარი ყველა მოვლენის კურსშია. ამ საქმეში აქტიურობენ აქტივისტი მუშკორები და სოფლკორები. გაზეთს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის, ადვოკატურის მუშაკებთან, სისტემატურად ქვეყნდება გაზეთის ფურცლებზე სახალხო სასამართლოდან შემოსული ინფორმაციები რუბრიკით „სასამართლოს დარბაზიდან", რომლებშიც გაკიცხულია ყოველივე ის, რაც ჩირქს სცხებს მშრომელი კაცის ღირსებას.

რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი გამომძიებელი ა. მებონია სტატიაში „საბედისწერო ნაცნობობა", კიცხავს უქნარა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილებს ნ. ჟილიანსკაიას და ს. გილიაზედინოვას, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინ არაერთხელ იყვნენ ნასამართლევი ქურდობისათვის და რომლებმაც დაათვრეს ჩამოსული ვინმე მ. ჰუსეინოვი და მოჰპარეს 859 მანეთი.

რაიონის პროკურორის ა. შამათავას სტატია „დანაშაულისათვის პასუხისგებაში", რომელიც გამოქვეყნდა რუბრიკით „ნეგატიურ მოვლენებს — ბრძოლა", დაუნდობლად არიან მხილებული ისინი, ვინც დანაშაულებრივად ეკიდება სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს, რის შედეგადაც რაიკოპერატივის ობიექტებში ადგილი ჰქონდა 25.167 ათასი მანეთის დატაცებას. კერძოდ, გაკრიტიკებული არიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები — ი. ფანჯანაძე, ზ. აშორთია, ი. დარჯანია, რ. მებონია, რ. ცხაკაია და მ. შურღაია. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, რომ პირები რომლებსაც ევალებოდათ სახალხო დოვლათის დაცვის კონტროლი, თვითონ აღმოჩნდნენ დატაცების მონაწილენი. აბა, რა კონტროლზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა რაიკოოპერატივის მთავარმა ბუღალტერმა ვ. ჯიქიამ თვითონ დაიტაცა 4 000 მანეთი.

თავის მუშაობაში გაზეთ „კომუნისტური შრომის" რედაქცია ხელმძღვანელობს ჩვენი პარტიის ლიდერის მ. ს. გორბაჩოვის მითითებებით საჯაროობის, კრიტიკისა და დემოკრატიის გაფართოების თაობაზე. ამიტომ არის, რომ დღეს გაზეთი არა მარტო კანონების აქტიური პროპაგანდისტი და აგიტატორია, არამედ ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორია იმ ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობს რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, ნეგატიური მოვლენებისა და კუთხურობის გამოვლინებების აღმოფხვრისათვის.

მაგრამ, ყოველივე ეს საკმარისი როდია. როგორც იტყვიან, გაზეთი კრიჭაში უნდა ჩაუდგეს ბიუროკრატებსა და კირკიტომანებს. რუბრიკით „კირკიტომანობა —შორს" საჭიროა უფრო ხშირად იბეჭდებოდეს კორესპონდენციები, სადაც მხილებული იქნება მშრომელთა საჩივრებზე ბიუროკრატიული დამოკიდებულების, საქმეთა გაჭიანურების ფაქტები. ამით გაზეთი დიდ როლს ითამაშებს ბიუროკრატიზმის, რუტინისა და უსულგულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რედაქციამ ყოველმხრივ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ პასუხები რედაქციაში მოდიოდეს დროულად, ამხილოს ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვალშია გაზეთის მკითხველთა წინაშე. ამასთან, კარგი იქნება თუ გაზეთის ფურცლებზე მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს რუბრიკა — „წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ"...

გაზეთის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას. ამ მიზნით გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს ქმედითი ორმხრივი კავშირი აქვს დამყარებული რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოს, მილიციისა და ადვოკატურის მუშაკებთან, აქტიურად აბამს მათ გაზეთის მუშაობაში. ხშირად იბეჭდება სამართალდამცველ ორგანოთა მუშაკების წერილები. სამართლებრივ თემებზე, მოსახლეობისათვის საინტერესო საკითხებზე. ეს პუბლიკაციები მომზადებულია პროფესიულ დონეზე, საქმის კარგი ცოდნით. მისასალმებელია, რომ ასეთ მასალებს გაზეთი ხშირად მთელ გვერდს უთმობს. მაგალითად, სოხუმის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება სისტემატურად ამზადებს გვერდებს რუბრიკით: „მოქალაქე, კანონი, საზოგადოება". ამ რუბრიკით დაიბეჭდა ნარკვევი „მოვალეობის ერთგული", რომელიც მიეძღვნა მილიციის სერჟანტ ვასილ აიბას, რომელიც კავალერია მედლისა „მილიციის ფრადოსანი". გაზეთში აქტიურად თანამშრომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობენ მილიციის უფროსი ლეიტენანტი ლ. ჭანტურია, მილიციის სერჟანტი ნ. ხაშბა და სხვები.

სამართალდაცვით ორგანოებში მიმდინარე გარდაქმნაზე საქმიანი საუბარი იმართება გაზეთის რიგ მეთაურ წერილებსა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების სტატიებში. ამ მასალებში აღნიშნულია, რომ სამართლებრივი აღზრდის საქმე მოითხოვს ხარისხობრივად ახალ მიდგომას, მაღალ პასუხისმგებლობას, სახალხო სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების მუდმივ და შეუნელებელ ყურადღებას, სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებას და, რაც მთავარია, ამ საქმეში საჯაროობის ფართოდ გაშლას, ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევას.

კარგი იქნება, თუ რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი, რაიონის სამართალდაცვით ორგანოებთან ერთად, კიდევ უფრო გააქტიურებს ბრძოლას ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა უშრომელი შემოსავალი, ლოთობა და ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და მუქთახორობა.

სოხუმის რაიონში გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი სამართლებრივი და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საქმეში. მრავალ სასარგებლო ღონისძიებას ატარებს საკოორდინაციო მეთოდური საბჭო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირებისათვის, ამ საბჭოს რეკომენდაციები წარმატებით გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მუშაობაში საბჭოს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

შესწავლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ რაიონის საზოგადოებრიობა ობიექტურად აფასებს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობას, უყურებს მათ, როგორც სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ერთგულ დამცველებს. ამასთან მშრომელები სამართლიანად თვლიან, რომ მათი საქმიანობა ჯერ კიდევ მთელი ძალით არ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, ყველა მუშაკი თვალისჩინივით არ უფრთხილდება „მუნდირის ღირსებას“.

სისხლის სამართლის კანონმდებლობისადმი სწორი დამოკიდებულების ფორმირების, მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, სამართალშეგნების ამაღლების პრობლემებისადმი არის მიძღვნილი რკინიგზის № 18 სკოლის დირექტორის ა. ფანცულაიას, ჟურნალისტ პ. ცივას, სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების მდივნის გ. ფანჩვიძის, რაიაღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის მდივნის კ. პაპასქუას სტატიები. მათში ხაზგასმულია, რომ სამართლებრივი პროპაგანდის წარმატებული ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვარია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აზრის ზუსტი კოორდინაცია. ამ ურთიერთობების შემდგომი განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებენ სამართლებრივი პროპაგანდისათვის ადგილებზე შექმნილი საკოორდინაციო მეთოდური საბჭოები.

ამასთან, აღნიშნავენ ისინი, ამ მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, ყოველთვის ვერ ახდენს საჭირო ზემოქმედებას სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეზე. სამართლებრივ საკითხებზე ლექციები, მოხსენებები და საუბრები ხშირად უტარდება იმათ, რომელთაც ყველაზე ნაკლებად სჭირდება ეს. ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ღონისძიებების თემატიკა დგება შემთხვევით, საგამოძიებო, საპროკურორო, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგების გაუთვალისწინებლად, რაც ნიადაგს უქმნის ამ საქმეში ფორმალიზმის დამკვიდრებას. ამდენად, სამართლებრივი პროპაგანდის მიზნით ჩატარებული თითოეული ღონისძიება უნდა იქცეს გულმოდგინე ანალიზის საგნად.

დანაშაულის პროფილაქტიკისათვის, როგორც თავიანთ სტატიებში აღნიშნავენ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი პ. არშბა, რაიონის პროკურორი ა. შამათავა, გამომძიებელი მ. გაგუა, ჟურნალისტი კ. რევაზიშვილი და სხვ. ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ აღზრდას, რადგან დანაშაული რთული სოციალური მოვლენაა და მასზე მრავალი სხვა გარემოება ახდენს ზეგავლენას. ამიტომ სამართლებრივი პროპაგანდა უნდა წარიმართოს საქმის ღრმა ცოდნით, მაღალ პროფესიულ დონეზე, საჯაროობისა და გულახდილობის ატმოსფეროში.

რაიონული გაზეთი ოპერატიულად ეხმაურება კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებს, ამომწურავ მასალებს აქვეყნებს რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე. ამ საქმეს აქტიურად უძღვება გაზეთის საზოგადოებრივი მისაღები. შრომითი და საბინაო კანონმდებლობის საინტერესო საკითხებზე მშრომელებს კომპეტენტური პასუხი გასცა ადვოკატმა ი. დელიკოვამ.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის თაობაზე კანონის მიღების შემდეგ გაზეთი ხშირად აქვეყნებს ამ კანონის გამოყენების განმარტებითი ხასიათის მასალებს.

დაბოლოს, რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის“ რედაქცია, მკითხველთა აქტივი დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუყენებელი და ასამოქმედებელი რეზერვები მრავლად აქვთ. აღებული ტემპი მოწმობს, რომ გაზეთი კიდევ უფრო შემტევი, უკომპრომისო და პრინციპული იქნება დასახული მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ფართოა და მნიშვნელოვანი — ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რაიონში გამოვლენილი ნეგატიური მოვლენების დროულ აღკვეთას, მტკიცედ იცავდეს გარდაქმნის სადღეისო მოთხოვნების უთუო შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროსტიტუციის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი

ანზორ ბაბიანი,
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი, პროფესორი

ჩვენი ლაბორატორიის ძალებით რესპუბლიკაში გამოიკითხა შინაგან საქმეთა ორგანოების მხედველობის არეში მოხვედრილი 532 მეძავი ქალი. თითოეულ მათგანს მიეცა ასზე მეტი შეკითხვა, რომლებიც შეეხებოდა მათი აღზრდისა და ცხოვრების სრულიად სხვადასხვა მხარეს. წინამდებარე სტატიაში მოკლედ განვიხილავთ ამ საკმაოდ ვრცელი გამოკვლევის მხოლოდ ზოგიერთ შედეგს.

გამოკითხული ქალები ასაკობრივად ასე განაწილდნენ: 18 წლამდე — 8,8 პროცენტი, 18-დან 20 წლამდე — 9,5, 20-დან 25 წლამდე — 32,4, 25-დან 30 წლამდე — 24,9, 30-დან 40 წლამდე — 16,6, ხოლო 40 წლის ზემოთ — 13,3 პროცენტი. ამრიგად, გამოკითხულთა უმრავლესობა 30 წლამდე ასაკის ქალია.

ეროვნული ნიშნის მიხედვით, გამოკითხულ მეძავ ქალთა შორის მრავალი ეროვნების ქალი აღმოჩნდა: ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, აფხაზები, ებრაელები და ა. შ. რაც შეეხება გამოკითხულ ქართველ ქალთა ხვედრით წილს, მან 28,6 პროცენტი შეადგინა.

საინტერესო შედეგები მოგვცა გამოკითხულთა დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის თაობაზე მიღებული ინფორმაციის ანალიზმა. მათ შორის თბილისში დაიბადა — 17,5 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 25,2, ქალაქის ტიპის დასახლებებში — 5,8, სოფლად — 9, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 42,5 პროცენტი. ამჟამად თბილისში ცხოვრობს გამოკითხულთა 29,5 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 34,2, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში — 3,4, სოფლად — 5,3, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 19,2, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი არა აქვს 9,3 პროცენტს.

ამრიგად, მეძავ ქალთა თითქმის ნახევარი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან არის ჩამოსული. რაც შეეხება მიგრანტებს რესპუბლიკის ფარგლებში, მათი ხვედრითი წილი გამოკითხულთა შორის დაახლოვებით 10 პროცენტს შეადგენს.

დაწყებითი განათლება აქვს 1,1 პროცენტს, არასრული საშუალო —25,1, საშუალო ზოგადი — 51,7, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური — 4,9, საშუალო სპეციალური — 10,2, არასრული უმაღლესი — 2,8, ხოლო უმაღლესი განათლება — 4,1 პროცენტს. ამრიგად, გამოკითხულთა შორის 3/4-ს საშუალო ან საშუალოზე მეტი განათლება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უნარი შესწევთ, რათა ნაყოფიერ შრომით საქმიანობას და პატიოსან ცხოვრებას ეწეოდნენ.

საინტერესოა მონაცემები „მსუბუქი ყოფაქცევის" ქალთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მათ შორის გაუთხოვარია 33,9 პროცენტი, გათხოვილია და მეუღლესთან ცხოვრობს — 4,9, გათხოვილია, მაგრამ არ ცხოვრობს მეუღლესთან — 3,6, ქვრივია — 6, ხოლო განქორწინებულია 51,7 პროცენტი. ამგვარად, გამოკითხულ მეძავე ქალთა შორის უდიდეს უმრავლესობას ისეთი ქალები შეადგენენ, რომელთაც ვერ შესძლეს ოჯახური ცხოვრების მოწყობა. აქედან შეიძლება კანონზომიერი დასკვნის გაკეთება, კერძოდ, ქალისათვის ბედნიერ ოჯახსა და ოჯახურ სითბოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მეძავ ქალთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების შესწავლით აღმოჩნდა, რომ საკუთარ კეთილმოწყობილ სახლში ცხოვრობს 16,2 პროცენტი, იზოლირებულ კეთილმოწყობილ ბინაში — 4,4, იზოლირებულ არაკეთილმოწყობილ ბინაში — 19,9, საერთო საცხოვრებ-

ლებში — 8,8, სარდაფის ტიპის სათავსოებში ან ბარაკში — 7, დაქირავებული აქვთ ბინა ან ოთახი — 13,7, არა აქვთ საცხოვრებელი — 8,3 პროცენტს.

გამოკითხულთაგან მიაჩნიათ, რომ ძალიან კარგი ან კარგი მატერიალური პირობები აქვთ მხოლოდ 8,8 პროცენტს, ნორმალური — 34,6, დანარჩენები კი საშუალოდ ან ცუდად არიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი. მატერიალურად ცუდად უზრუნველყოფილი აღმოჩნდა გამოკითხულთა 19,9 პროცენტი.

გამოკვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დავისახეთ გამოკითხულთა ცხოვრებისა და აღზრდის პირობების შესწავლა, აღმოჩნდა, რომ მშობლებთან ერთად ოჯახში იზრდებოდა 88,5 პროცენტი, საბავშვო სახლში — 10, ნათესავებთან — 4,5, უცხო პირებთან — 1,9, არა გვაქვს ცნობები — 0,2 პროცენტზე. ამრიგად, მეძავ ქალთა 16,4 პროცენტი ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში აღმოჩნდა მშობლიურ ოჯახს მოწყვეტილი.

საინტერესოა თუ როგორ მოხვდნენ ისინი საბავშვო სახლში, ნათესავებთან ან უცხო პირებთან. ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების გამო ოჯახში არ იზრდებოდა სულ 3,5 პროცენტი. დანარჩენები ამგვარ მდგომარეობაში მშობლების „ნებით" აღმოჩნდნენ. იმ გამოკითხულთაგან, ვინც ადრეულ ბავშვობაში მშობლებთან ოჯახში არ იზრდებოდა, მშობლებს იცნობდა 29 პროცენტი, არ იცნობდა 57 პროცენტი. არ არის ცნობები 14 პროცენტზე.

გამოკითხულთაგან დედ-მამასთან იზრდებოდა 66,4 პროცენტი, მხოლოდ დედასთან —27,7, დედასა და მამინაცვალთან —2, მხოლოდ მამასთან — 1,8, არ არის ცნობები — 2 პროცენტზე. ამრიგად, გამოკითხულთაგან თითქმის ყოველი მესამე ქალი იზრდებოდა ე. წ. არასრულ ოჯახში, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მათ სულიერ ფორმირებაზე.

მშობლების ოჯახში აღზრდილი „მსუბუქი ყოფაქცევის" ქალების მამათა შორის 34 პროცენტი მუშაა, კოლმეურნეა — 11 პროცენტი, მოსამსახურე — 31,8, არ არის ცნობები— 23,2 პროცენტზე. დედათა შორის მუშაა 39,6 პროცენტი, კოლმეურნე —17,1 მოსამსახურე— 39,2, არ არის, ცნობები — 4,1 პროცენტზე. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 23,2 პროცენტმა ვერაფერი თქვა მამის სოციალური მდგომარეობის თაობაზე, რადგან ზუსტი ცნობები არ გააჩნდათ.

გამოკითხულთა 4,5 პროცენტს წერა-კითხვის უცოდინარი მამა ჰყავს, დაწყებითი განათლებით — 9,4, არასრული საშუალო განათლებით — 11,3, საშუალო განათლებით — 4,5, არასრული უმაღლესი ან უმაღლესი განათლებით — 10, მონაცემები არა გვაქვს — 22 პროცენტზე. დედებიდან: წერა-კითხვის უცოდინარი — 9,9, დაწყებითი განათლების მქონე — 14, არასრული საშუალო განათლების მქონე — 15,3, საშუალო განათლებით, — 44,8, არასრული უმაღლესი ან უმაღლესი განათლებით — 13,7, არ არის ცნობები — 2,3 პროცენტზე.

სამწუხაროდ, ყოველმა მეოთხე გამოკითხულმა, რომლებიც მშობლებთან ერთად იზრდებოდა, არაფერი იცოდა მამის განათლების დონისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

გამოკითხულთაგან მშობლებს პატივისცემით ეპყრობოდა—75,6 პროცენტი, გულგრილად— 16,4, უპატივცემლოდ — 2,8, ზიზღით — 1,5, პასუხის გაცემა გაუძნელდა — 3,6 პროცენტს, ამრიგად, გამოკითხულთა 24,4 პროცენტს ჯერ კიდევ ბავშვობასა და მომწიფების ასაკში მშობლებისადმი უპატივცემლო, გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც, ალბათ, თვით მშობლების მიერ შვილებისადმი გამოვლენილი გულცივობის საპასუხოდ ჩამოყალიბდა.

ცნობილია, რომ პიროვნების ფორმირებაზე ოჯახთან ერთად დიდ ზეგავლენას ახდენს სკოლაც. ამიტომ ჩვენი კვლევის სფერო ამ საკითხებსაც მოიცავდა. აღმოჩნდა, რომ ყველა გამოკითხული სწავლობდა სხვადასხვა სასწავლებელში და უმრავლესობას კარგი ან დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება ჰქონდა. 1/4 მონაწილეობდა სასწავლო დაწესებულებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გამოკითხულთა ეს ნაწილი სკოლაში თანატოლებისაგან განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა, მოლოდ 1,7 პროცენტს ჰქონდა სწავლის ცუდი პირობები და დაბალი აკადემიური მოსწრება. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას კარგი ან დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, 29,7 პროცენტმა სწავლა აღარ გააგრძელა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 27,8 პროცენტს უბრალოდ აღარ სურდა სწავლის გაგრძელება, 25,3 — ცხოვრებისეული გარემოებები, დამოუკიდებელი შემოსავლის აუცილებლობა, 18,4 — შესაბამისი მონაცემების არ არსებობა, 11,4 — გათხოვება, 3,2 — ბავშვის შეძენა, 15,8 პროცენტმა მამაკაცებით გატაცება და სხვა. თუ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებით ვიმსჯელებთ, გამოკითხულთა უმრავლესობას საკმაოდ სერიოზული საფუძველი ჰქონდა სწავლისათვის თავის დასანებებლად.

საინტერესოა შრომისადმი მეძავ ქალთა დამოკიდებულების საკითხი. გამოკითხვის ჩატარების მომენტში ან წარსულში მათგან მუშაობდა 91,9 პროცენტი, არასოდეს უმუშავია — 6,8, არ არის ცნობები — 1,3 პროცენტზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოკითხვის მომენტში ბევრს საკმაოდ ღირსეული სამსახურებრივი მდგომარეობა ეკავა (უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი, საშუალო სკოლის მასწავლებელი და სხვ), მაგრამ სამსახურის თაობაზე დუმდნენ. ამიტომ ვერ შევაგროვეთ საკმაო ინფორმაცია იმ გამოკითხულ ქალთა შრომითი საქმიანობის შესახებ, რომლებიც ინტერვიუს აღების მომენტში მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა შორის ბევრი არაპრესტიჟულ და დაბალხელფასიან სამუშაოს ასრულებდა და „სხეულით ვაჭრობის" შედეგად მიღებული შემოსავალი მიაჩნიათ არა ძირითად, არამედ დამატებით წყაროდ.

გამოკვლევით დადგინდა, რომ მეძავი ქალები გულგრილნი არიან არა მარტო შრომის მიმართ, არამედ მხატვრული ლიტერატურის და ხელოვნების მიმართაც. მათ შორის გაზეთებს საერთოდ არ კითხულობს 33,6 პროცენტი, იშვიათად კითხულობს—36,7, არ დადის თეატრში — 75,9, იშვიათად დადის თეატრში — 19,5 არ დადის კინოში — 22,7, იშვიათად დადის კინოში — 35 პროცენტი. ყოველივე ეს კი მიუთითებს მათ დაბალ ინტელექტუალურ დონეზე, მეძავთა სოციალურ არასრულფასოვნებაზე. ამაზე მეტყველებს ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების მიმართ გამოკითხულთა დამოკიდებულებაც. აღმოჩნდა, რომ სპირტიან სასმელებს ხშირად ან სისტემატურად სვამს 76,7 პროცენტი, აქედან სქესობრივ კავშირში მყოფ მამაკაცებთან ერთად სვამს 57 პროცენტი, ხოლო ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან ერთად სპირტიანი სასმელების მიღების პროცენტი შედარებით მცირეა. გამოკითხულთა 6,4 პროცენტი ნარკოტიკული ნივთიერებებს ხშირად ან სისტემატიურად იყენებს, იშვიათად იყენებს 15,8 პროცენტი. ამრიგად, გამოკითხულთა 1/5-ზე მეტი ნარკოტიკებს ეტანება, რაც ცხადია, შეშფოთებას იწვევს.

გამოკითხულთა შორის არც თუ ისე მცირეა მსჯავრდებულ პირთა რიცხვი. აღმოჩნდა, რომ ერთი ნასამართლობა აქვს 2,5 პროცენტს, ორი — 10, ხოლო სამი და მეტი ნასამართლობა — 5,6 პროცენტს. არაერთხელ ნასამართლევ პირთა შორის 33,7 პროცენტმა დანაშაულის რეციდივის მიზეზად დაასახელა სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებული სიძნელეები, „ლამაზად" და თავისუფლად ცხოვრების სურვილი — 22,9, მატერიალური სიძნელეები — 19,3 შრომისადმი თავის არიდება — 14,5, თავშეუკავებლობა — 9,6 პროცენტმა და სხვა.

გამოკითხულთა უმრავლესობამ ინტიმური, სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მიიღო ინფორმაცია: დედასთან საუბრებში — 3,9 პროცენტმა, მასწავლებლებისაგან — 0,6, ამდენივემ ნაცნობი მედიცინის მუშაკებისაგან. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ სქესობრივ საკითხებში „განათლება" მიიღო მეგობარი გოგონებისაგან — 54,9 პროცენტმა. მამაკაცებისაგან, რომლებიც შეეცადნან ან უკვე ჰქონდათ მათთან ინტიმური კავშირი —23,5 პროცენტმა, ნაცნობებისა და მეზობლებისაგან — 16,5 პროცენტმა და სხვ. ამრიგად, უმეტეს შემთხვევაში, სქესობრივი საკითხების თაობაზე ინფორმაციის „წყარო" არ გამოირჩეოდა რაიმე მეცნიერული სიზუსტითა და პედაგოგიური ტაქტით. ამდენად, გაოცებას არ უნდა იწვევდეს, რომ ყმაწვილობის წლებში გამოკითხულთა უმრავლესობას (55,8%) მამაკაცთან სქესობრივ ურთიერთობის არაჯანსაღი ინტერესი გაეღვიძა. ამიტომ მამაკაცისადმი სქესობრივი ლტოლვა მათ ძალიან ადრე გაუჩნდათ: 12 წლიდან — 0,8 პროცენტს, 13 წლიდან — 2,5, 14 წლიდან — 3,3, 15 წლიდან — 12,9, 16 წლიდან — 21, 6, 17 წლიდან — 22,8, 18 წლიდან — 13, 7, 19 წლიდან — 6, 2, 20 წლიდან — 5, 4, 21 წლიდან და შემდგომ — 2, 4, არა გვაქვს ცნობები — 8,3 პროცენტზე. უფრო მეტიც, გამოკითხულთა 26,5 პროცენტმა პირველი სქესობრივი კავშირი დაამყარა 16 წლამდე ასაკში, ხოლო 48,9 პროცენტმა არა უმეტეს 17 წლის ასაკში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველი სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე ჰქონდა გამოკითხულთა 53,9 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხულთა 35,5 პროცენტმა პირველი სქესობრივი კავშირში დაამყარა უბრალოდ ნაცნობთან, 20,9 — მეგობართან, 18,5 — სავარაუდო საქმროსთან, 12,2 — მეზობელთან, 5,9 —უცნობთან, 0,3 — მამინაცვალთან, 2,1 პროცენტზე ცნობები არ მოგვეპოვება. ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირი შედეგების გათვალისწინების გარეშე, საკუთარი სურვილით დაამყარა 43,2 პროცენტმა, 19,2 — ცოლად შერთვის დაპირებით, 15,3 ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობით, 8 — იმყოფებოდა ალკოჰოლის გავლენის ქვეშ, 2,1 პროცენტმა ოჯახის წევრებისა, ხოლო 0,7 პროცენტმა მეგობარი გოგონების წაქეზებით.

პირველი ქორწინებამდელი სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ გამოკითხულთა 39,7 პროცენტი იოლად შეეგუა ბედს, 10,5 — მიატოვა სახლი, 10,1 — დაკარგა ადამიანებისადმი რწმენა, 4,2 — შესძულდა მამაკაცი და სხვ. მართალია, 18,5 პროცენტისათვის პირველი სქესობრივი კავშირი ქორწინებით დასრულდა, ხოლო 7,7 პროცენტისათვის — ბავშვის შეძენით, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ ყოფილა ბედნიერი ქორწინება ან ბედნიერი დედობა, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა ასეთი, შემდეგ, „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალთა კატეგორიაში აღმოჩნდა.

ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხული მეძავი ქალებისათვის ზნეობრივი გადაგვარებისა და სოციალური დეგრადაციის პროცესი ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაიწყო.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარს ჰყავს შვილი, თუმცა არასოდეს ყოფილა გათხოვილი ან დიდი ხანია განქორწინებულია. მათგან ერთი შვილი ჰყავს 60 პროცენტს, ორი — 29,5, ხოლო სამი ან მეტი — 10 პროცენტს. გამოკითხულთა 1/4 ჰყავთ შვილები და მეტნაკლებად ზრუნავენ კიდევაც მათ აღზრდაზე. მათ შორის მეტად მზრუნველი დედებიც გვხვდებიან, რომლებიც გულმოდგინედ მალავენ თავიანთ ნამდვილ სახეს, ბავშვებს „კონსპირაციის“ მიზნით „ძიძას“ აძლევენ აღსაზრდელად და ამისათვის მათ უხვადაც უხდიან გასამრჯელოს, მაგრამ, როგორც წესი, შვილები მწვავედ განიცდიან დედის ზნეობრივ დაცემას, რითაც ამორალურ ქალთა პრობლემა კიდევ უფრო მძიმდება.

გამოკითხულთა 61,8 პროცენტმა თავიანთ „კლიენტებთან“ გაცნობის ადგილად ნაცნობ-მეგობართა წრე დაასახელა, რესტორანი — 16,8, სასტუმრო — 9,1, ტრანსპორტი — 19,7, ქუჩა — 70,3, ხოლო სადგური — 11 პროცენტმა. სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ ადგილად საკუთარი ბინა მიუთითა გამოკითხულთა 35,9 პროცენტმა, მამაკაცის ბინა — 38,2, ნაცნობის ბინა — 20,8, ავტომანქანა — 16,8, გარყვნილების ბუდე — 6,8, ხოლო ნებისმიერი „მოსახერხებელი“ ადგილი — 37,4 პროცენტმა.

სულიერი და ფიზიკური დეგრადაციის დონის მიხედვით, მიგვაჩნია რომ „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალები იყოფიან ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან ახალგაზრდა, შედარებით მიმზიდველი გარეგნობის მქონე ქალები, რომლებიც ნაცნობ-მეგობართა წრეში, რესტორანში, სასტუმროში, უფრო იშვიათად, ტრანსპორტში პოულობენ პარტნიორებს და მათთან კავშირს ამყარებენ ბინაში, იშვიათად — სასტუმროში. გამოკითხულთა ეს კატეგორია სარგებლობს გარყვნილების ბუნაგის მომწყობი პირის ან სასტუმროს ზოგიერთი მუშაკის შუამავლობით. ისინი ჯერ კიდევ მუშაობენ და ამიტომ მამაკაცთან სქესობრივი კავშირისათვის მიღებული შემოსავალი დამატებითი წყაროა, მაგრამ ხშირად პარტნიორისაგან მიღებული „გასამრჯელო“ უფრო მეტია, ვიდრე ხელფასი და ამიტომ ქალს სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოუმუშავდება, რის გამოც, ადრე თუ გვიან, თავს ანებებს სამსახურს, კარგავს სამუშაო ადგილს.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ მორალურად და ზნეობრივად გაცილებით უფრო გახრწნილი ქალები. ისინი, როგორც წესი, არსად არ მუშაობენ, არა აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იღებენ შედარებით მცირე „გასამრჯელოს“, გამომწვევად დგანან ქუჩებსა და სადგურებში გარკვეულ დროსა და ადგილას, სქესობრივ კავშირს ამყარებენ ნებისმიერ მამაკაცთან, ადვილად ეგუებიან დამცირებასა და შეურაცხყოფას. ამ ქალთა გარკვეული კატეგორია უპირატესობას ანიჭებს ავტომანქანას, რადგან უფრო „ხელსაყრელად“ მიაჩნიათ სქესობრივი კავშირის დამყარება გაუკუღმართებული ფორმით, ვითომდა, ნაკლებად საშიში იყოს ვენერიული დაავადების შეყრის თვალსაზრისით.

გამოვიკვლიეთ თუ რაში ხარჯავენ „მსუბუქი ყოფაქცევის“ ქალები „გამომუშავებულ“ თანხას და რამდენად არიან ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილი. აღმოჩნდა, რომ ასეთი გზით მოპოვებულ თანხას ისინი ძრითადად ხარჯავენ ტანსაცმელზე, კოსმეტიკაზე (72,6%),

კვებაზე (64,7%), ბავშვებზე (28,2%), ბინაზე (21,6%), მშობლების დასახმარებლად (3,9%), მამაკაცებზე — (1,5%), ხოლო აგროვებს — 7,5 პროცენტი.

ამრიგად, გამოკითხულთა უმრავლესობა ასეთ თანხას ხარჯავს აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აგროვებს ფულს. რაც შეეხება მატერიალურ უზრუნველყოფას, „მსუბუქი ყოფაქცევის" ქალთა უმრავლესობა ცუდად არის მატერიალურად უზრუნველყოფილი. ძალზე იშვიათად გვხვდება ისეთი ქალი, რომელსაც აქვს მაღალი განათლება, ცენზი, პროფესია, ბინა და მხოლოდ გარკვეული წრის მამაკაცებთან ამყარებს სქესობრივ ურთიერთობას მაღალი „ანაზღაურების" საფასურად.

„მსუბუქი ყოფაქცევის" ქალები ვენერიულ დაავადებათა მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან და ხშირად თვითონ არიან ვენერიული დაავადების გამავრცელებლები. უნდა აღინიშნოს, რომ მეძავ ქალთა უმრავლესობა (67,1 პროცენტი) ვენერიული დაავადების შეყრის მუდმივი შიშით ცხოვრობს და სისტემატიურად იღებს ზომებს მისი თავიდან აცილებისათვის. კერძოდ, 68,3 პროცენტი გულმოდგინედ უვლის საკუთარ თავს, 35 — პირად ჰიგიენას იცავს, 13,2 — პროფილაქტიკის პუნქტებს აკითხავს, 11,8 — დადის ექიმთან შემოწმებაზე, 6,2 პროცენტი აბარებს ანალიზებს ვენდისპანსერში.

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, გამოკითხულთა ნახევარმა აღიარა, რომ უახლოეს წარსულში დაავადებული იყო ვენერიული სნეულებით, თუმცა, ჩვენი მონაცემებით, დაავადებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად უფრო მეტია.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (93,4%) ვენერიული სნეულებით დაავადდა რესპუბლიკის ფარგლებში, 5,1 — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო 1,5 პროცენტს გაუძნელდა პასუხის გაცემა. ეს მონაცემები აშკარად მეტყველებენ რესპუბლიკაში ვენერიულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ძირეული გაუმჯობესების გადაუდებელ აუცილებლობაზე.

დასასრულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, მისი გადაჭრისათვის შესაბამისი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებეფექტიანად იღწვიან. ამასთან, თითქმის არ გაგვაჩნია ამ საკითხის მეცნიერული გამოკვლევა. ეს ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე ჯერ კიდევ ბოლომდე არ გვაქვს წარმოდგენილი თუ რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს პროსტიტუცია მომავალი თაობის ზნეობრივად ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან საქმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლენი ავტოსატრანსპორტო დანაშაულის კანონმდებლობაში

ჯამლეთ გაგილაშვილი,
ქ. ქუთაისის პროკურორი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 1 ივლისს მიიღო ბრძანებულება „ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ". ბრძანებულებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებში, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის. ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა აგრეთვე სსკ 241-ე მუხლი. კერძოდ, გაუქმდა მისი პირველი ნაწილი, ხოლო მეორეში, რომელიც ახალი რედაქციის მიხედვით პირველ ნაწილად იქცა, გაიმიჯნა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად იქნა მიჩნეული ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

241-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შედეგები — დაზარალებულის სხეულის დაზიანება ან სიკვდილი, გაიყო ცალცალკე, მეორე და მესამე ნაწილებად. აქვე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად არის მიჩნეული ნასვამ მდგომარეობაში მოძრაობის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვება სხეულის მძიმე დაზიანება ან სიკვდილი.

241-ე მუხლის ახალი რედაქციის მეოთხე ნაწილში მოექცა მოძრაობის წესების ისეთი დარღვევა, რამაც რამდენიმე პირის სიკვდილი გამოიწვია. აქვე ცალკე, კვალიფიციურ ქმედობად გამოიყო და შესაბამისად მკაცრი სანქციები დაწესდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფის მიერ ჩადენილი იგივე ქმედობისათვის.

241-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოება. დამნაშავე შესაბამისი წესების დარღვევით იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და სხვა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას, საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და მიზეზობრივ კავშირს დარღვევის ფაქტსა და განხორციელებულ შედეგს შორის.

241-ე მუხლში გათვალისწინებული ნორმა ბლანკეტურია. იგი არ განმარ-

ტავს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა. პასუხს ამაზე სამართლის სხვა დარგის ნორმები იძლევიან.[1] ყველაზე გავრცელებულ ნორმატულ აქტს, რომელიც თითქმის მთლიანად აწესრიგებს ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის საკითხებს, წარმოადგენს გზებზე მოძრაობის წესები, რომლებიც სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ. ისინი შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: წესები, რომლებიც არეგულირებს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას და წესები, რომლებიც აწესრიგებენ ტრანსპორტის ექსპლუატაციის უსაფრთხოებას.

პირმა შეიძლება დაარღვიოს რომელიმე მათგანი ან ორივე ერთად. პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომლის დარღვევამ გამოიწვია შედეგი. ისე კი, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, თითოეულ კონკრეტულ საქმეზე უნდა დადგინდეს თუ დამნაშავის მიერ სახელდობრ რა წესი იყო დარღვეული და რაში გამოიხატა იგი.[2]

მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევად ჩაითვლება: სიჩქარის გადაჭარბება, ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს მანქანის მართვა, არასწორი გასწრება და სხვა.

ტრანსპორტის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევაა: ტექნიკურად გაუმართავი მანქანის მართვა, ღია კარებით მოძრაობა და ა. შ. 241-ე მუხლით პასუხისმგებლობის დროს მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად მოხდა შესაბამისი წესების დარღვევა: გზატკეცილზე, ქუჩაში, რკინიგზის გადასასვლელზე, ეზოში, მინდვრის გზაზე თუ საწარმოს ტერიტორიაზე ტრანსპორტით მოძრაობის დროს.[3] სხვა შემთხვევებში, როდესაც შედეგი დაკავშირებულია არა მანქანის მოძრაობასთან, არამედ ამ უკანასკნელით საწარმოო დავალების შესრულებასთან, დამნაშავის ქმედობა არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ავტოსატრანსპორტო დანაშაული. ასეთ დროს იგი უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პიროვნების, სოციალისტური ან მოქალაქეთა პირადი ქონების ან განსაზღვრულ სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევისათვის.[4]

რაც მთავარია, ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესები დარღვეული უნდა იყოს მანქანის მართვის დროს. 241-ე მუხლის ახალმა რედაქციამ დააკონკრეტა აგრეთვე წრე იმ მანქანებისა, რომლებსაც კანონმდებელი გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებებში. თუ ადრე მასში იგულისხმებოდა ავტომოტო და ქალაქის ელექტროტრანსპორტი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ახალ დისპოზიციაში ლაპარაკია იმ პირთა დარღვევებზე, რომლებიც მართავენ „ყველა სახის ავტომობილებს, ტრაქტორებს და სხვა თვითმავალ მანქანებს, ტრამვაი-ტროლეიბუსებს, აგრეთვე მოტოციკლებს და სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს"... იმის გარკვევა, თუ

---

[1] დაწვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომი — პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის, თბ., 1977, გვ. 22.

[2] სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 11 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ", «Сборник Постановлений Пленума Верховного суда СССР». 1978. ч. 2, стр. 281.

[3] იქვე, პუნქტი 3-6.

[4] იხ. «Сборник Постановлений Пленума Верховного Суда РСФСР, М., 1984, стр. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იგულისხმება ყველა სახის ავტომობილებში, ტრაქტორებსა, ტრამვაი-ტროლეიბუსებსა და მოტოციკლებში, რთული არ არის. ყველა სახის ავტომობილში უნდა ვიგულისხმოთ სატვირთო, მსუბუქი, სპეციალური დანიშნულების მანქანები და ა. შ.

დაზუსტებას მოითხოვს თვითმავალი მანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სახეები, რამდენადაც ეს თვისებრივი ელემენტები პრაქტიკულად 241-ე მუხლში ჩამოთვლილ ყველა სატრანსპორტო საშუალებას გააჩნია (გარდა ტრამვაი-ტროლეიბუსისა, რომლებიც ელექტრონზე მუშაობენ). კანონმდებელი ამ სატრანსპორტო საშუალებებში გულისხმობს იმ მანქანებს, რომლებიც საკუთარი წევით მოძრაობენ. ესენია: ექსკავატორი, გრეიდერი, სკრეპერი, სადეკი, კომბაინი, ბალახის სათიბი და სხვა საგზაო, სამშენებლო თუ სასოფლო-სამეურნეო მანქანები. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ცნობილი დადგენილებით სატრანსპორტო საშუალებებში იგულისხმება ის ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ექვემდებარებიან სახელმწიფო ავტოინსპექციაში რეგისტრაციას, სამგზავრო და სატვირთო ტრამვაი-ტროლეიბუსები, ყველა სახის ტრაქტორები, აგრეთვე საგზაო, სამშენებლო, მოსავლის ასაღები, სასოფლო სამეურნეო და მათი მსგავსი სპეციალური თვითმავალი მანქანები.[5] „სხვა თვითმავალ მანქანებში" იგულისხმება ნებისმიერი საგზაო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალური მანქანები (ექსკავატორი, გრეიდერი, ავტოამწე, სკრეპერი, ავტომტვირთავი და სხვ.).[6]

ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ძირითად პირობას მძღოლის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა წარმოადგენს. სიმთვრალეში კანონი გულისხმობს როგორც ალკოჰოლურ, ისე ნარკოტიკულ სიმთვრალეს.[7] პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ მძღოლს რა რაოდენობისა და სახეობის ალკოჰოლი აქვს მიღებული, ღვინო, არაყი, კონიაკი, ლუდი თუ სხვა. მნიშვნელობა არა აქვს, აგრეთვე, სიმთვრალის ხარისხს, მსუბუქადაა იგი მთვრალი, საშუალოდ თუ სრულად. ნასვამ მდგომარეობაში მყოფად ითვლება ისიც, ვინც ერთი კათხა ლუდი დალია და ისიც, ვინც რამდენიმე ლიტრი ღვინო.[8] სრული სიმთვრალე, რომლის დროსაც ადამიანს არ შეუძლია შეიგნოს საკუთარი მოქმედების შედეგები ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას, არ გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას, თუ ასეთი მდგომარეობა მისი ბრალით არის გამოწვეული.

241-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის საკმარისი არ არის მარტო იმის დადგენა, რომ პირმა დაარღვია წინდახედულობის ნორმა, ამასთან ერთად საჭიროა განსაზღვრული შედეგის არსებობაც. ერთ-ერთ ასეთ შედეგად კანონი ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას. პასუხისმგებლობა მისთვის დიფერენცირებულია დაზიანების ხარისხის მიხედვით. ავტოავარიით მიყენებული დაზიანების სიმძიმეს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც განისაზღვრება ქმედობის კვალიფიკაცია 241-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით. კანონი გულისხმობს დამნაშავის მიერ სხვის დაზიანებას. ტრანსპორ-

[5] Сборник Постановлений Пленума Верховного Суда РСФСР, М., 1984, стр. 240.

[6] Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1978, ч. 2, стр. 284. «Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР», 1978, ч. 2, стр. 286.

[7] იქვე, გვ. 288.

[8] გაზეთი „კომუნისტი", 1985 წლის 5 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მოძრაობის წესების დარღვევა, თუ მას შედეგად მოჰყვა მხოლოდ მძღოლის დაზიანება, არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას და პირმა არ შეიძლება პასუხი აგოს ამ დანაშაულისათვის.

241-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებულია მოძრაობის წესების დარღვევით დამდგარ ისეთ შედეგზე, როგორიცაა ადამიანის სიკვდილი, ხოლო მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს ქმედობას, რასაც მოჰყვა „რამდენიმე პირის დაღუპვა". აქ კანონმდებელი გულისხმობს, სულ მცირე, ორი ადამიანის სიკვდილს მაინც.

განსახილველ მუხლში ერთ-ერთ შედეგად გათვალისწინებულია აგრეთვე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს: მანქანის დაზიანებით, ტვირთის გაფუჭებით, პირუტყვის გაჟლეტით და ა. შ. ზარალი ქონებრივი ზიანის ფულადი გამოხატულებაა, რომელიც რაოდენობრივ მხარეს გულისხმობს. 241-ე მუხლით მატერიალური ზარალი გაგებული უნდა იყოს, როგორც პირდაპირი ზარალი, ის რაც რეალურად წახდა, გაფუჭდა და არა როგორც გამორჩენა, რომელიც პატრონს უნდა მიეღო ამ ქონებიდან. ავტოავარიების საქმეთა განხილვის დროს სასამართლოები არ უნდა შემოიფარგლონ ზოგადი მითითებით, რომ დამნაშავის მიერ გამოწვეულია მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, საჭიროა განაჩენში აღინიშნოს ზარალის კონკრეტული ოდენობა და მოტივები, რომელთა მიხედვითაც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი.[9]

ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევის დადგენისათვის საჭიროა გაირკვეს თუ კანონით გათვალისწინებული რა შედეგი მოჰყვა მას და არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და დამდგარ შედეგს შორის. სხვა შემთხვევაში პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.[10] მიზეზობრივი კავშირის დადგენა ძნელი არ არის მაშინ, როდესაც შედეგი უშუალოდ მოსდევს დარღვევას, მაგრამ ზოგჯერ ეს პროცესი გართულებულია, რადგან მძღოლის გაუმართლებელ მოქმედებას ხელს უწყობს დაზარალებულის წინდაუხედაობა. ასეთ შემთხვევაში მძღოლი პასუხს აგებს საერთო წესით, ხოლო დაზარალებულის მოქმედება მიჩნეული უნდა იყოს როგორც მძღოლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.[11] უფრო მეტიც, შეიძლება დაზარალებულის, ვთქვათ, ფეხით მოსიარულის უხეშმა გაუფრთხილებლობამ, საერთოდ გამორიცხოს იმ მძღოლის პასუხისმგებლობა, რომელმაც მას მანქანა დააჯახა.

როდესაც ავტოავარიას ადამიანის სიკვდილი მოსდევს, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის აუცილებელია დადგინდეს დაზარალებულის სიკვდილის მიზეზი. ზოგჯერ დაღუპულის ახლობლები გვამის გაკვეთის წინააღმდეგნი არიან და ისე მოითხოვენ დამნაშავის დასჯას. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებიც ექცევიან რა დაზარალებული მხარის ზეგავლენის ქვეშ, გვამის

---

[9] სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დასახელებული № 11 დადგენილება,

[10] Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1974, № 11, стр. 14—15, бюллетень Верховного Суда РСФСР, 1974, № 4, стр. 7.

[11] სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება, რ-სა და კ-ს საქმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის გარეშე აძლევენ პირს პასუხისგებაში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მართებული არ არის და როგორც წესი, ასეთი განაჩენი უქმდება ზემდგომი სასამართლოს მიერ და საქმე ბრუნდება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

თუ მატერიალური ზარალი გამოწვეულია ორი ან მეტი სატრანსპორტო საშუალების შეჯახებით, მისი ანაზღაურება მოხდება თითოეული მძღოლის მოქმედების ბრალეულობის მიხედვით.

თუ შედეგი გამოწვეულია იმ პირის მიერ, რომელიც სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს უკიდურესი აუცილებლობის გამო გახდა იძულებული დაერღვია მოძრაობის წესები, იგი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.[12]

ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტია ნებისმიერი შერაცხადი პირი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი. პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამრღვევი პროფესიონალი მძღოლია, ავტომოყვარული თუ საერთოდ მართვის უფლების არმქონე.

მანქანის მართვაში იგულისხმება არა მარტო იმ სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, რომლის საჭესთანაც პირი ზის, არამედ იმ მანქანისაც, რომელიც ბუქსირზე ჰყავს გამობმული. მძღოლი-ინსტრუქტორი, რომელიც სასწავლო მანქანას მართავს მოსწავლესთან ერთად, პირადად აგებს პასუხს დაშვებული დარღვევებისათვის, რამდენადაც იგი ორმაგი მექანიზმის საშუალებით ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს მოსწავლის მოქმედებას.[13]

თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესები შეგნებულად დაარღვიეს ინსტრუქტორმა და მოსწავლემ, ან მთვრალები მართავენ მანქანას, ავარიის შემთხვევაში ორივენი თანაბრად აგებენ პასუხს.[14]

241-ე მუხლში არაფერია ნათქვამი ქმედობის სუბიექტურ მხარეზე. მიჩნეულია, რომ ეს დანაშაული მიეკუთვნება გაუფრთხილებლობით დელიქტებს. სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაული განხილული უნდა იყოს როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი, რამდენადაც ქმედობის სუბიექტურ მხარეს განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევისას პირის გაუფრთხილებელი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობასთან.[15] 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. თვითიმედოვნების დროს დამნაშავის თვითდაჯერება შეიძლება ემყარებოდეს ისეთ კონკრეტულ ფაქტორებს, როგორიცაა: გამოცდილება, მანქანის გამართულობა, მესამე პირთა მოქმედება, გარემო პირობები და ა. შ. იგი, გადაჭარბებულად აფასებს რა ამ ფაქტორებს, არ ითვალისწინებს მიზეზობრივ კავშირს თავის ქმედობასა და მოსალოდნელ შედეგს შორის და საბოლოოდ მას რეალობად ხდის. ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საქმეთა წინასწარი გამოძიების თუ სასამართლო განხილვის დროს უნდა დადგინდეს დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება განხორციელებულ

---

[12] «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1976, № 1, стр. 3.
[13] «Бюллетень Верховного Суда СССР», 1971, № 12, стр. 5—6.
[14] «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1974, № 8, стр. 8—9.
[15] Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1978, ч. 2, стр. 284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგთან. საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში უნდა ჩანდეს ისიც, თუ გაუფრთხილებლობით ბრალის რა სახითაა ეს დანაშაული ჩადენილი. თვითიმედოვნების დროს საჭიროა დასაბუთდეს, რომ დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მათ თავიდან აიცილებდა კონკრეტული გარემოებების დახმარებით. აქვე მითითებული უნდა იყოს ამ გარემოებებზე.

დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს ის, თუ რაში გამოიხატება პირის დაუდევრობა. იყო თუ არა იგი ვალდებული წინდახედულება გამოეჩინა მავნე შედეგის დადგომის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში და ჰქონდა თუ არა ამის შესაძლებლობა.

მძღოლი პასუხს არ აგებს მანქანის დაჯახებისათვის (იქნება ეს სატრანსპორტო საშუალება თუ ფეხით მოსიარულე), თუ დაზარალებული მოძრაობის წესების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მისგან (მძღოლისაგან) მოულოდნელად შეცვლის მოძრაობის მიმართულებას. ამ შემთხვევაში მძღოლს არ შეუძლია გაითვალისწინოს მოვლენათა ასეთი განვითარება და საქმე გვაქვს ბრალის გარეშე მავნე შედეგის გამოწვევასთან.[16] თუ ავტოავარიით დამდგარი შედეგი გამოწვეულია განზრახ, მაშინ დამნაშავის ქმედება სცილდება 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და იგი დაკვალიფიცირდება როგორც მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ანდა სახელმწიფო საზოგადოებრივი ან პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაული.[17]

თუ ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენი პირი თავს არიდებს დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენას, სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, 241-ე და 129-ე მუხლებით.[18]

ზოგჯერ განსაცდელში მიტოვებულად თვლიან ავტოავარიის შემთხვევის ადგილას მსუბუქად ან ნაკლებად მძიმედ დაზიანებული პირის ან გარდაცვლილის უყურადღებოდ მიტოვებას. სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება სიცოცხლისათვის საშიში არ არის და ამიტომ ასეთი პირის მიტოვებისათვის მძღოლმა არ უნდა აგოს პასუხი 129-ე მუხლით. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი გარდაცვლილის ადგილზე მიტოვების დროს. 129-ე მუხლში იმ პირის განსაცდელში მიტოვებაზეა მსჯელობა, რომელიც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. თუ დაზარალებული უკვე მკვდარია, ბუნებრივია, დახმარების აღმოჩენას აზრი აღარ აქვს და მისი შემთხვევის ადგილზე მიტოვება არ შეიძლება ჩაითვალოს განსაცდელში მიტოვებად.

თუ მძღოლს ბრალი არ მიუძღვის ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება, იგი ვალდებულია დაეხმაროს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში მძღოლი პასუხს აგებს 129-ე მუხლით.[19]

---

[16] «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1980, № 1, стр. 15—16.

[17] იქვე, გვ. 248.

[18] Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР, ч. 2, 1978, стр. 286.

[19] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევით გამოწვეულია რამდენიმე შედეგი, რომლებიც 241-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილით არის გათვალისწინებული, მე-40 მუხლით ამგვარი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 241-ე მუხლის შესაბამისი ნაწილების ერთობლიობით.[20]

საყურადღებო ცვლილებებია შეტანილი აგრეთვე იმ სასჯელთა სისტემაში, რომლებიც ადრე იყო დაწესებული 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. სახელდობრ, დამატებითი სასჯელის სახით შემოღებულია სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა იმ პირთათვის, რომლებმაც ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინეს ავტოსატრანსპორტო დანაშაული.

სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა მდგომარეობს დამნაშავე პირის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების იძულებით ჩამორთმევასა და დადგენილი წესით მის შემდგომ რეალიზაციაში, ყოფილი მესაკუთრისათვის მიღებული თანხის გადაცემით, რომელსაც გამოაკლდება რეალიზაციის ხარჯები.

სიახლენი, რომელიც 241-ე მუხლმა განიცადა, გამიზნულია ავტოსატრანსპორტო დანაშაულის შესახებ კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის. ცხადია, იგი ხელს შეუწყობს დღეისათვის ამ ყველაზე მეტად გავრცელებული სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას, შექმნის ერთიან დასჯით სასამართლო პრაქტიკას და რაც ყველაზე მთავარია გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც ხშირად ნასვამ მდგომარეობაში მყოფნი მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს.

---

20 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება „რესპუბლიკის სასამართლოების მიერ ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 11 დადგენილების შესრულების თაობაზე“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, № 3, 1975, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე ღირსების შესახებ

პეტრე ტრუბნიკოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
მიხეილ ფედოტოვი,
სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ზოგჯერ იტყვიან „გაკრიტიკება ადვილიაო...“ სინამდვილეში კი სულ სხვაგვარადაა საქმე. მრავალ მიზეზთა შორის ეს იმიტომ ხდება, რომ გაზეთის ფურცლებზე ან ეთერში გამოთქმული ყოველი ბრალდება მისხალ-მისხალ უნდა აიწონოს ობიექტურობის, სიზუსტის, დამაჯერებლობის სასწორზე. უმცირესი გადახრა, ფაქტებისაგან თითქოსდა უმნიშვნელო დაცილება მოზღვავებული ემოციის დროს, სხვათა შორის ნასროლი სალანძღავი სიტყვა და აი, რედაქტორის მაგიდაზე უკვე სასამართლო უწყება დევს, რედაქცია მოპასუხე ხდება მოქალაქის პატივისა და ღირსების შელახვისათვის. ჟურნალისტის შეცდომა გაკრიტიკებულთა კოზირია. სინამდვილეს შეუფერებელი დეტალები ჩრდილს აყენებენ მთელ მასალას, გვაეჭვებენ მის ობიექტურობაში. ხდება, რომ ასეთი ეჭვები სამართლიანია, როდესაც კრიტიკის ქვეშ ექცევა უდანაშაულო ადამიანი, როდესაც როგორც იურისტები იტყვიან, სახეზეა შეცდომა ობიექტში.

ჩვენი ჟურნალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი საქმეები ძალზე ცოტაა. ისინი მთლიანად სამოქალაქო საქმეების ერთ პროცენტსაც არ შეადგენენ. მაგრამ ასეთი საქმეები მაინც არის. მაშასადამე, არის საბაბიც, რომ ვისაუბროთ მათი გადაწყვეტის დროს წარმოშობილი პრობლემის შესახებ.

მიხეილ ფედოტოვი: ამას წინათ „ჟურნალისტს“ მოსწერა ჟურნალ „ჩელოვეკ ი. ზაკონის“ განყოფილების რედაქტორმა ვ. კონონენკომ. აი, მისი პოზიცია: „კრიტიკული მასალების ავტორთა მუშაობა დღითი-დღე რთულდება. ისინი, ვისაც ჩვენ პუბლიკაციებში ვეხებით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გვაიძულონ გავჩუმდეთ. უკანასკნელ ხანს ჟურნალისტები სულ უფრო ხშირად ეძლევიან სასამართლო პასუხისგებაში რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით (პატივისა და ღირსების დაცვა). ჩვენ ნამდვილი ომი გამოგვიცხადეს, რომლის მიზანია ჭკუა გვასწავლონ, მოგვტეხონ, სამუდამოდ დაგვიკარგონ პრესაში ვინმეს წყენინების სურვილი“.

ჩემი აზრით, წერილის ავტორი, რბილად რომ ვთქვათ, ყველაფერში მართალი არ არის. გართულდა, მაგრამ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მომთხოვნელობა გაიზარდა, კრიტიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენების არე გაფართოვდა. და იქნებ იმიტომაც, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი მიუჩვეველია კრიტიკას, ვერ აითვისა ეს რთული საქმე, იგი ხომ ფილიგრანულ იურიდიულ სიზუსტეს, პრინციპულობას, სამოქალაქო გაბედულობას მოითხოვს. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი განსაკუთრებული პროფესიაა. ჟურნალისტიკა მათ შორის ერთ-ერთი მათგანია. მაგრამ, ამავე დროს, არსებობს უსაფრთხოების თავისებური ტექნიკაც, რომლის გარეშეც შეიძლება ბევრ ჭირს გადაეყარო. ვერ დავეთანხმები იმისაც, თითქოს რსფსრ სამოქალაქო სამართლის მე-7 მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, 1980-86 წლების მონაცემები ამას არ ადასტურებს.

პეტრე ტრუბნიკოვი: ნამდვილად, ბოლო წლებში ასეთი საქმეების რაოდენობა ქვეყნის სასამართლოებში დაახლოებით ერთ დონეზეა. მე-7 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სასამართლო წესით გადასაწყვეტი კონფლიქტები ძალზე იშვიათია. რაც შეეხება თქვენს მიერ ციტირებულ წერილს, ასეთი არგუმენტები ახალი არ არის. ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში, როდესაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლი და სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები ძალაში შევიდა, გაისმა გაღიზიანებული ხმები. აცხადებდნენ, რომ აღნიშნული სამართლებრივი ნორმა აქეზებს შარისთავებს, რომ მოდავეები ფელეტონისტებს „ბარიერთან“ იხმობენ, რედაქციებში კი „განკითხვის დღეები“ დადგა.

იმ დროიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ დადგენილმა წესებმა სრულიადაც ვერ შეარყია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრესტიჟი. პირიქით, მათ კიდევ უფრო გაზარდეს ნდობა გამოქვეყნებული ცნობებისადმი, რამდენადაც ხელმისაწვდომი გახდა სასამართლო მასალების შემოწმება. ამავე დროს, ხელ-ფეხი კი არ გაეხსნათ შარისთავებს, არამედ, პირიქით, შეძლებისდაგვარად შეიბოჭნენ ისინი. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1971 წლის 17 დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძ[illegible]ების მე-7 მუხლის სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, ხაზგასმულია, რომ ეს ნორმა საბჭოთა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების პატივისა და ღირსების დაცვის განსაკუთრებული საშუალებაა, აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და აგვაცილებს რა მოქალაქეთა დამცირების ფაქტებს, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტური საწყისების განმტკიცებას.

მიხეილ ფედოტოვი: ასეთი სასამართლო საქმეების სიმცირე, როგორც ჩანს, მე-7 მუხლის გამაფრთხილებელი მოქმედების შედეგია. ახსოვთ სახელის გამტეხ გავრცელებულ ცნობებზე სასამართლო დავის შესაძლებლობა და კრიტიკული პუბლიკაციების მომზადებისას ჟურნალისტები, როგორც წესი, ყურადღებით ამოწმებენ და გადაამოწმებენ ხოლმე ფაქტებს. სხვა ახსნაც არსებობს. აღმოჩნდება რა მძიმე მდგომარეობაში თავის ავტორთა ბრალით, ბევრი რედაქცია ცდილობს საქმე სასამართლომდე არ მიიყვანოს და თავის შეცდომაში დარწმუნებული დაუყოვნებლივ ათავსებს უარყოფას, ასეთი შემთხვევებისათვის დამახასიათებელი ბოდიშის მოხდით.

სხვებს კი, როგორც ეშმაკს საკმეველის, ისე ეშინიათ უარყოფის, და მაშინაც, თუ აშკარად მოემწყვდევიან ჩიხში, ყოველ ღონეს ხმარობენ თავისი უცოდველობის დასამტკიცებლად. მათთვის უარყოფა — კატასტროფაა, რედაქციის რეპუტაციისათვის მოუცილებელი ლაქა და არა დაუმსახურებლად სახელგატეხილი კაცის პატიოსანი სახელის აღდგენის ჩვეულებრივი, ორდინალური ხერხი.

პეტრე ტრუბნიკოვი: გაგახსენებთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს: შეცდომა, ყველას შეიძლება მოუვიდეს, — წერდა იგი, — და ამაში საგანგაშო არაფერია. მაგრამ თუ რედაქცია თავის შეცდომას იცავს, ამით, მართალია, სამუდამოდ არა, მაგრამ დიდი ხნით მაინც „იტოვებს ხიჭვს“, იბღალავს სახელსა და მდგომარეობას. ხოლო თუ რედაქცია სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე აქვეყნებს უარყოფას, იგი მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან, პირველ რიგში, თვით მოდავე მხარეებისა და მოწმეების დრო იზოგება ,მეორე, მცირდება ვადა მასალების გამოქვეყნებიდან უარყოფამდე და რაც მთავარია, საჭირო აღარ არის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. თუმცა, ასეთი დავების არასასამართლო გზით გადაწყვეტას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, აქ ყველაფერი მხარეთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

მიხეილ ფედოტოვი: ასეთი წესი უკვე დაკანონებულია ზოგიერთ მოძმე ქვეყანაში. მაგალითად, რუმინეთისა და პოლონეთის კანონებით დადგენილია, რომ სახელგატეხილ მოქალაქეს უფლება აქვს მასალების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მიმართოს რედაქციას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაზუსტი ცნობების უარყოფისათვის და მხოლოდ რედაქციის უარის შემდეგ შეუძლია ერთ-თვიან ვადაში შეიტანოს სარჩელი სასამართლოში. ყურადღება მიაქციეთ: კონფლიქტის გადაჭრის ვადები ძალზე მცირეა. ეს კი ათავისუფლებს ჟურნალისტებს წლობით, ზოგჯერ ათეულ წლობით შეინახონ „ყოველი შემთხვევისათვის“ საჭირო მასალები.

პეტრე ტრუბნიკოვი: მე მივხვდი თქვენს ნართაულს, დიახ, ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობებით დადგენილი არ არის სასარჩელო ვადები პატივისა და ღირსების დაცვის საქმეებზე. თვით სახელგატეხილ მოქალაქეს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს წარადგინოს სარჩელი უარყოფის მოთხოვნით. ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა არასწორი ცნობების გამოქვეყნებასა და მათი უარყოფის დავას შორის ათეული წლები გასულა, მაგრამ ამაში არაკეთილსინდისიერი ხალხის დასაძრომი არ უნდა დავინახოთ, რომლებიც ელოდებიან, თუ როდის გადაავიწყდება ავტორს ინფორმაციის წყარო, ხოლო დოკუმენტები სამუდამოდ დაიკარგება. ხომ შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც პირვანდელი-სათვის დიდხანს არ იყო ცნობილი მისი სახალხოდ შერცხვენის შესახებ, ან თუნდაც ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო თავისი უფლების დაცვა.

იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენს მიერ მითითებული წესები სამოქალაქო სამართლის კოდექსებით კი არა, პრესის კანონებითაა დადგენილი. ამჟამად, ჩვენს ქვეყანაშიც მუშავდება ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის შესახებ კანონის პროექტი. ვფიქრობ, მასში უნდა შევიტანოთ არასწორი ცნობების უარყოფის დავების არასასამართლო გზით გადაწყვეტის ნორმები. ამ დავების გადაწყვეტის არასასამართლო წესისათვის საკმაოდ შემჭიდროებული ვადები უნდა დადგინდეს და თუ კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით არ მოხერხდება, მოქალაქეს შეეძლება სასამართლოს მიმართოს. მაშინ ის უკვე აღარ იქნება შეზღუდული სასარჩელო ხანდაზმულობით.

მიხეილ ფედოტოვი: მოდით ასეთი საკითხიც განვიხილოთ. კანონი ავალდებულებს მოპასუხეს, ჩვენ შემთხვევაში ავტორსა და რედაქციას, სასამართლოში დამტკიცოს გავრცელებული ცნობების სიმართლე. მაგრამ, განა ყველაფრის დამტკიცებაა საჭირო? თავს ნებას მივცემ შეგახსენოთ კ. მარქსის სიტყვები სიმბოლური სათაურის მქონე სტატიიდან „მოზელელი კორესპონდენტის გამართლება“. თუ უნდა დამტკიცდეს, რომ კორესპონდენტი მართალს ამბობს, წერდა იგი, განა საფიქრალია, რომ ყოველი სიტყვის დამტკიცებაა საჭირო. სხვაგვარად მცდარად ჩაითვლებოდა ყოველგვარი რეზიუმე და საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ვისმე გამოსვლის აზრის გადმოცემა, თუ მას სიტყვა-სიტყვით არ გაიმეორებდით.

და მეორეც, მოპასუხეებმა როგორ, რით დაამტკიცონ თავიანთი სიმართლე? სასამართლო რას მიიღებს მხედველობაში და რას არა? აი კიდევ ერთი ფრაგმენტი ვ. კონონენკოს წერილიდან: „საიდუმლო არაა, რომ ჩვენ ხშირად არ გვაძლევენ სტატიის დასაწერად საჭირო დოკუმენტებსა და მასალებს. არ გვაძლევენ სწორედ ისინი, რომლებიც შემდეგ სასარჩელო განცხადებით სასამართლოში მიდიან და იქ ითხოვენ იმის ჩვენებას, თუ რის საფუძველზე დაიწერა ესა თუ ის ფრაზა, მოყვანილი იქნა ესა თუ ის ფაქტი. ბევრი მოქალაქე უარს აცხადებს ზეპირი ცნობების მოცემაზე, ამბობენ: „თქვენ ჩვენ თვალითაც კი არ გვინახიხართო“, ჟურნალისტის ბლოკნოტსა და მაგნიტოფონის ლენტზე ჩანაწერებს ზოგიერთი მოსამართლე კი ყურადღებას არ აქცევს. ასეთ შემთხვევაში პრესის მუშაკმა როგორ დაამტკიცოს თავისი სიმართლე, დაიცვას თავისი პატივი და ღირსება?!

პეტრე ტრუბნიკოვი: დავიწყებ პირველი შეკითხვით. სინამდვილესთან შესაბამისობა ორნაირად უნდა გავიგოთ. პირველი, როგორც ქცევის, მოქმედების, მოვლენის შესახებ ცნობის შესაბამისობა სინამდვილეში მომხდარ ფაქტთან, ე. ი. ფაქტების შესახებ ცნობის სისწორე. მეორე, როგორც ფაქტების მორალური შეფასების სრული შესატყვისობა. ასეთი გაგებაა გამომუშავებული სამართლის მეცნიერების მიერ და სასამართლო პრაქტიკა მას მხარს უჭერს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე-7 მუხლი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოქალაქეებს უფლება ეძლევათ სასამართლო დავის საგანი გახადონ ამა თუ იმ მასალაში ავტორისეული გადმოცემა, მონახაზი, შედარება, ზოგიერთი შტრიხი. სრულიად აშკარაა, რომ ამას გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი სტატია, როგორც ავტორის მოქმედების და ფაქტებთან მისი დამოკიდებულების შედეგი. მაგრამ ფაქტები ზუსტი უნდა იყოს, ხოლო შეფასება — სწორი.

რაც შეეხება გამოთქმის სიმძაფრეს, ის დასაშვებ ფარგლებში უნდა მოექცეს, რომლის ქით შეურაცხყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება. გარდა ამისა, როგორც გამოჩენილმა რუსმა იურისტმა ა. ფ. კონიმ ბრძნულად აღნიშნა, ლანძღვა-გინების უქონლობით სიმართლე არაფერს აგებს, ხოლო ბეჭდვითი სიტყვის ღირსება კი იგებს, რამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ უხეში გამოთქმები მთქმელის გაღიზიანებაზე უფრო მიგვანიშნებს, ვიდრე გასალანძღის თვისებებზე.

ახლა მტკიცებულებათა შესახებ. კანონის აზრით მტკიცებულებაა ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომელსაც სასამართლო დაადგენს შემდეგი საშუალებით: მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებით, ექსპერტთა დასკვნებით. ამასთან, სასამართლოსათვის არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამონაკლისი, ისიც განსაზღვრულ ფარგლებში, მხოლოდ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენისთვის შეიძლება გაკეთდეს. ამიტომ ინფორმაციის ყველაზე საიმედო წყარო ჟურნალისტებისათვის სასამართლო განაჩენია, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ პატივისა და ღირსების შესახებ მრავალი დავა შეეხება იმ პუბლიკაციებს, რომლებიც დაწერილია სისხლის სამართლის საქმეთა მასალების მიხედვით.

ბუნებრივია, ჟურნალისტს შეუძლია სხვა მასალებიც გამოიყენოს: სამსახურებრივი დახასიათებები, კრებების ოქმები, ოფიციალური ცნობები და სხვა. არავინ კრძალავს თანამდებობის პირთა ან ცალკეულ მოქალაქეთა აზრების დამოწმებას. სასამართლოსათვის უფრო მნიშვნელოვანი ის კი არ არის, საიდანაა ამოღებული ესა თუ ის ცნობა, არამედ სინამდვილესთან მათი შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის ფაქტი.

მაგალითად, თუ არაზუსტი ცნობები გაზეთის ფურცლებზე სამსახურებრივი დახასიათებიდან მოხვდა, მაშინ რედაქციასა და ავტორთან ერთად საქმეზე თანამოპასუხეები იქნებიან დახასიათებაზე ხელისმომწერი პირები და ორგანიზაცია, რომლის სახელითაც იგი გაიცა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასეთი დახასიათება უნდა შეიცვალოს. ხოლო პრესის მიერ გავრცელებული ცნობები უარყოფილ იქნეს. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში რედაქცია და ავტორი ბრალის გარეშე დამნაშავეებად გვევლინებიან, მაგრამ მათ ხომ არც სჯიან. საქმე ეხება მხოლოდ სინამდვილესათვის შეუფერებელი, სახელის გამტეხი ცნობების უარყოფას.

ახლა კი ისეთი მტკიცებულებების შესახებ, რომელთა დამოუკიდებლად მოპოვება ჟურნალისტს არ შეუძლია. მას უფლება აქვს დასახმარებლად მიმართოს საქმის განმხილველ სასამართლოს. ამას გარდა, სასამართლო მოვალეა თავისი ინიციატივით გამოითხოვოს ის აუცილებელი მტკიცებულებანი, რომელთა წარმოდგენა არ შეუძლიათ საქმეში მონაწილე პირებს.

მიხეილ ფედოტოვი: მოდით დავაზუსტოთ. თვით ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის საფუძველზე გამოქვეყნებული კრიტიკული მასალაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შემდგომში რედაქციას არ მოუწევს უარყოფის მოთავსება.

1981 წლის 18 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეებს უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“. მის საფუძველზე მიღებული დებულებებითა და ინსტრუქციებით გამამართლებელი განაჩენის დადგენის ან დანაშაულის ან მისი შემადგენლობის არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის, მის ჩადენაში პირის მონაწილეობის დაუმტკიცებლობის შემთხვევებში გათვალისწინებულია მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. თუ ასეთი მოქალაქის გასამართლების ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ცნობა პრესაში გამოქვეყნდა, მაშინ რედაქცია მოვალეა მისი მოთხოვნის საფუძველზე ერთი თვის ვადაში გამოაქვეყნოს შესაბამისი ინფორმაცია. რედაქციის უარის შემთხვევაში, მოქალაქეს უფლება აქვს გამოიყენოს მე-7 მუხლი და მიმართოს სასამართლოს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები ჟ. კონონენკოს წერილს. ავტორი განცვიფრებულია: როგორ შეიძლება მოქალაქემ სასამართლოს გზით მოითხოვოს უარყოფა, თუ პუბლიკაციაში მისი გვარი მხოლოდ ერთი ასოთია აღნიშნული, მაგალითად, „ხარატი ნ“?

პეტრე ტრუბნიკოვი: რა არის აქ გასაკვირი? თუ პუბლიკაციაში მითითებულია, მაგალითად, ქალაქი, საწარმო, მომხდარი ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ამ შრომითი კოლექტივის წევრთათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის დადგენა, თუ ვინ არის ეს საიდუმლოებით მოცული „ხარატი ნ.“ სხვა შემთხვევაა, როცა სტატიაში ასეთი კონკრეტული დეტალები მოყვანილი არ არის, ასეთ დროს სასამართლო საქმის არსებობა შეუძლებელია.

მიხეილ ფედოტოვი: ხომ არ გგონია, რომ საკითხის ამგვარი განმარტებით ჩვენ უნებურად უმისამართო კრიტიკისაკენ მოვუწოდებთ?

პეტრე ტრუბნიკოვი: ასე საკითხი არ დგას. ჩემი აზრით, გვარს მაშინ არ შიფრავენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მას ავტორისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც მთავარია მითითება პრობლემაზე (განსაკუთრებით პირადი ცხოვრების მაგალითებზე, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად ხელშეუხებელია) და არა კონკრეტულ მოქმედ პირზე.

მიხეილ ფედოტოვი: პეტრე იაკობის ძევ, ის ეპიზოდი თუ გახსოვთ „თორმეტი სკამიდან", როდესაც ოსტაპი გამოცხადდება გაზეთ „სტანოკის" რედაქციაში და უარყოფას მოითხოვს? „ამხანაგო რედაქტორო, აქ ჩემს შესახებ სრული ცილისწამებაა მოთავსებული, — თქვა გენიალურმა კომბინატორმა და ინფორმაციაში „ცხენს ჩაუვარდა" შემდეგ ფრაზაზე მიუთითა, — „დაზარალებული მსუბუქად შეშინდა". თავისი მოთხოვნა ბენდერმა, ასე დაასაბუთა: „განა მე ვიღაც მეეტლის შემეშინდებოდა! მთელი მსოფლიოს წინაშე შემარცხვინეთ— უარყოფას მოვითხოვ". ამაზე რედაქტორმა უპასუხა: „აი რა, მოქალაქეო, თქვენ არავის შეურცხვენინხართ, და ასეთ უბრალო რამეზე ჩვენ უარყოფას არ ვიძლევით". მოდით გავაანალიზოთ, სამართლიანია თუ არა ოსტაპის მოთხოვნა ახლანდელი კანონმდებლობის თვალსაზრისით.

პეტრე ტრუბნიკოვი: კანონის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს გავრცელებული სახელისგამტეხი ცნობების უარყოფის მოთხოვნა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ უკვე მითითებულ დადგენილებაში განმარტებულია, რომ სახელის გამტეხია ისეთი ცნობა, რომელიც საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა თვალში ამცირებს მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას კანონის მოთხოვნათა, ერთად ცხოვრების სოციალისტური წესებისა და კომუნისტური მორალის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით, თუ ავტორი პუბლიკაციაში დაუსაბუთებლად ამტკიცებს, რომ ესა თუ ის პიროვნება არ იცავს სამართლისა და მორალის ნორმებს, მაშინ იგი ამცირებს მის პატივსა და ღირსებას.

მაგალითად, სახელის გამტეხი იქნება ცნობა მოქალაქის მიერ შრომითი და პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ, უპატიოსნო მოქმედებაზე, რაიმე შემბღალავ საქმეში მონაწილეობაზე და ა. შ. ხაზს ვუსვამ, რომ არ შეიძლება პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს მივაკუთვნოთ მუშაობაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ყოფაცხოვრებაში ქცევის ნაკლოვანებების სამართლიანი კრიტიკა.

ვფიქრობ, ახლა უკვე გასაგებია, რომ ცნობას ოსტაპ ბენდერის „მსუბუქად შეშინებაზე" დღეს სასამართლო სახელისგამტეხად არ მიიჩნევდა.

მიხეილ ფედოტოვი: ერთ-ერთი სასამართლო საქმის განხილვის დროს მოსარჩელე ორ ფრაზას ასაჩივრებდა. ერთ მათგანში ნათქვამი იყო, რომ ის არაერთხელ იყო განთავისუფლებული გაცდენების და ლოთობისათვის, ხოლო მეორეში, — რომ თითქოს მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. იგი მოითხოვდა რედაქციასა და ავტორს დაუმტკიცებინათ, რომ არაერთხელ იყო განთავისუფლებული გაცდენებისათვის, არაერთხელ — ლოთობისათვის და მიესაჯა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლო განხილვისას გამოირკვა, რომ სტატიის ორიგინალში პირველი სადაო ფრაზა სხვაგვარად ჟღერდა: „ის არაერთხელ იქნა განთავისუფლებული სამუშაოდან, აცდენდა, ლოთობდა". ამგვარი ფორმით თქმა სრულად შეეფერებოდა სიმართლეს, რედაქტირებისას კი „მცირედ" შეიცვალა მასალა და მოპასუხეებს აღარ აღმოაჩნდათ მტკიცებები, რომელსაც მოსარჩელე მოითხოვდა.

პეტრე ტრუბნიკოვი: რა თქმა უნდა, ეს ფრაზა, როგორც სახელისგამტეხი და სინამდვილესთან შეუფერებელი, რედაქციის მიერ უარყოფილი უნდა ყოფილიყო. სხვა საქმეა, რომ მას შეეძლო უარყოფისათვის კომენტარი დაერთო და მასში მიეთითებინა ტექსტის პირველადი, სწორი ვარიანტი, თუ რაში მდგომარეობდა საკითხი თავისუფლების აღკვეთის შესახებ?

მიხეილ ფედოტოვი: სადაო საკითხი ვადას შეეხებოდა. სინამდვილეში მოსარჩელეს 6 წლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, და არა ათით, როგორც ეს გაზეთში იყო მითითებული. შეიძლება თუ არა ეს არასწორი ცნობა სახელისგამტეხად ჩაითვალოს?

პეტრე ტრუბნიკოვი: ვფიქრობ, აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ შესწორებაზე და არა უარყოფაზე. შესწორების გამოქვეყნების მოთხოვნის განხილვა კი სასამართლოს არ ექვემდებარება.

მიხეილ ფედოტოვი: თუმცა, არასახელისგამტეხი, მაგრამ არასწორი ცნობების პუბლიკაციაში გაპარვის ფაქტები, სამწუხაროდ, იშვიათი როდია. ხან გვარს, თანამდებობას, საპატიო წოდებას ამახინჯებენ, ხანაც სულ სხვა პირის ფოტოსურათს აქვეყნებენ, ვიდრე ტექსტშია მითითებული. როგორღაც ერთი ცნობილი კრიტიკოსის სტატიაში პოპულარული კინომსახიობის შემოქმედების შესახებ წავიკითხე, რომ მას თავისუფალ დროს სპინინგით გართო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ჰყვარებია, სინამდვილეში კი თევზაობისადმი იგი აბსოლუტურად გულგრილია. ასეთი უზუსტობა გულსატკენია, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლება იგი პატივისა და ღირსების შემლახავად ჩაითვალოს. სასამართლოს გზით შესწორების გამოქვეყნების მიღწევა შეუძლებელია, რედაქციები კი ყოველთვის როდი იზიარებენ ამ შეხედულებას. ალბათ საჭიროა ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის შესახებ კანონის პროექტში შესწორებების გამოქვეყნების წესიც იყოს გათვალისწინებული.

თუმცა, დავუბრუნდეთ უარყოფას. თუ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სასამართლომ მოპასუხეების სიმართლე დაადგინა, ე. ი. სარჩელი დაუკმაყოფილებელი დატოვა, რედაქციას, ავტორთან ერთად, შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს (ბუნებრივია, თუ ზემდგომი სასამართლო ინსტანცია არ გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას). უმრავლეს შემთხვევაში ასეც ხდება. მაგრამ ზოგჯერ, როდესაც გავრცელებულ ცნობებს სასამართლო სახელისგამტეხად და სინამდვილესთან შეუფერებლად მიიჩნევს, იგი ავალდებულებს რედაქციას (ან როგორც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში წავიკითხე, შესთავაზებს) გამოაქვეყნოს უარყოფა.

პეტრე ტრუბნიკოვი: დიახ, თუმცა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო მხოლოდ უარყოფის აუცილებლობის შესახებ მითითებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან ერთად, უნდა მიუთითოს სახელისგამტეხი ცნობების გასწორების საშუალება და ვადა. თუ ისინი პრესის საშუალებით გავრცელდა, მაშინ უარყოფაც პრესაში უნდა გამოქვეყნდეს. რაც შეეხება ტელევიზიასა და რადიოს, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დადგენს უარყოფის საშუალებას. ერთდროულად, სასამართლო უფლებამოსილია დააკისროს მოპასუხეებს მოსარჩელის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, და პირიქით, მიიჩნევს რა მოსარჩელის მოთხოვნას დაუსაბუთებლად, სასამართლოს შეუძლია მას დააკისროს მოპასუხის ანალოგიური ხარჯების ანაზღაურება.

მიხეილ ფედოტოვი: ზოგიერთ მოძმე ქვეყანაში პრესის შესახებ მოქმედი კანონებით დადგენილია, რომ უარყოფა იმავე განყოფილებაში უნდა გამოქვეყნდეს და იგივე შრიფტით აეწყოს, როგორითაც პირველადი მასალაა, ამასთან სათაურიც საკმაოდ მსხვილი შრიფტით უნდა დაიბეჭდოს. ჩემი აზრით, ეს წესი ჩვენთანაც უნდა შემოვიღოთ. ხდება, რომ უარყოფის ტექსტს რედაქცია წერილების მომოხილვაში მალავს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ჟურნალისტებს არ სჭირდებათ გადმოიღონ ბურჟუაზიული პრესის ხერხები და სენსაციური ჭორები პირველ გვერდებზე გამოაქვეყნონ, ხოლო საკუთარი მონაჩმახის უარმყოფელი — უკანასკნელზე, ისიც უმცირესი შრიფტით. შეუძლია თუ არა სასამართლოს მიუთითოს რედაქციას, თუ როგორი ფორმით უნდა იქნეს უარყოფილი გავრცელებული შემარცხვენელი ცნობები?

პეტრე ტრუბნიკოვი: ვფიქრობ, საჭირო არ არის სასამართლო ჩაერიოს წმინდა სარედაქციო საკითხებში შრიფტის, ადგილის შესახებ და სხვ. მისთვის მთავარი სხვაა: თუ მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებს რედაქციას გამოაქვეყნოს უარყოფა, იგი უნდა შესრულდეს. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავე პირს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდება ჯარიმა, მაგრამ ეს მათ არ ათავისუფლებს უარყოფის გამოქვეყნების მოვალეობისაგან. ჯარიმის ოდენობა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობითაა დადგენილი. მაგალითად, რსფს რესპუბლიკაში ის 200 მანეთამდე გადახდებათ. გადაწყვეტილების განმეორებით შეუსრულებლობისათვის ჯარიმა შეიძლება 1000 მანეთამდე დაეკისროთ.

ჟურნალი „ჟურნალისტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობის პარადოქსები

...ავტომანქანათა შეჯახებისას საშინელი რამ არ მომხდარა. მთავარი კი ის იყო, რომ ადამიანები არ დაშავებულან. არც იმაზე გამართულა კამათი, თუ ვისი მიზეზით მოხდა ავარია. „უიგულის“ მძღოლმა აღიარა, რომ მოძრაობისას არ დაიცვა უსაფრთხოების დისტანცია და წინმიმავალი საბარგო მანქანის დამუხრუჭების შემდეგ „შეუძვრა“ მას ძარის ქვეშ. უზარმაზარ „კამაზს“ ერთი განაკაწრიც არ ჰქონდა, ხოლო „უიგულს“ კი სერიოზული რემონტი დასჭირდებოდა.

თითქოს ჩვეულებრივი ამბავია. შედგებოდა ოქმი, დამრღვევს დააჯარიმებდნენ, მძღოლები კი თავთავიანთ გზას გაუყვებოდნენ — ერთი შორ გზას, მეორე კი — ტექმომსახურების სადგურისაკენ. ეჰ, ასე რომ ყოფილიყო! სახელმწიფო ავტოინსპექციაში განხილვის შემდეგ, ავარიის დოკუმენტები... გადაუგზავნეს გამომძიებელს, რომელმაც სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მილიციის კირკიტა თანამშრომელმა ორი თვის მანძილზე მრავალგზის გამოიძახა შემთხვევის მონაწილენი, მოწმეები, დაკითხა ისინი, ჩვენებები შეამოწმა შეჯახების ადგილზე, დანიშნა ავტოტექნიკური ექსპერტიზა. და დადასტურდა ის, რაც ყველასათვის ადრე იყო ნათელი — დამნაშავეა „უიგულის“ საჭესთან მჯდომი.

რა საჭირო იყო ისედაც ცხადი ამბის დამტკიცება? იმიტომ, რომ „უიგული“ მძღოლს კი არა, მის ცოლს ეკუთვნოდა. ამიტომაც, მიაყენა რა მანქანის პატრონს ათასხუთასი მანეთის ზარალი, დამრღვევი, რომელიც მართავდა მოძრაობას, გახდა... დამნაშავე. დიახ, დიახ ზუსტად ასე განმარტავს შემთხვევას რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილი. ხოლო „მეუღლეთა ერთობლივი საერთო საკუთრების“ საბუთი, როგორც ჩანს, უსუსური აღმოჩნდა. კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია.

რით დასრულდა ეს „დეტექტური“ ისტორია? არაფრით, გარდა მის მონაწილეთა ნერვების აშლით. საქმე საბრალდებო დასკვნითურთ მივიდა პროკურორთან, რომელმაც გამოიყენა საამისო უფლება და შეწყვიტა იგი, რადგან „დამნაშავე ქმრის“ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ზოგ-ზოგებს ყოველივე ეს კაზუსი ეგონებათ. მაგრამ, ნამდვილი ვითარება ცხადყოფს, რომ ავტოშემთხვევების საქმეთა ყოველი მესამის შეწყვეტას სხვადასხვა საფუძველი უდევს, დანარჩენ ორ მესამედზე, სასამართლო განხილვის შემდეგ, გამოაქვთ ისეთი განაჩენი, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს. ახლა კი ეს მონაცემები შევუდაროთ კიდევ ერთს — მილიციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეთა მეშვიდედი ნაწილი ეხება ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას!

— მაშ, რაღაშია საქმე? — იკითხავთ თქვენ.

გიპასუხებთ — პარადოქსებში იმ სისხლისამართლებრივი კანონმდებლობისა, რომელიც მიიღეს თითქმის ოცდაათი წლის წინათ.

რატომ არის, რომ ვთქვათ, ნებისმიერ სიტუაციაში გაუფრთხილებლობით მიყენებული სხეულის მსუბუქი დაზიანება, რაც ტრანსპორტთან არ არის დაკავშირებული, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო ავტოშემთხვევასთან დაკავშირებული სრულიად უმნიშვნელო ტრავმა საბაბი ხდება მძღოლის დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირებისა, რისთვისაც რსფსრ სსკ 211-ე მუხლის პირველი ნაწილი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სასჯელს ითვალისწინებს(!). უფრო მეტიც, მძღოლი შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, თუ არც ერთი ადამიანიც კი არ დაშავებულა, მაგრამ არის „არსებითი მატერიალური ზარალი“. შედეგად ვიმკით არავისათვის საჭირო სისხლის სამართლის საქმეებს, ფორმალურ გამოძიებებსა და „შესაბამის“ განაჩენებს.

მაშ, არ დადგა დრო, რათა კანონი შევუსაბამოთ რეალურ ცხოვრებას? ვთქვათ ერთხელ და სამუდამოდ: სისხლისსამართლებრივად უნდა ისჯებოდეს ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის მხოლოდ ისეთი დარღვევები, რომლებსაც ადამიანთა დაღუპვა, სხეულის მძიმე დაზიანებანი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი მოჰყვა, რათა საბრალდებო სკამზე არ აღმოჩნდნენ ისინი, რომლებსაც დამნაშავენი რომ ვუწოდოთ, პროკურორის პატიოსან სიტყვას ვამბობ, ენა არ მოგიბრუნდება.

ს. ზამოშკინი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
(„იზვესტია“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები *

გიორგი სოსელია

2. სამართლის წყაროები

სამართლის ძირითად წყაროს, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო მართლმსაჯულების აღსრულებისას, **კანონი** ანუ წერილობითი სამართალი წარმოადგენს.

იმ იურისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც კანონებს ცხოვრებას წყვეტენ და ისინი მიაჩნიათ გონიერების, „ჯეროვანის" და სხვათა განყენებული პრინციპების გამოხატულებად, ილია ჭავჭავაძე დაბეჯითებით მოითხოვს, რომ კანონები ასახავდნენ ხალხის ნამდვილ ცხოვრებას, **ცხოვრების** კონკრეტულ **მოთხოვნილებებს**. „ჩვენში კანონი თუ იბადება, — წერს იგი, — ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდან დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, სადაც სუფევს კანონი და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან". კანონები ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ჭირვარამსა თუ ბედნიერებას, ჩვენს ეჭვებს, ჩვენს ეკონომიკურ საჭიროებებს უნდა გამოხატავდნენ[1].

ამ აზრს ავითარებს ი. ჭავჭავაძე ყველა სტატიაში, რომლებსაც აქვთ დამახასიათებელი სათაური „ცხოვრება და კანონი", აგრეთვე სხვა თავის ნაშრომებში, რომლებიც სამართლისა და სახელმწიფოს საკითხებს ეხებიან.

„კანონის სათავე ცხოვრებაა... ცხოვრება სწურთნის კანონს", — იმეორებს იგი და ამასთან ერთად ხაზს უსვამს იმასაც, რომ კანონები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ცხოვრების, საზოგადოების, ხალხის განვითარებაზე[2].

კარგად ესმის რა, რომ სახელმწიფო და, კერძოდ, სასამართლო ორგანოები უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად კანონებით — სამართლის წერილობითი ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, ი. ჭავჭავაძე ამასთან ერთად მოითხოვს, რომ ისეთი ორგანო, როგორიცაა სამომრიგებლო სასამართლო, ანგარიშს უწევდეს **გუნებრივ სამართლიანობას**. ეს უკანასკნელი არა მარტო უნდა ავსებდეს კანონის ხარვეზებს, არამედ თვით კანონებიც მისი თვალსაზრისით უნდა გამოიყენებოდნენ.

რას წარმოადგენს „ეს ბუნებრივი სამართლიანობა", რომელმაც ესოდენ დიდი როლი უნდა შეასრულოს მართლმსაჯულების აღსრულებაში?

როგორც ცნობილია, არსებობს მოძღვრება „ბუნებრივი სამართლის" შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ძველ კლასიკურ ეპოქაში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა XVII-XVIII საუკუნეებში. ეს მოძღვრება ემყარება ადამიანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი, ბუნებისშესაბამისი („ბუნების კოდექსის" მიხედვით —

---

[1]ილია ჭავჭავაძე. თხზ., სრ. კრებული, პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. VI, თბილისი, 1928, გვ. 38, 42.

[2]თხზ., ტ. VIII. გვ. 297.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1987, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრო) უფლებების ცნობას. დოგმატიკოსი იურისტებისათვის ბუნებრივი სამართალი სამართლის განყენებული იდეაა, რომელიც სცდება ისტორიულად არსებული, ან ამჟამად არსებული დადებითი სამართლის ფარგლებს.

ი. ჭავჭავაძის ბუნებრივ სამართლიანობას არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი სამართლის თეორიასთან. „თითონ ხალხსაც ეხამუშება ფორმალური სიმართლე,— აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, — და პატივ-ჰცემს იმისთანა სიმართლეს, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტია და რომელსაც მეცნიერნი ბუნებრივ სიმართლეს უწოდებენ... დანიშნულება მომრიგებელ მოსამართლისა ის არის, რომ საქმის გადაწყვეტის დროს წინ წაიბიძგაროს ნამდვილი და არა ფორმალური სიმართლე, მისი შინაგანი გარემოება, ადგილობრივნი მიზეზნი, მცხოვრებელთა ხასიათი, მათი მოსაზრება... ცხოვრების მოთხოვნილება და ხალხის საზოგადოდ ცნობილი ჩვეულება... რაღა თქმა უნდა, რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომლის უარყოფა ხალხს უსამართლობად მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულთდებულების სათავედ ცნობილია“[3].

ამგვარად, „ბუნებრივი სამართლიანობა“, ი. ჭავჭავაძის აზრით, ეს არის ხალხის სამრთლიანობა, სამართლებრივი შეგნება, რომელიც გამომდინარეობს ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, გამოხატულია ხალხის მტკიცედ დამკვიდრებული ჩვეულებებით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოადგენს ჩვეულებით სამართალს.

ლაპარაკობდა რა მეცნიერებზე, რომელთაც ნამდვილ სამართლად ბუნებრივი სამართლიანობა — ხალხის მართლშეგნება მიაჩნიათ, მეცნიერებაზე, რომელიც სამართლის წყაროდ ხალხის ჩვეულებებს თვლის, ი. ჭავჭავაძეს შეეძლო მხედველობაში ჰქონდა ე. წ. სამართლის ისტორიული სკოლა. მაგრამ არასწორი იქნებოდა ჩვეულებითს სამართალზე, ხალხის მართლშეგნებაზე მისი შეხედულების გაიგივება ამ საკითხზე ისტორიული სკოლის მოძღვრებასთან. ი. ჭავჭავაძე ისევე შორს არის ისტორიული სკოლისაგან, როგორც ბუნებრივი სამართლის თეორიისაგან.

ილაშქრებდნენ რა იმ დებულების წინააღმდეგ, რომ სამართალი გონების აბსტრაქტული იდეების ხორცშესხმაა და ებრძოდნენ რა ბუნებრივი სამართლის თეორიის რაციონალისტურ ტენდენციას, სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა (პუხტა, სავინი და სხვ.) სამართალი გამოაცხადეს „ხალხური სულის“ პროდუქტად, ეროვნული შეგნების, ხალხის „ბუნებრივი“ განვითარების სპეციფიკურ გამოვლინებად, ისეთივე ბუნებრივ მოვლენად, როგორიც ენაა. ხელმძღვანელობდა რა სამართლის ასეთი გაგებით, ისტორიული სკოლის მეთაურმა სავინიმ გაილაშქრა საერთოგერმანული სამოქალაქო კოდექსის შექმნის წინააღმდეგ, რადგან მიაჩნდა, რომ ვერ შეიქმნება ცალკეული გერმანული მხარეების „სულის“ შესაბამისი საერთო კოდექსი. მონტესკიე, ამაგ[illegible] „უდიდეს შეეთხვევითობად“ თვლის ისეთ ვითარებას, „როცა ერთი ქვეყნის დაწესებულებანი გამოსადეგია მეორისათვის“.*

ი. ჭავჭავაძის მოძღვრება ხალხის მართლშეგნების, ჩვეულებითი სამართლის თაობაზე მკვეთრად ემიჯნება სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრებას „ხალხური სულის“, ეროვნული მართლშეგნების შესახებ. ხალხის სამართლებრივ შეგნებაზე, ჩვეულებით სამართალზე როცა ლაპარაკობს, ი. ჭავჭავაძე სულაც არ აიგივებს მას ხალხის „სულთან“, სპეციფიკურ, უცვლელ ეროვნულ შეგნებასთან, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სხვა ხალხების მართლშეგნებასთან, ჩვეულებითს სამართალთან — მას ეს მართლშეგნება ესახება, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ადასტურებს, ხალხის ცხოვრების მოთხოვნილებებთან, მის ცხოვრების გარემოებებთან და პირობებთან დაკავშირებულად. ხალხის ეს მოთხოვნილებები, ცხოვრების გარემოებები და პირობები თუმც კი განსხვავდებიან თავიანთი თავისებურებებით, რასაც უნდა ითვალისწინებდეს როგორც კანონმდებლობა, ისე, განსაკუთრებით, ადგილებზე კანონების აღმასრულებელი ორგანოები, მაგრამ ბევრი რამით ისინი სხვა ხალხების მოთხოვნილებებისა და ცხოვრების პირობების მსგავსი არიან. ვინაიდან ერთნაირია ხალხების ცხოვრების პირობები და მოთხოვნილებები, ამდენად შეიძლება მოიძებნოს საერთო მათ მართლშეგნებასა და სამართალშიც.

ი. ჭავჭავაძე, ამ დებულების გათვალისწინებით, არ უარყოფს მთელი რუსეთის იმპერიისათვის, მასში მოსახლე ყველა ეროვნებისათვის საერთო კანონმდებლობასა და საერთო საკანონმდებლო ნორმებს. მოითხოვს რა სახელმ-

---

[3] იქვე, გვ. 104.

* იხ. ი. რაზუმოვსკი, სამართლის ისტორიული სკოლა. სახელმწიფოსა და სამართლის ენციკლოპედია, ტ. II, მ., 1925-1926.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფოს მთელ საქმიანობაში და, კერძოდ, კანონმდებლობაში ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებას, იგი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ საჭიროა ზოგადსამართლებრივი ნორმები სახელმწიფოს ყველა ერისათვის.

რა თქმა უნდა, ადგილობრივი პირობები და თავისებურებები უნდა აისახოს ზოგადად სახელმწიფოს ყოველ აქტში და მეტადრე კანონმდებლობაში, ამბობს იგი, მაგრამ სამართლის მთავარი და არსებითი, საკაცობრიო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცივილიზაციის განვითარების შედეგად მოპოვებული საფუძვლები ყველასათვის საერთო უნდა დარჩეს. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებისას სამართლის ეს განსაკუთრებული პრინციპები კი არ უნდა შეიკვეცოს, არამედ მხოლოდ მეორეხარისხოვანი პრინციპები, მარტო დეტალები უნდა მიუსადაგონ ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებებს[4]. საერთო-სახელმწიფო (სრულიად რუსეთის იმპერიის) კანონები ყველა შემთხვევაში არ შეესაბამებიან ჩვენს თავისებურ ყოფას, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განსაკუთრებულობებს, წერს იგი[5], და მიუთითებს მთელ რიგ ისეთ თავისებურებებს საქართველოში, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს: ტყეების, საძოვრების მფლობელობის საკითხებს, მემკვიდრეობაში ან ოჯახურ ქონებაში ქალთა მონაწილეობის, გაყრის საკითხებს და ა. შ.[6].

ვიმეორებთ, ი. ჭავჭავაძე:

1. საჭიროდ ცნობს საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობას, სახელმწიფოში შემავალი ყველა ერისათვის სავალდებულო საერთო სამართლებრივ ნორმებს;

2. დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობაში აისახებოდეს ადგილობრივი თავისებურებები, რათა მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მსჯელობა ეფუძნებოდეს ადგილობრივი პირობების, ,ადგილობრივი ჩვეულებების, ადგილობრივი მოსახლეობის მართლშეგნების ცოდნასა და გათვალისწინებას.

ი. ჭავჭავაძე, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების შესახებ 1864 წლის დებულებას როცა აანალიზებს, ცხადყოფს, რომ ჩვეულებით ხელმძღვანელობის უფლება ისეთი პირობებით არის შეზღუდული, რომ მომრიგებელ მოსამართლეს იშვიათად მიეცემა შემთხვევა გაარჩიოს საქმე „ჩვეულების საფუძველზე". სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების 130-ე მუხლი, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეს უფლებას აძლევს იხელმძღვანელოს ჩვეულებით კანონით აღნიშნულ შემთხვევებში, ან კანონში არსებული ხარვეზის შემთხვევებში, პარალიზდება ამავე წესდების მე-9 მუხლით, რომელიც ამბობს, რომ კანონებში ხარვეზის შემთხვევაში სასამართლო მოვალეა იხელმძღვანელოს მთელი კანონმდებლობის ზოგადი აზრით. „მაშასადამე, — დაასკვნის ი. ჭავჭავაძე, — მომრიგებელ მოსამართლეს არასოდეს არ მიეცემა იმისთანა შემთხვევა, რომ ჩვეულება რაშიმე გამოიყენოს, იმიტომ, რაც უნდა საქმე იყოს, იმის გადასაწყვეტად ან ზედგამოჭრილი კანონი მოიპოვება, ან არადა საერთო აზრს მთელის რჯულთდადებისას ხომ ვერა შემთხვევაში ვერ წაუვა"[7].

მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, რომ საქართველოში სასამართლო წყობილების შესახებ დებულებაში საერთოდ არ არის 1864 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების წესდების 130-ე მუხლი. აქ საერთოდ არის გამორიცხული ყოველგვარი შესაძლებლობა მომრიგებელი მოსამართლის მიერ ადგილობრივი ჩვეულებების გამოყენებისა. გამორიცხულია ჩვეულებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობა სწორედ იქ, სადაც ეს (ჩვეულების გამოყენება) განსაკუთრებით აუცილებელია[8]. იმოწმებს რა ამიერკავკასიის ოთხი წლის (1872-1875 წ. წ.) სასამართლო ანგარიშებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ არ არის ჩვეულების გამოყენების არც ერთი შემთხვევა[9].

სწორედ ამიტომ, გამოაქვს დასკვნა ი. ჭავჭავაძეს, ჩვენი სასამართლო და ცხოვრება ერთმანეთს გადასდგომიან: „არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედაბოძად გამოიყენოს[10].

---

4 ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VIII, გვ. 81.
5 იქვე, გვ. 105.
6 იქვე.
7 იქვე, გვ. 106-107.
8 იქვე, გვ. 107-108.
9 იქვე, გვ. 108.
10 იქვე, გვ. 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დანაშაული და სასჯელი

ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ეკონომიკური ფაქტორების შესწავლას ისტორიული მოვლენების ასახსნელად. ეკონომიკურ ფაქტორებში ეძებს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენის განმარტებას.

ეკონომიკური ფაქტორებით ხსნის იგი, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მოვლენასაც, როგორიცაა **დამნაშავეობა**. დამნაშავეობის მიზეზების ასეთი ახსნის ბრწყინვალე ნიმუშს იძლევა იგი თავის ნარკვევში „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“ (1897).

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას აქცევს 90-იანი წლების შუა ხანებიდან მთელ ამიერკავკასიაში ქურდობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის გავრცელების ფაქტს. იგი პროტესტს აცხადებს პრესის იმ მტკიცებების წინააღმდეგ, რომ ამ მოვლენის მიზეზია ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ველურობა. მას სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია გაზეთებში გავრცელებული ამ მოვლენის მეორე, ერთი შეხედვით, მართებული ახსნაც, რომ თითქოსდა ქურდები, ავაზაკები და მკვლელები კატორღიდან და ციმბირიდან გამოქცეული დამნაშავეები არიან. რასაკვირველია, წერს იგი, ეს პირები ზრდიან დამნაშავეთა რაოდენობას, მაგრამ დამნაშავეთა მთელი სამყაროც რომ მხოლოდ ასეთი, კატორღიდან და ციმბირიდან გამოქცეული პირებისაგან შედგებოდეს, მაინც დაისმებოდა საკითხი: როგორღა გახდნენ ისინი თავიდან დამნაშავეები? კატორღასა და ციმბირში ისინი ხომ დანაშაულის გამო მოხვდნენ! როგორც ჩანს, დამნაშავეობის ფესვი სადღაც სხვაგან უნდა ვეძიოთ[11].

„თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, — წერს ი. ჭავჭავაძე, — ეკონომიკური ჭირბოროტი და გაჭირვება არის, საზოგადოდ რომ ვთქვათ“[12].

ამ დებულების დასასაბუთებლად იგი მიმოიხილავს ვითარებას იმ ადგილებში, სადაც ყველაზე უფრო გავრცელებულია დამნაშავეობა, იკვლევს ამ ადგილებში მოსახლეობის ცხოვრების პირობებს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას და დასკვნის, რომ დამნაშავეობის წყარო, ზოგადი მიზეზი, რომელიც მის წარმოშობასა და გავრცელებას განაპირობებს, „ყველგან და ყოველგან ეკონომიური უღონობა ყოფილა და იქნება კვლავაც“[13]. დამნაშავეობის მიზეზია „სხვათა ეკონომიურთა გარემოებათა შორის, მამულის უქონლობაც, რომელიც მკვიდრს უილაჯოდ ქმნის ლუკმა-პურის შოვნისათვის“[14].

დამნაშავეობის წარმოქმნისა და გავრცელების განმაპირობებელი ფაქტორებია აგრეთვე, განაგრძობს განმარტებას ი. ჭავჭავაძე, ის, რომ მოსახლეობა მარტო ხვნა-მთესველობას მისდევს, რაც ნაკლებ სახეირია, რომ არ არის ხელოსნობა და მეურნეობის სხვა სახეობები, სოფინაო ბაზარი, ქალაქის ბაზართან დამაკავშირებელი გზები, რომ მას გაუსაძლის ტვირთად აწევს გადასახადები და სხვა ხარჯები[15]. იგი ცხადყოფს, რომ დამნაშავეობის გავრცელებას ხელს უწყობს ისეთი მოვლენებიც, როგორიცაა ვაზის, ბამბისა თუ აბრეშუმის ჭიის სნეულებები[16].

„გამოუცვალეთ“ ადამიანებს „იგი გარემოებანი, — წერს ი. ჭავჭავაძე, — რომელიც დღეს ერთსაც დ მეორესაც ჰხუთავს, მიეცით და ასწავლეთ ერთსაცა და მეორესაც იმისთანა გასამრჯელო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო-საბადებლის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუხილეთ ქვეყნიერობაზე ცოტათ თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები, ხელი შეუწყეთ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოღებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას, — და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთება, დიდს კლებაში კი შევა“[17].

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ (1892 წ.) ი. ჭავჭავაძე ცხადად გამოთქვამს აზრს, რომ საზოგადოება გადააქცევს ადამიანს დამნაშავედ[18].

ააშკარავებს რა ძირითად ბოროტებას — დამნაშავეობის წარმოშობისა და გავრცელების წყაროს, იგი მიუთითებს, რომ სიდუხჭირე, სიღარიბე, გამოუვალი ეკონომიკური მდგომარეობა არის ძირითადი მიზეზი ადამიანის დამნაშავედ გადაქცევისა. ამის გამოც დამნაშავეობასთან ბრძოლა, განაგრძობს ი. ჭავჭავაძე, შეიძლება ეკონომიკური ღონისძიებებით, და არა საპოლიციო ზომებით და სასამართლო სანქცი-

---

[11] ი ქ ვ ე, გვ. 229-233.
[12] ი ქ ვ ე, გვ. 232.
[13] ი ქ ვ ე, გვ. 252.
[14] ი ქ ვ ე, გვ. 239.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 234-254.
[16] ი ქ ვ ე, გვ. 240.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 255.
[18] ი. ჭავჭავაძე, რჩეული, გვ. 371-388.

ებით. ამასთან, მას კარგად ესმის ამ უკანასკნელ ღონისძიებათა მნიშვნელობაც.

„მეტისმეტი იქნება, — წერს იგი, — ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ უღონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვეკვლევთ. თუ ეკონომიური უღონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომლებიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამგვარ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირვებული კაცი გაეტაცებინა ხოლმე მაცდურებას — რაც უთესნია, ის მოიმკოს. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი — არავინ გამომეკიდებაო. ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყოლებაო“[19].

ი. ჭავჭავაძე ამხელს პოლიციისა და სასამართლო ორგანოების დაუდევარ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სოფლად ქურდობისა და ავაზაკობის ბრძოლის საქმისადმი, მოითხოვს, რომ პოლიციის ჩინოვნიკები ფხიზლად იდგნენ მცხოვრებთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის სადარაჯოზე[20]. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი სასამართლოს გამომძიებლის მიერ გამოძების კანცელარულ რუტინულ წარმოებას და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დაგვიანებას. იგი წინადადებას იძლევა, რომ სასამართლო ორგანოებში გარდაიქმნას ქურდობასა და ავაზაკობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოება: გამოიყოს ამ საქმეების გამო სპეციალური გამომძიებელი და სპეციალური სესია საოლქო სასამართლოში[21].

დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სასჯელს ვერ გადაურჩება. ყველა უნდა იყოს დარწმუნებული, რომ დანაშაული, ბრალი არ შერჩება. ეს — სასამართლოს ზოგად-პრევენციულ ღონისძიებათა გაძლიერება, პოლიციის ზომებთან და მოსახლეობის დახმარებასთან ერთად, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, თუ „მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს შეასუსტებს[22].

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე სწორად მიუთითებდა დამნაშავეობის მიზეზს, რომ მას ხედავდა არსებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებაში, იგი მაინც არ შესულა ამ საზოგადოების დამხობის აუცილებლობის აღიარებამდე. დამნაშავეობასთან ბრძოლას იგი ვარაუდობს ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც არსებული კლასობრივი საზოგადოების ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

დაბეჯითებით მოითხოვს რა, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩეს, რომ ბრალეული ვერ გაექცეს დამსახურებულ მსჯავრს, ი. ჭავჭავაძე ამასთან ერთად საზოგადოებისაგან, სახელმწიფოსა და განსაკუთრებით, სასამართლოსაგან მოითხოვს, რომ დაცული იყოს ადამიანის **პატივი და ღირსება, რომ კაცი განსასჯელთა სკამზე არ დასვან დასაბუთებული, უეჭველი ბრალდების გარეშე.**

ძველ, რეფორმამდელ რუსეთში სამხილები სავალდებულო არ იყო იმისათვის, რომ კაცი სასამართლოსათვის გადაეცათ და სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სამხილები არ არსებობდა, ბრალდებული შეიძლებოდა დარჩენილიყო „ეჭვმიტანილად“ და ამგვარად მოკლებული ყოფილიყო ბევრ უფლებას. თუ რეფორმისშემდგომ სასამართლოში ბოლო მოეღო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულის „ეჭვმიტანილად“ დატოვებას, სამაგიეროდ დაუსაბუთებელი ბრალდებით, მხოლოდ და მხოლოდ ეჭვით სასამართლოსათვის ადამიანის გადაცემის პრაქტიკა ცარიზმის არსებობის მთელ პერიოდში არ მოსპობილა.

ი. ჭავჭავაძე მკვეთრად აკრიტიკებს მეფის მართლმსაჯულების ამ პრაქტიკას. თავის სტატიაში „ქუთაისელ ებრაელთა საქმის“ შესახებ, იგი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ რვა ებრაელი აღმოჩნდა განსასჯელთა სკამზე მარტოოდენ ეჭვის გამო. ის ამტკიცებს, რომ ეს მართლმსაჯულების ელემენტარული საფუძვლებისა და პიროვნების თავისუფლების, მისი პატივისა და ღირსების დაცვის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევაა.

„კაცი ბრალდებულთა სკამზედ უნდა დასვას მგონიაობამ კი არა, — აღნიშნავს იგი,— **არამედ უცილობელმა, უეჭველმა საბუთმა“**[23].

„ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, — ამბობს იგი სხვაგან, — და მას მერედ, დიაღ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერედ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხისაგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებუ-

---

[19] თხზ., ტ. VIII, გვ. 255, 256.

[20] იქვე, გვ. 256-261.

[21] იქვე, გვ. 261-268.

[22] იქვე, გვ. 268-269.

[23] თხზ., ტ. VII, გვ. 281.

ლია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება[24].

„საზოგადო უშიშროებისათვის, — განმარტავს ი. ჭავჭავაძე ქუთაისელი ებრაელების საქმისადმი მიძღვნილ სტატიაში, — ისე ავაზაკის კერძო მოქმედება არ არის საშიში", როგორც ადამიანის უფლებათა დამრღვევი მოხელისა, ვინაიდან პირველს უფრო ადვილად გადაურჩები, ვიდრე მეორეს[25].

ხელისუფლების მიერ პიროვნების თავისუფლების, ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა, საკმარისი სამხილების გარეშე, მარტო ეჭვით ადამიანის სასამართლოსათვის გადაცემა და განსასჯელთა სკამზე დასმა შიშსა და შეშფოთებას სთესავს მთელ საზოგადოებაში, ამტკიცებს ი. ჭავჭავაძე, უდანაშაულო კაცი თავს ისეთივე მდგომარეობაში გრძნობს, როგორშიც დამნაშავე. ყველა შიშობს, რომ იგი ყოველ წუთს შეიძლება შეიპყრონ, დაუკავშირონ რომელიმე საქმეს და ვინ იცის, როდის და რით დამთავრდება იგი. ასეთი ატმოსფერო წამლავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, იგი საფრთხეს უქმნის სახელმწიფო წყობილებასაც. „ის სახელმწიფოა მარტო მაგარს ნიადაგზედ დამყარებული, საცა ყოველი კაცი დარწმუნებულია, თუ არა უცილობელის, უეჭველის საბუთით, ჩემს ადამიანობას, ჩემს მშვიდობიანობას, ჩემს პატივს, ღირსებას, თავისუფლებას კანონი და უფლება არ შეეხებაო, — უთითებს ი. ჭავჭავაძე, — ამ საჭიროებიდან არის წარმომდგარი ის სახელოვანი აზრი, რომ სჯობს ათი მართალ დამნაშევე გამართლდესო, ვიდრე ერთი მართალი გამტყუნდესო"[26].

ცალკეული პირებისა და ქვეყნის ღირსებისა და თავისუფლების ქომაგობას შეალია დიდმა ილიამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ნახევარსაუკუნოვანი დაუცხრომელი მოღვაწეობა. მხატვრული სიტყვით, თეორიული ნაშრომებითა და პუბლიცისტური გამოსვლებით მან უდიდესი ამაგი დასდო პიროვნების კეთილდღეობის საქმეს, მშობელი ხალხის, მშობელი ქვეყნის აღორძინების საქმეს.

პირნათლად განვლო სასახელო ქართველმა მამულიშვილმა გზა, რომელიც მრავალტანჯული სამშობლოს სამსახურის ჯერ კიდევ პირველ წლებში დაისახა:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.

24 თხზ., ტ. IX, გვ. 180-181.
25 თხზ., ტ. VII, გვ. 287.
26 იქვე. გვ. 287-288.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი შეხედულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი საკითხი

მიხეილ კეკელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილია ჭავჭავაძე განათლებით იურისტი იყო, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა კიდეც „მომრიგებელ მოსამართლედ", „მომრიგებელ შუამავლად", „ნაფიც მსაჯულად" და ცხადია, მისი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა, დიდადაა დავალებული საუნივერსიტეტო განათლება-იურისტობისა თუ პრაქტიკული სამოსამართლეო საქმიანობისაგან. ძველი ქართული სახელმიწფოსა და სამართლის ზედმიწევნით პროფესიულმა ცოდნამ კი, ამ დიდ მოაზროვნეს ხელი შეუწყო უკეთ დაენახა, ეგრძნო და გამოეაშკარავებინა თავისი ერის ცხოვრებაში ფესვგადგმული, მწვავე სოციალური კონფლიქტები.

მართალნი არ არიან ისინი, ვინც ფიქრობენ თითქოს ილიას მიერ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, ისეთი სიღრმით და შესაძლებლობებით აისახა მისი შეხედულებანი სახელმწიფოებრივ თუ სამართლებრივ საკითხებზე, რომ სათქმელი აღარაფერი დარჩა. ამ აზრს ისინი ამგვარად ადასტურებენ: ილიას იდეალი იყო ცარიზმის რუსეთის შემადგენლობაში „ფართო ავტონომიის მოპოვება", რომლის იქით საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა მას ვერც წარმოედგინაო.

მაგრამ აქ დავიწყებულია, რომ ასეთი ლეგალური „მოთხოვნა", ცენზურის (როგორც ილია უწოდებდა „ენის კვნეტის") პირობებით იყო გამოწვეული და სხვაგვარი დამოკიდებულება იმპერიის მოღალატედ და სისხლის სამართლის დამნაშავედ აქცევდა მას. თუ არა ასე, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მოთხოვნის გარეშე? განა მისი სამწერლო თუ პრაქტიკული მოღვაწეობა იმ დიდი აზრითა და შინარსით არ არის დატვირთული, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს?" სწორედ ამას უკიჟინებდა დიდი მამულიშვილი სხვებს, როცა წერდა: „ჩვენს ქვეყანაში ყველა საქმე უპრიანია ჩვენ ხელთ იყოს ვიდრე სხვების ხელში"[1].

ავტონომიის გარდა ილიას აზრით იმ პერიოდში სხვა რეალური გზა არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ასეთი მოთხოვნა არ იყო ილიას ოცნების აღსრულება, რომ რეალურად აღდგენილიყო ქართული სახელმწიფოებრიობა, მაგრამ თავისთავად იგი მაინც პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თითქოს მომავალი თაობის ყურადსაღებად ბრძანებდა: „ვითარცა გამკითხველი ჯერ იმ დროების ქურაში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიც"[2]. მართლაც, იმდროინდელ ვითარებაში უფრო „ჩახედულნი" არ ურჩევდნენ ილიას ავტონომიის საკითხის დაყენებას „სახელმწიფოს საბჭოში", რადგან მას „მეტად გაბედულ მოთხოვნად" თვლიდნენ[3].

საქართველოს სრული დამოუკიდებლობა — აი ილიას იდეალი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი ფიზიკურად არსებობაც კი აუტანელი გახდა ილიას მტრებისათვის. სხვა პოზიციიდან ილიას დანახვა მისი მემკვიდრეობის დამახინჯება და შეურაცხყოფაა.

ილიასათვის საქართველო, ქართული ხასიათი, ქართველთა ყოფა-ცხოვრება სხვათაგან განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება და იგი ვერასოდეს იგუებს სხვა ერთა თარგზე მოჭრილ ტრაფარეტებს. აქ, საქართველოში, როგორც თვითონ წერდა, „გარდა საზოგადო მოძრაობისა, საკუთარნი კერძო მიზეზნიც არიან, მით არა ნაკლებ მწვავენი!"[4].

ილია შესაშური ინტუიციით გრძნობდა სპეციფიკას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ, სა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 334.
[2] იქვე, გვ. 346.
[3] გ. შარაძე, არქეოგრაფიული ეტიუდები, ჟურ. „ცისკარი", 1981, № 7, გვ. 122.
[4] ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადო თუ კულტურული ცხოვრების სფეროში იკიდებდა ფეხს. ასევე წინასწარმეტყველურად გრძნობდა იმას, რაც მომავალში შეიძლებოდა ჩასახულიყო ქართველი ერის ცხოვრებაში.

როდესაც ვსწავლობთ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ ახორციელებდა იგი თავის იურიდიულ შეხედულებებსა და თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორ აისახა ყველაფერი ეს მის მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტურ მოღვაწეობაში. თუმცა, ასეთ დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს: ილიას მთლიან მოღვაწეობაში მხოლოდ ანარეკლიღა შეინიშნება მისი იურიდიული შეხედულებებიდან. საქმე იმაშია, რომ ილიას, როგორც მოხელის სკამზე მჯდომს, მართალია უხერხულად მოუსხამს მოსამართლის მანტია, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც ყველგან ამოიცნობს დიდ ჰუმანისტს. მის მიერ გარჩეული საქმეები ერთის შეხედვით ცარიზმის კანონმდებლობის მიხედვითაა გადაწყვეტილი, მაგრამ გაგება კანონისა, მისი დედააზრის განმარტება, ხშირად ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმებს უფრო ესადაგება. სწორედ ამიტომ, სასამართლო საქმიანობა სალესი ქვა იყო ილიასათვის, იურიდიული აზროვნების გამომუშავება-წრთობისათვის.

სულ სხვაგვარია ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო და სამართლებრივი შეხედულებები მის მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტიკაში. აქ იგი ფრთალაღი და შემართებულია, ესმის სათქმელის ზომა-წონა და ოლიმპიური სიმშვიდით ასამართლებს ყველა ჯურის ავკაცობა-უსამართლობას.

განუზომელია ილიას დაინტერესება ერის ცხოვრებაში ჩვეულებითი სამართლის როლზე, მის ადგილსა და მნიშვნელობაზე.

გამოთქმას — „ჩვეულებითი სამართალი", ილია არ იცნობს და დღევანდელი გაგებით მის შინაარსს ამგვარად გამოხატავს: ჩვეულება, მამა-პაპათა ალიარებული სიმართლე, სახალხო სამართალი, ბუნებრივის სამართალი, ადათი, ან ადათ-წესები. უფრო ხშირად კი ჩვეულებას ან წესს უწოდებს მას.

ილიას ჩვეულებითი სამართალი (ჩვეულება) „პირველყამიურ", ქცევის წესებად ესახება. ტერმინთა თანამედროვე გაგებიდან თუ გამოვალთ, იგი ჩვეულებას არ განასხვავებს ჩვეულებითი სამართლისაგან.

ილიას წარმოდგენით „რჯული" იგივე კანონია სამართალად წოდებული. ეხება რა ბოლანდიაში შექმნილ ვითარებას სხვისი მიწის მფლობელობასთან დაკავშირებით, იგი წერს „...ჩვეულების საფარველ ქვეშ გაზრდილი და შენახული, ამ ბოლოს ხანებში ძლივ-ძლივს შეიწყნარა **კანონმა** და დღეს **რჯულად** არის დადებული"[5] კარგად ჩანს, რომ ავტორს რჯული ესმის როგორც დაკანონებული, ხელისუფლების მიერ სანქციონირებული სამართალი.

სხვა ადგილას ილია ასე განმარტავს ჩვეულების შინაარსს: „**ჩვეულება** ერისათვის იგივ რჯულია, იგივ **კანონია**, მხოლოდ დაუწერელი კი"[6].

როცა ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებს ჩამოთვლის, მათ ჩვეულებას ეძახის და ასე ამთავრებს მსჯელობას: „ყველა ამ შემთხვევაში **ჩვენი ჩვეულება, ესე იგი— ხალხისაგან მამა-პაპით ალიარებული სიმართლე**"[7]. რაც შეეხება ტერმინ — რჯულს, მას კანონის ან ზოგადად სამართლის მნიშვნელობით ხმარობს.

ჩვეულებით სამართალში ილია ხედავს როგორც დადებითს, ისე უარყოფით მხარეებს. დადებითად მიაჩნია ის, „რომ ყოველთვის ცხოვრების ბეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა"[8]. ილიას აზრით დროთა ვითარებაში ჩვეულებითმა სამართალმა შეიძლება შეიცვალოს ბუნება და დაჰკარგოს „უტყუარი წამლის" ძალა, რომ იგი გაუკეთდეს კიდეც, სწორედ ამიტომაც „თუ ყოველ დროს არა — პირველ ხანებში მაინცა" არის იგი სასარგებლო[9].

---

[5] ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 147.

[6] იქვე, გვ. 154.

[7] ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 94. ილია სიტყვებს — სამართალს და სიმართლეს ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს. როგორც აქ, ისე ქვემოთაც ხაზგასმა ჩვენ გვეკუთვნის (მ. კ.).

[8] ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 154.

[9] ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 154. აქ ცხადია ჩვეულებით სამართალთან ერთად საყოფაცხოვრებო ხასიათის სხვა ჩვეულებებიც იგულისხმება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჩვეულებითი სამართალი თავდაპირველად პროგრესულია, ხოლო შემდგომ პერიოდში უჩნდება მას დასაგმობ-მოსაცილებელი ატრიბუტები.

იბადება კითხვა, რატომ ეტმასნება შემდგომ პერიოდში ჩვეულებითს სამართალს ცუდი და დასაგმობი ნიშნები? საქმე იმაშია, რომ ილია არ თიშავს რა ერთმანეთისაგან ჩვეულებას და ჩვეულებითს სამართალს, „პირველ ხანებში" საერთო, სახალხო, ყველასათვის სასარგებლო ჩვეულებები უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო შემდგომ, როცა ღრმად იჭრება ჩვეულებაში კლასობრივი ინტერესები, ისინი იქცევიან რა ჩვეულებითი სამართლის ნორმად, სწორედ მაშინ მრუდდება და „უსამართლობადაც" იქცევა იგი.

როგორც ჩანს, ეს პროცესი კარგად აქვს შემჩნეული ილიას, მაგრამ იმდროინდელი გაბატონებული მეთოდოლოგიით კლასობრივ კრიტერიუმს არ იყენებს საკითხის ასახსნელად. სწორედ ამიტომ, ერთ სიბრტყეზე ათავსებს როგორც ჩვეულებას, ისე ჩვეულებით სამართალს.

ილიას თქმით ჩვეულება (ჩვეულებითი სამართალი) ზეპირად, წერილობითი გაფორმების გარეშე მოქმედებს. ამდენად, მას შეუძლია ადვილად მიითვისოს, „მიიწებოს" ისეთი ელემენტები, რაც ღირსებას უკარგავს მას. დაწერილი კანონისაგან განსხვავებით, რომელიც „მინამ არის — ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედ, რასაც აჩენს და ჰბადებს ხოლმე ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა... აი დიდი ღირსება **კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია**"[10].

ი. ჭავჭავაძე, ჩვეულებასა და კანონს შორის განსხვავებას, კერძო და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დამოუკიდებულებაშიც ხედავს, „პირველის ფარ-ხმალი კანონია, წერს იგი, მეორისა ჩვეულება"[11].

როგორც ჩანს, ილიას მხედველობიდან გამორჩა ჩვეულებითი სამართლის კლასობრივი ხასიათი. თანამედროვე მეთოდოლოგიით კი სწორედ პრივილეგიურ კლასს შეუძლია საყოველთაოდ დანერგილ ჩვეულებას „მიაწებოს" უსამართლობა და ასე აქციოს იგი სამართლად, ჩვეულებით სამართლად.

ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ სწორედ „განვითარების" წყალობით ინარჩუნებს ჩვეულებები სიცოცხლეს, იგი არა მარტო უარყოფითს „იწებებს", არამედ დროდადრო პროგრესულითაც მდიდრდება.

ილიას აზრით, ჩვეულებითი სამართალი რომ დროის მინაზარდისაგან, („მინაწებებისაგან") გადაერჩინათ ,ზოგიერთი სახელმწიფო იძულებული შეიქმნა „...სახე დაწერილი კანონისა მიეცა იმ ჩვეულებისათვის"[12].

ი. ჭავჭავაძე პროფესიულ დონეზე ერკვევა სამართლის ფილოსოფიაში, რომლის წყალობითაც კარგად ხედავს ჩვეულებითი სამართლის კავშირს ბუნებით სამართალთან. მომრიგებელ სასამართლოს ღირსებად შუაკაცობასთან (მედიატორობასთან) ერთად „ბუნებრივის სამართლით საქმის გადაწყვეტა" მიაჩნია და უპირატეს ადგილსაც ანიჭებს მას „ვიდრე ფორმალურის სიმართლითა" განსჯას. აქ „**ბუნებრივის**" სამართალში ზოგადად, ჩვეულებითი სამართალი, ხოლო „**ფორმალურში**" პოზიტიურ (მოქმედ) სამართალს გულისხმობს ავტორი. ჩვეულებითი და ბუნებითი სამართლის ურთიერთობაზე კიდევ უფრო მკაფიოდაა ნათქვამი, როცა ჩვეულებას უწოდა „დედაბოძი ბუნებრივის სამართლისა"[13].

ორიგინალური და ანგარიშგასაწევია ილიასეული შეხედულება ჩვეულებითი სამართლის კანონად გადაქცევასთან დაკავშირებით, ანუ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში ჩვეულებითი სამართლის როგორც წყაროს როლზე და მნიშვნელობაზე.

ილიას განმარტებით ხალხის სამსახურში მეტნაკლებად ჩამდგარმა კანონმდებლობამ ფართოდ უნდა გამოიყენოს ჩვეულებითი სამართალი, რომლის გარეშეც „...არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლას და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა"[14].

ილიასეულმა მოთხოვნამ არა მარტო გაუძლო დროს, არამედ იგი მრავალი ხალხის სამართლებრივმა ცხოვრებამაც დაადასტურა.

როგორც პრაქტიკოსი მოსამართლე, ილია მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელებისათვის მოითხოვს ჩვეულებითი სამართლის ფართოდ გამოყენებას. საქმის გამრჩევ მოსამართლეს უფლება უნდა ჰქონდეს „...საქმე გადაწყვიტოს **ჩვეულების ძალითაცა**, ე. ი. იმ

---

[10] იქვე.
[11] იქვე, გვ. 126.
[12] იქვე, გვ. 154.
[13] იქვე, გვ. 96.
[14] იქვე, გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლით, რაც ხალხის სინდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს"[15].

ილიას თვალს არ გამოპარვია ისიც, რომ თვითონ კანონი იგებს ჩვეულებით სამართალზე დაყრდნობით, მდიდრდება იმით, „რაც თითონ ხალხის მოსაზრებით სამართლად არის ცნობილი"[16]. ეს კი ცხოვრებაში კანონის შეუფერხებელად გატარების გარანტიასაც იძლევა.

ილიას დაკვირვებით კანონი, რომელიც ანგარიშს არ უწევს ხალხის ჩვეულებით სამართალს, პატივს არ სცემს მის ღირსებებს, ამ ხალხისათვის „სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსია"[17].

როგორც ჩანს, ილიას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ეროვნული ჩვეულებითი სამართლის, როგორც საკანონმდებლო წყაროს გამოყენების აუცილებლობა. უფრო შორს მიდის მისი მსჯელობა ამ მიმართულებით. ჩვეულებითი სამართალი ხალხის ნებას გამოხატავს, ამიტომაც არა მარტო მისი დედააზრი უნდა დაედოს საფუძვლად კანონს, არამედ ზოგიერთი მათგანი პირდაპირ უნდა იქცეს საკანონმდებლო ნორმად. არსებობს გარემოებანი, რომლებიც „...სასურველად ჰხდიან დაუწერელი კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა ჩვენში"[18].

ამ შემთხვევაშიც ილიასეული მიდგომა საკითხისადმი ეროვნული პოზიციების განმტკიცებითაა ნაკარნახევი.

საინტერესოა ილიას დაკვირვება, ჩვეულებითი სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე იმ ხალხის სამართალწარმოებაში, რომელთაც უცხოთა კანონები აქვთ თავს მოხვეული, როცა გაბატონებული ხალხის კანონები არ ესადაგება მორჩილებაში მყოფ ხალხთა სამართლებრივ მოთხოვნილებებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით იმაღლებს იგი ხმას, როცა წერს: „კანონის შესავსებად, ჭეშმარიტის სამართლის საწარმოებლად, მართლმსაჯულობის წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში"[19].

ახასიათებს რა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას, ილია ასაბუთებს მის ქართულ ეროვნულ ვითარებასთან შეუთავსებლობას და წერს: „ჩვენი ჩვეულება ე. ი. ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე ერთს ამბობს და რუსული კანონები კი —ან სულ არას ამბობენ ანთუ ამბობენ, სულ სხვასა"[20]. ილიას აზრით, მართლმსაჯულებას და საერთოდ, ხელისუფლებას, იმ ერის შვილი უნდა ახორციელებდეს, რომელსაც განსასჯელნი ეკუთვნიან. როცა „...უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა", მას არ შეუძლია ჩასწვდეს ხალხის მოთხოვნილებას, სამართლიანად განსაჯოს ისინი[21]. სწორედ მეფის რუსეთის კანონმდებლობის ქართულ ზნე-ჩვეულებებთან შეუთავსებლობა უკარნახებდა ილიას ეროვნული ჩვეულებითი სამართლის ე. ი. „...დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა ჩვენში"[22].

ჩვეულებითი სამართლისადმი ილიასეული დამოკიდებულება, მართლმსაჯულების და მოსამართლის მოვალეობის ილიასეულივე გაგებაში იღებს სათავეს. მისი თქმით „მართლიერება, სამართალი, მთელის ერის გაწმენდილი სინდისია, მთელის ერის გაწმენდილი ნამუსია"[23].

მოსამართლე კი ის კაცია, „რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი"[24]. უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ასეთად წარმოედგინა ილიას მომავალი ქართული მართლმსაჯულება, მოსამართლე.

ადამიანთა მოქმედებაში, კანონთან შედარებით, ილია ზნეობას აძლევდა პრიმატს. ერთ თავის კერძო წერილში იგი ადრესატს სწერს: „მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე"[25].

---

15 იქვე, გვ. 93.
16 იქვე, გვ. 76.
17 ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 38.
18 ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 155.
19 იქვე, გვ. 94.
20 იქვე.
21 ი. ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 36.
22 ი. ჭავჭავაძე,, ტ. VI, გვ. 155.
23 ი. ჭავჭავაძე, ტ.. VIII, გვ. 337.
24 იქვე, გვ. 338.
25 ი. ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 82.

ილია ჭავჭავაძის მიერ ჩვეულებითი სამართლის შეფასების საკითხი მეჩიდროდ უკავშირდება საველე ეთნოგრაფიული გზით ხალხში გაბნეული ჩვეულებითი სამართლის ჩანაწერების შეკრებას, აუცილებლობას.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების თვალსაზრისითაც, რომელსაც წინ უსწრებდა მეთოდური მითითებათა გამოქვეყნება, თუ როგორ და რასთან დაკავშირებით უნდა ეწარმოებინათ ამ ხასიათის სამუშაოების ჩატარება.

კრებდნენ ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს, შელოცვებს და სხვა სახის ტექსტებს, მაგრამ ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის მასალებს არავინ ეკარებოდა. ასეთ დროს, 1887 წლის გაზეთ ივერიაში" (№ 270) მეთაურად გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის წერილი, რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული ზოგიერთი ხასიათის მასალების შეკრებით გატაცებაზე და ეკონომიკური თუ იურიდიული ცხოვრების ამსახველი ცნობების უყურადღებოდ დატოვებაზე, „ეს სფერო ცხოვრებისა — ნათქვამია წერილში — მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შესედულებას სამართალზე"[26]. ავტორის აზრით ამ ხასიათის მასალების შესწავლით „... შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება"[27].

წერილში მითითებულია, რომ ეკონომიური და იურიდიული მასალების „შეკრება და შესწავლა ყველასათვის საადვილო საქმეა და უფრო ბეჯითობასა და დაკვირვებას თხოულობს, ვიდრეს სპეციალურ ცოდნასა და მომზადებას"[28].

იმის აღნიშვნამ, რომ ამგვარ მასალათა შეკრებისას პოეზიის ნიმუშებით გატაცება ვერ გახდება წარსულის საიმედოდ შესწავლის საფუძველი, ხოლო ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის მასალათა შეკრება და შესწავლა სპეციალურ ცოდნას და მომზადებას არ მოითხოვს, კრიტიკულად განაწყო ხალხური ზეპირსიტყვიერების თავგამოდებული შემკრები პეტრე უმიკაშვილი. 1888 წლის „ივერიის" 29-ე ნომერში გამოქვეყნდა პ. უმიკაშვილის წერილი სათაურით „უსაფუძველი დაფლობა".

წერილის ავტორი გმობს როგორც პოეზიის ნიმუშების მოპოვებით გატაცებას, ასევე მოსაზრებას, რომ ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის მასალების შეკრება თითქოს არ მოითხოვდეს სპეციალურ ცოდნას. მოვუსმინოთ ავტორს: „არის, რასაკვირველია, ეტნოგრაფიაში ისეთი შრომა, რომლისთვის საჭიროა დაკვირვების ნიჭი, მაგრამ ეკონომიურს და იურიდიულს სფეროს რაც შეეხება, იქ კი ფასმოუმზადებელი, განუსწავლელი ნიჭიერებაცა და დაკვირვებაც"[29] აუცილებელია. ამდენად, ყველას როდი შეუძლია ამ ხასიათის მასალების შეკრებაო.

ასე დამთავრდა კამათი იურიდიული ხასიათის მასლების შეკრების აუცილებლობაზე. მას შემდეგ თითქმის 100 წელი გავიდა, ამ ხნის მანძილზე განვითარდა ეთნოგრაფია, წინ წავიდა ქართული სამართლის ისტორიის საკითხების კვლევა და დღეს შეიძლება პასუხი გაეცეს კითხვას: ვინ იყო მართალი, ილია თუ პეტრე უმიკაშვილი?

ჩვენის აზრით, პასუხი ასეთია: XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხალხში დაუნჯებულ ზეპირსიტყვიერებათა შემკრებებად გვევლინებოდნენ ენთუზიასტები განურჩევლად ცოდნისა, სქესისა და პროფესიისა, ვისაც შეეძლო ჩაწერა. თქმა არ უნდა, ასეთ პირთაგან მდარე მასალაც ბევრი უნიკალური მასალა. დიახ, არაკვალიფიციურად ჩაწერის შიშით სამუდამოდ დავკარგეს საგანძური დღეს მეცნიერების სამსახურში დგას. სხვაგვარად მოხდა იურიდიული ხასიათის მასალების შეგროვების საქმეში. არ გვყავდნენ რა სათანადო მონდომებისა თუ კვალიფიკაციის გულშემატკივარნი, ასეთი მასალები ვერ შეიკრიბა.. ამით კი დავიწყებას მიეცა ბევრი უნიკალური მასალა. დიახ, არაკვალიფიციურად ჩაწერის შიშით სამუდამოდ დავკარგეთ ბევრი სწორუპოვარი ცნობა და დღეს დანანებით ვამბობთ: რა კარგი იქნებოდა, რომ თუნდაც არასრულად და არაზუსტად მაინც შეკრებილიყო მაშინ ჯერ კიდევ შემორჩენილი ამ ხასიათის მასალები. სულ არარაობას ხომ ცალი უღელი ხარი სჯობსო, უთქვამს ხალხს.

როგორც ჩანს, ამ საკითხშიც დროული და სამართლიანი იყო ილიას გულისტკივილი.

---

[26] ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 192.

[27] იქვე.

[28] იქვე, გვ. 193.

[29] პ. უმიკაშვილი, ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 1964, გვ. 231.

ილიასდროინდელი სასამართლო შენობა დუშეთში



ილიას გარჩეული საქმეები

ფოტო ედუარდ გიგილაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლოვობდა საქართველო

წიწამურის საზარელი ტრაგედია, რომელიც 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა, წარუშლელ ლაქად დარჩა ჩვენი ერის ისტორიაში. ამ დღეს ვერაგულად მოკლეს საქართველოს დიდი მოჰირნახულე ილია ჭავჭავაძე, ვინც, მთელი სიცოცხლე გულმხურვალედ ემსახურებოდა ხალხს და ვისაც „ერის წულული ანდა წულუ-ლად“

იმ საბედისწერო ყამს ილიასთან ერთად დედაქალაქიდან საგურამოში მიემგზავრებოდნენ მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილი და მსახური იაკობ თარაშვილი. ეტლი საგურამოელ გლეხს თედო ლაბაურს მიჰყავდა.

წიწამურთან, სწორედ იქ, სადაც ახლა ობელისკია აღმართული, ილიასა და მის თანამგზავრებს მოულოდნელად თავს დაესხნენ, მოკლეს ერის მამა და მისი მსახური იაკობი, თოფის კონდახით სცემეს ქალბატონ ოლღას, გაძარცვეს და ტყეში გაუჩინარდნენ.

ეს საზარელი ამბავი სხვებზე ადრე მორიახლოს მყოფმა დარაჯებმა გაიგეს, სწრაფადაც მივიდნენ თავდასხმის ადგილზე, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გასისხლიანებული, გრძნობადაკარგული ოლღა დარაჯებმა ეტლში ჩასვეს და საგურამოში აიყვანეს, მერე შემთხვევით მიმავალი ურემი გააჩერეს, შიგ ილიასა და იაკობის გვამები ჩააწყვეს და ისინიც სოფელში აიტანეს.

მომხდარმა ამბავმა მთელი საქართველო შესძრა, გამწარებული ხალხი წყევლა-კრულვას უთვლიდა ბოროტმოქმედებს. ვაჟა-ფშაველამ სახალხოდ გამოხატა თავისი აღშფოთება და გაანცხადა: „საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკ შვილების პატრონ საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა“

ქართველი ხალხის ხსოვნაში ავადმოსაგონრად დარჩნენ ილიას მკვლელები, რომლებმაც სიცოცხლეშივე დაიმსახურეს საყოველთაო სიძულვილი. აი ისინიც: ყოფილი მამასახლისი, ლოთი და ზნედაცემული ვანო ინაშვილი, გულღვარძლიანი პავლე ფშავლიშვილი, ყაჩაღობაში გაწაფული სანდრო ბიზანიშვილი, ქურდბაცაცა და ცბიერი გიგლა (გიგოლა) ბერბიჭაშვილი. იგი ადრე მშობლიურ სოფელ ახატნიდანაც კი გაუძევებია ხალხს შეწუხებისათვის. სწორედ მან აღმართა პირველად თოფი ილიას წინააღმდეგ და შემდეგ სხვებიც მიჰყვნენ მას.

დღეს უკვე დადგენილია, რომ მკვლელებთან დაახლოებული ყოფილა აგრეთვე ილიას მეეტლე თედო ლაბაური, რომელიც თურმე არაერთხელ შეხვედრია საგურამოს ტყეში გარეწრებს.

ილია ჭავჭავაძის გლოვის დღეებში მთელი საქართველო ბობოქრობდა. ხალხი დაბეჯითებით მოითხოვდა დამნაშავეთა მკაცრად დასჯას. მღელვარება ციხეებში გამომწყვდეულ პატიმრებსაც მოედოთ, ისინიც კი შფოთავდნენ. განსაკუთრებით პოლიტიკურმა პატიმრებმა განიცადეს ქართველი ერის მწუხარება.

მეტეხის ციხის პატიმრები საკანიდან საკანში გადასცემდნენ ილიას მკვლელობის გულშემზარავ ამბავს პატიმრებმა ფული შეაგროვეს და ყარაულს გადასცეს ილიას საპატივსაცემო გვირგვინი შეუკვეთეთო. სასწრაფოდ შეადგინეს დეპეშის ტექსტიც: „არსებული უსამართლობით რკინის ჩარჩოებიდან კარჩაკეტილ საკნებში გამომწყვდეულებს გული დაგვიკოდა მხცოვანი პოეტის, მოჰირნახულე ილიას ვერაგულმა სიკვდილმა. გულის სილრმემდის შეგვაშფოთა და შეგვაძრწუნა ამ მკვლელობამ, რომელმაც წაართვა დედაბოძი ქართველ მწერლობას. ვგმობთ გონებადაბნეულ მკვლელთ და თვით ილიას ვუძღვნით ცოცხალის ყვავილებით შემკულ გვირგვინს და თან ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს.

მეტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილი“.

ილია ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი, ცნობილი მოღვაწე თედო სახოკია თავის წიგნში „ჩემი საუკუნის ადამიანები“, ასე იხსენიებს წიწამურის საზარელ ტრაგედიას:

„1907 წლის ზაფხულში სანამ გამასამართლებდნენ და გამაციმბირებდნენ, გასამართლების მოლოდინში სოხუმის ციხეში ვისხედით, როგორც საზღვარგარეთიდან ბარაღის შემოზიდვის გამო პასუხისგებაში მიცემულნი (სოციალ-დემოკრატთა პარტიის წევრები), ისე ჯუდაუთის სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციაში მონაწილეობის გამო დაჭერილნი.

„ისარმა“ გულშემზარავი ამბავი მოგვიტანა: აგვისტოს 30-ს ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს.

მაშინვე წინადადება მივეცი პოლიტიკურ პატიმრებს, ყველას სამძიმრის დეპეშა გაგვეგზავნა გაზეთის რედაქციაში. ბა რას წარმოვიდგენდი, რომ ილიას სიკვდილი ერთნაირად სამგლოვიარო არ იქნებოდა ყველა ქართველისათვის!

სოციალ-დემოკრატებმა, თუმცა ბოდიშით, მაგრამ მაინც უარი გვითხრეს: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო! იძულებული ვიყავით, დეპეშა პოლიტიკური პარტიების ერთი ჯგუფის (იგულისხმება სოციალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერალისტები) სახელით გაგვეგზავნა".

ილია ჭავჭავაძის გლოვის დღეებში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ისხდნენ ცნობილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია, ჟურნალისტი ილია ბახტაძე, მწერლები ლეო ქიაჩელი, დავით სულიაშვილი და სხვები. როგორც ი. ბახტაძე იგონებს, პატიმრებს ილიას მკვლელობის ამბავი მოუტანა ციხის ექიმმა დათიკო ჯაფარიძემ. ამან დიდად შეაშფოთა ყველა, პატიმრები ერთი საკანიდან მეორეში გასძახოდნენ: „დაღუპულია საქართველო, ილია ჭავჭავაძე მოუკლავთ!"

როცა გათენდა და პატიმრები ციხის ეზოში გამოიყვანეს სასეირნოდ, სახელდახელოდ კრება გაიმართა. ერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა, პოლიკარპე გოგიაშვილმა, რომელიც 1905 წელს ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა გაფიცვას ხელმძღვანელობდა, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით გულახდილად განაცხადა, ერის დიდი მოძღვარი მოუკლავთო. სხვებმაც პატივისცემით გაიხსენეს ილია, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი მწერალი და აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ასეთ მოღვაწეს ტყვიით გაუგმირეს გული.

ციხის ადმინისტრაციამ ბრძანა კრება შეეწყვიტათ, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა. თუმცა, პოლიციელები ყვიროდნენ, ახლავე დაიშალეთ, თორემ სალდათებს მოვიყვანთ და ტყვიას დაგიშენთო, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გადაწყდა, რომ საგუბერნიო ციხის პატიმართა სახელით დეპეშა გაეგზავნათ თბილისში, გაეზიარებინათ ქართველი ხალხის დიდი მწუხარება, ზიზღით, კრულვით მოეხსენებინათ ილია ჭავჭავაძის მკვლელები. დეპეშაში ვკითხულობთ: „ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილის პატიმარნი აღშფოთებულნი ვართ მგოსან-ბელეტრისტის ილია ჭავჭავაძის მკვლელობით. პატიმართა მინდობილობით: დ. ღულაძე, ი. ბახტაძე, და პ. კორძახია".

პატიმრებს განზრახული ჰქონდათ დელეგაცია გაეგზავნათ ილიას დაკრძალვაზე, მაგრამ ამის ნება არ მისცეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ დიდად შეაშფოთა აგრეთვე საქართველოდან გადასახლებული პატიმრებიც. შორეულ ენოტაევსკში მყოფმა ქართველმა პატიმრებმა ილიას მკვლელობა დათიკო კობიაშვილის მიერ გაგზავნილი წერილით გაიგეს. აი, ამ ბარათის მოკლე შინაარსი:

„...ახლა კოლა (წერს იგი პატიმარ დედაბრიშვილს) მე უნდა გაუწყო ჩვენი ქვეყნის ბურჯის, საქართველოს დიდების პირუტყვულად მკვლელობა, ილიას სიკვდილზე. მოპკლეს 30 აგვისტოს, მზის ჩასვლამდე. უკანასკნელად ღა დაინახა საცოდავმა ბერიკაცმა თავისი საყვარელი საგურამოს მზის სხივები. ტყვიით გაუგმირეს გული, სისხლით მოუსვარეს თავი „გლახის ნაამბობისა" და „განდეგილის" დამწერს, მერე ვინა? იცი ვინ? ჩვენვე. გული მიკანკალებს ყოველთვის, როდესაც გამახსენდება, რომ ილია ტყვიით განგმირეს. განა ილია ასეთი სასაცილოობის ღირსი იყო? ილია, რომელიც 45 წელზე მეტი ქართულ ლიტერატურას დარაჯად ედგა და მაგარი წრე ჰქონდა შემოვლილი, რა ტყვია უნდოდა მოხუცებულს? აიღებდნენ კენჭს, ეს როდნენ და მოკვდებოდა, ან დააცდიდნენ ერთ წელიწადს კიდევ და თვითონ მოკვდებოდა.

მე ქალაქში ვიყავი იმის დასაფლავებაზე და იქ დავინახე, რა დიდებული ყოფილა ილია. ჯერ საქართველოს არ ახსოვს მეორე მაგალითი ასეთი გლოვისა. უნდა შენი თვალით გენახა, კოლა, ის ცრემლები, რომელიც აკაკის თეთრ წვერზე ჩამოსდიოდა და ამბობდა, ილიკო, მარტო რათა მტოვებო. ქვის გული უნდა სდებოდა იმ ქართველს, ვისაც ეს ცრემლები გულს არ აუძგერებდა. დიდი ძალი ხალხი დაესწრო მის დასაფლავებას. ისეთი კუთხე არ დარჩენილა საქართველოსი, საიდანაც არ ყოფილიყვნენ. საფრანგეთიდანაც კი მოვიდა გვირგვინი. დაასაფლავეს მამადავითის საყდართან, დიმიტრის მიუწვინეს გვერდზე, მასსავით ტანჯულად მოკლულს..."[1]

ენოტაევსკში ჩასულმა საშინელმა ამბავმა მარტო კოლა დედაბრიშვილი კი არა, ყველა ქართველი პატიმარი დაამწუხრა. ილიას მკვლელობამ ქართველებთან ერთად გული ატკინა აგრეთვე სომხებს, რუსებს, ოსებს. სახელდახელოდ მოწყობილ კრებაზე პატიმრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ სამძიმრის დეპეშა გამოეგზავნათ საქართველოში, აი რას წერდნენ ისინი:

„დამსახურებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა უკიდურეს მწუხარებაში ჩაგვაგდო ენოტაევსკში პოლიტიკური დანაშაულისათვის გადმოსახლებულნი. მონაწილენი ვართ ჩვენის ქვეყნის საერთო მწუხარებისა, წყევლა-კრულვა მგოსნის მკვლელებს!

პოლიტიკური გადმოსახლებულები: გრიგოლაშვილი, დედაბრიშვილი, კოკუზირიძე, მეიფარიანი, ჭუბაბრია, რაზმაძე, ჩაჩიბაია, ფულოვი, კალაშნიკოვი, თვალიძე, მიქაძე, ბერიშვილი, ჩაბიევი, გამდლიშვილი, ქურდოვანიძე, ტაიგა-

[1] კოლა დედაბრიშვილი იყო ცნობილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის უმცროსი ძმა.

ძე, ფუხაშვილი, კოზმანიშვილი, ტერმინასოვი, სუმბათაშვილი, გვენატაძე, ბაზაშვილი".

როცა გადასახლებიდან გათავისუფლებული კოლა დედაბრიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, იგი მეუღლესთან ერთად ავიდა მთაწმინდაზე და ილიას საფლავი ყვავილებით შეამკო. როგორც მისი ნათესავები, სოფელ წილკანში მცხოვრები ჩილინდრიშვილები იგონებენ, კოლას თურმე არა ერთხელ უთქვამს: „თუნდაც მეორედ გავესახლებინე არას ვინაღვლებდი, ოღონ ილიას მკვლელისათვის მზე დამენელებინაო".

კოლა დედაბრიშვილის სიკვდილის შემდეგ თბილისში მცხოვრები მისი მეუღლე სონა სათუთად უფრთხილდებოდა ქმრის დანატოვარ მასალებს ილიაზე, რომელიც შემდეგ მან თავის ვაჟიშვილს უსუპს გადასცა.

მეჯვრისხეველი (გორის რაიონი) გიორგი, იგივე ვანო ტატიშვილი 1904 წელს დააპატიმრეს რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის და სხვებთან ერთად სასჯელის მოსახდელად ასტრახანის გუბერნიაში გაამწესეს.

ასტრახანის გუბერნიაში მყოფმა პატიმარმა, ვანო ტატიშვილმა, როცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი გაიგო, აღშფოთდა, ეს რა უბედურება მომხდარა საქართველოში, ვინ წააქცია ჩვენი ქვეყნის დედაბოძი. სახელდახელოდ მოწყობილი კრების მონაწილეებს მან ილიას ვერაგული მკვლელობის ამბავი ამცნო და მისივე წინადადებით გადაწყდა, რომ პატიმარი ქართველი სოციალ-დემოკრატების სახელით საქართველოში წარმომადგენლები გაეგზავნათ, რომლებიც დაწვრილებით შეიტყობდნენ ილიას მკვლელობის მიზეზს. ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი არა მარტო ქართველებმა, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებმაც. ადმინისტრაცია იძულებული გახდა პატიმართა მოთხოვნა შეესრულებინა და თბილისში წასვლის ნება დართო ვანო ტატიშვილსა და მიხა წიკლაურს.

ასტრახანის გუბერნიიდან თბილისში ჩამოსული წარმომადგენლები ცნობილ რევოლუციონერთან, ვანო ცაბაძესთან მივიდნენ და ილიას მკვლელობაზე ჩამოაგდეს საუბარი. გულნატკენმა ცაბაძემ ნაღვლიანად თქვა, რომ მკვლელები ჯერ კიდევ არ არიან დასჯილები და საერთოდ, ბევრი რამ დასაზუსტებელიაო..

ვ. ცაბაძემ ტატიშვილი სოციალ-დემოკრატთა კრებაზე წაიყვანა, სადაც მხოლოდ ილიას მკვლელობაზე იყო ლაპარაკი. იქვე გადაწყდა, რომ ტატიშვილი, როგორც გაბედული ვაჟკაცი, საგურამოსა და მის მეზობელ სოფლებში გამგზავრებულიყო ილიას მკვლელობის საკითხის დასაზუსტებლად.

დადიოდა სოფლის გლეხებთან ტატიშვილი, ვითომ მიწის ნაკვეთის ყიდვა და იქ დასახლება უნდოდა, ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რას და თან ჩუმად შეაპარებდა ხოლმე კითხვას, თუ რა იცოდნენ ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით. ამგვარად შეიტყო მან ადგილობრივი გლეხებისაგან, რომ ილიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან, ქვრივ-ობლებისა და გაჭირვებულების დამხმარე იყო მუდამ და საგურამოელებს არ შეეძლოთ მისი მტრობა. აქ ალბათ მთავრობის მოხელეების ხელი ურევიაო — დასძინეს ბოლოს.

ილიას მკვლელობის ერთერთი აქტიური მონაწილის გიგლა ბერბიჭაშვილის სოფელში იქაურებმა ზიზღით მოიხსენიეს გიგლა, ჭურდი და ბოროტი კაცია, დიდი ხანია სოფლიდანაც კი გავაძევეთო. მერე დაუმატეს, ალბათ ილიას მკვლელიც ეგ არის, მისგან სიავკაცის მეტი არაფერია მოსალოდნელიო.

ვ. ტატიშვილმა ილიას მკვლელობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა ვ. ცაბაძეს და თან შეპპირდა ამ საკითხზე კიდევ გავაგრძელებ მუშაობასაო. მართლაც, ვანომ შემდგომშიც ბევრი რამ შეისწავლა საგულისხმო. განსაკუთრებით დაეხმარა ილიას ყოფილი მეფუტკრე დანიელ მასლოვი, რომელმაც სარწმუნო ცნობები მიაწოდა.

1941 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარსდგა ილიას მკვლელობის ერთერთი აქტიური მონაწილე გიგლა პეტოს ძე ბერბიჭაშვილი, შეთქმულთა მიერ მოსყიდული ჯალათი. პროცესზე ფარდა აეხადა წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოებას. „პროცესზე დიდი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მოწმე, ძველმა რევოლუციონერმა გლეხმა ვანო ტატიშვილმა, რომელსაც 1907 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის დავალებით საგურამოში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამორკვევა ჰქონდა მინდობილი, რადგან მეფის მთავრობა პროვოკაციულად ამ მკვლელობას სოციალ-დემოკრატებს აბრალებდა. მოწმე ვ. ტატიშვილმა ვრცლად მოუთხრო სასამართლოს იმ ძიების შესახებ, რომელმაც დაადასტურა, რომ ბოროტმოქმედებაში მთავრობის ხელი ერია, რომ მთავარ ბრალდებულად ცნობილ იქნა ახატნელი გ. ბერბიჭაშვილი."2

1942 წლის 5 იანვარს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის აქტიურ მონაწილეს გ. პ. ბერბიჭაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიესაჯა.

ზალვა მარკოზაშვილი.

2 ი. ოდიშვილი, „წიწამურის ტრაგედია", 1953 წ. გვ. 8.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 200 წლისთავი

ავთანდილ დემეტრაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ფილადელფიაში (აშშ, პენსილვანიის შტატი) არის ადგილი, რომელსაც „ამერიკის ყველაზე ისტორიულ კვადრატულ მილს“ უწოდებენ. სწორედ აქ, ჯორჯ ვაშინგტონის თავმჯდომარეობით მუშაობდა კონსტიტუციური კონვენტი, რომლის 89 დარჩენილმა წევრმა (თავდაპირველი 55-დან) 1787 წლის 17 სექტემბერს ხელი მოაწერა აშშ-ს ძირითად კანონს. 1789 წლის 4 მარტს იგი ძალაში შევიდა და აქედან მოყოლებული შეერთებული შტატები ცდილობს მთელს მსოფლიოში დანერგოს თავისი კონსტიტუციის კულტი. პროპაგანდისტული ორგანოები განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ მის 200 წლისთავთან დაკავშირებით. ვინაიდან აშშ-ში არ არსებობს კონსტიტუციის ოფიციალური დღე, ქვეყნის მეორმოცე პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და კონგრესმა მიიღეს კანონი, რომლის თანახმად იუბილეს ძირითადი ღონისძიებანი უნდა ჩატარებულიყო 16 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში ლამაზ სანახაობრივ ღონისძიებებთან ერთად ჩატარდა სიმპოზიუმები, დაიბეჭდა ფუნდამენტური შრომები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა კონსტიტუციურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მრავალი სტატია, კონსტიტუციის თემამ ღირსეული კონკურენცია გაუწია კბილის პასტისა და ხაღეჭი რეზინის რეკლამას ტელეეკრანებზე. არც გარე სამყარო დავიწყებიათ — კონსტიტუცია, როგორც „დემოკრატიისა და სამართლიანობის“ ეტალონი, აშშ-ს ექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი გახდა.

თ. ჯეფერსონის მიერ მომზადებულმა და კონტინენტური კონგრესის მიერ 1776 წლის 4 ივლისს მიღებულმა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციამ გამოაცხადა, რომ „შეერთებული კოლონიები არსებითად და კანონით უნდა იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები“. მომდევნო წლებში თითქმის ყველა შტატმა მიიღო საკუთარი კონსტიტუცია, ხოლო 1781 წლის 1 მარტს მოქმედება დაიწყო „კონფედერაციის და მუდმივი კავშირის მუხლებმა“. მის მიღებას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე კიდევ ერთ ნაბიჯს მოასწავებდა, მაგრამ ეს არასაკმარისი ნაბიჯი იყო და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მიზნით, შტატებს შორის სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგებისათვის, კონგრესმა მიიწვია ყველა შტატის წარმომადგენლისაგან შემდგარი კონვენტი.

კონვენტის 55 დელეგატი პატარა, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავ კრებას წარმოადგენდა. აქ იყო, ყველა ის, ვისაც მოგვიანებით პოლიტიკურ წმინდანთა რანგში აიყვანენ და „დამფუძნებელ მამებს“ უწოდებენ: პირველი პრეზიდენტი ჯ. ვაშინგტონი, რომლის სახელსაც ატარებს დედაქალაქი, ამერიკის რევოლუციის ერთ-ერთი ფილოსოფოსი ს. ადამსი, ამერიკის კეისრის წოდების პრეტენდენტი ა. გამილტონი, ჯ. მედისონი, ე. რენდოლფი, ჯ. ვილსონი და სხვა სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, ფილოსოფოსი, იურისტი.

საკონსტიტუციო კონვენტის მონაწილენი აპირებდნენ რევოლუციის შემდგომი წინსვლის შეჩერებას, უფრო სრულყოფილი კავშირის შექმნას, რათა საიმედოდ უზრუნველეყოთ მესაკუთრეთა უფლებები.[1]

კონსტიტუციის მიღების ფაქტს უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის, არსებითად, არის მსოფლიო ისტორიაში პირველი ნაწერი ფორმალური კონსტიტუცია, რომელშიც განმტკიცებულია ამერიკელი ხალხის რევოლუციური მონაპოვარი და სხვადასხვა სახის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პრინციპები. მან გზა გაუკვალა ახალ, ბურჟუაზიულ საწარმოო

[1] Мишин А. А., Власихин В. А. Конституция США: политико-правовой комментарий, М., 1985, с. 10.

ურთიერთობებს, რითაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას. ამ აშკარა ფაქტის კონსტატაციას საერთო არაფერი აქვს კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების, როგორც ყველა დროისა და სხვა ხალხებისათვის, თითქოსდა, მოწინავეობის პროპაგანდასთან.

კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი... ვაცხადებთ და ვადგენთ... კონსტიტუციას". საბჭოთა და ზოგიერთ ამერიკელ მეცნიერს ეჭვი შეაქვს ამ კონსტიტუციური ფორმულის მართლზომიერებაში, რადგანაც:

ა. ფილადელფიის საკონსტიტუციო კონვენტი არ იყო შექმნილი საარჩევნო კორპუსის მიერ, მან თვითონ მიითვისა დამფუძნებელი უფლება-მოსილებანი;

ბ. კონსტიტუციური კონვენტის ხსდომები დახურული იყო, ისინი მკაცრად დაცული საიდუმლოების პირობებში, ხალხის მასებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, არ შეეძლო მათი ინტერესების გათვალისწინება;

გ. კონვენტის ყველა 55 დელეგატი, გამონაკლისის გარეშე, იმდროინდელი აშშ-ს შეძლებულ კლასებსა და სოციალურ ფენებს მიეკუთვნებოდა. არც ერთი მათგანი არ იყო მუშა ან წვრილი ფერმერი. „კონვენტის დელეგატთა სოციალური შემადგენლობა საოცრად ერთგვაროვანია, — ხაზს უსვამს პროფ. ა. მიშინი, — მხოლოდ მესაკუთრენი, მხოლოდ მდიდარნი"[2]. სწორედ ამიტომ კონვენტის მუშაობის შედეგები დაგვირგვინდა მესაკუთრეთა, მონათმფლობელთა, პლანტატორთა, ერთი სიტყვით, ბურჟუაზიისა და ექსპლოატატორთა კონსტიტუციის მიღებით. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ჩ. ბირდი თვლის, რომ კონსტიტუციის მიღება „არ იყო არც მთლიანად ხალხის და არც მოზრდილი მამაკაცების მკაფიო და მოფიქრებული ნება-სურვილის გამოხატვა... უფრო მეტიც, შესაძლოა, რომ არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობა მაშინდელი სახის კონსტიტუციის წინააღმდეგიც კი იყო, ყოველ შემთხვევაში, ქონებრივი ცენზის მოქმედებით, მათი (ამომრჩევლების — ა. დ.) უმეცრებითა და აპათიით შეიძლება გარკვეულწილად აიხსნას შეძლებულთა გამარჯვება, ეს უკანასკნელნი ყველგან ჩასაფრებული იყვნენ, რადგან თეორიულად კი არა, დოლარებში და ცენტებში იცოდნენ ახალი კონსტიტუციის ღირებულება".[3]

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას შეადგენს პრეამბულა, შვიდი მუხლი და 26 შესწორება. სახელმწიფო სტრუქტურის საფუძვლად კონსტიტუციამ გამოიყენა ხელისუფლების განაწილებისა და ფედერალიზმის პრინციპები. როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოძღვრება, „ხელისუფლების განაწილება", გამოჩნდა ადრინდელ ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქაში, იმ დროის ბრწყინვალე მოაზროვნეთა ჯონ ლოკისა და შარლ მონტესკიეს ნაშრომებში; როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის კლასიკური პრინციპი კი პირველად სწორედ აშშ-ს ძირითად კანონში გამოიყენეს. „დამფუძნებელმა მამებმა" შემოქმედებითად ისარგებლეს ევროპული დოქტრინით და ახალ გარემოში „ურთიერთგაწონასწორებისა და შეკავების" სისტემის სახელწოდებით მონათლეს. „ურთიერთგაწონასწორებისა და შეკავების" სისტემის არსი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: არსებობს სახელმწიფოს სამი შტო — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო; ესენი შეფარდებით დამოუკიდებელნი არიან ურთიერთმიმართ, ამასთან, მათ გააჩნიათ უფლება მოახდინონ ერთმანეთის შესაძლო ბოროტად გამოყენების, შეცდომების, ანტიკონსტიტუციური ქმედობების ნეიტრალიზაცია; კონგრესმა მიიღო უფლება უარყოს პრეზიდენტის საკანონმდებლო წინადადებანი, უარი უთხრას ფედერალურ თანამდებობაზე დანიშვნებს, იმპიჩმენტის წესით პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტი; თავის მხრივ, პრეზიდენტს გააჩნია დაყოვნებითი ვეტოს უფლება, რომლის დაძლევა საკმაოდ ძნელი საქმეა; ამასთან, პრეზიდენტის და სენატის მიერ ერთობლივად დანიშნული უმაღლესი სასამართლოს მოსამართლენი, თავიანთ საქმიანობაში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ.

ფედერალურ დონეზე საკანონმდებლო შტოს ფუნქციებს ახორციელებს კონგრესი, რომელიც წარმომადგენელთა პალატისა (ორი წლით არჩეული 435 კონგრესმენი) და სენატისაგან (ექვსი წლით არჩეული 100 სენატორი) შედგება. კონგრესის ძირითადი უფლებამოსილებებიდან — საკანონმდებლო, ფინანსური, საკონტროლო, სასამართლო, საგარეოპოლიტიკური — იმპიჩმენტის უფლების ძალით კონგრესს შეუძლია პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტი, მისი ადმინისტრაციის წევრები და უმაღლესი სასამართლოს წევრები. ქვეყნის ისტორიაში ცნობილია

---

[2] Мишин А. А. Государственное право США. М., 1976, с. 13.

[3] См.: США: политическая мысль и история, М., 1976, с. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპიჩმენტის პროცედურის დაახლოებით 50 შემთხვევა, 12 მათგანი განიხილა სენატმა და მხოლოდ 4 შემთხვევაში გამოიტანეს საბრალდებო ვერდიქტი[4].

ოფიციალური დოკუმენტები სავსეა მაღალფარდოვანი რიტორიკით, კონგრესის, როგორც „ერის ხმის", „რასების, მრწამსისა და კულტურების ფართო სპექტრის", „ყველაზე წარმომადგენლობითი სახალხო დემოკრატიის", „ერის სარკის" შესახებ. კონგრესი თუ როგორი „ერის სარკეა", ჩავიხედოთ ოფიციალურ სტატისტიკაში, რომლის მიხედვითაც აშშ-ს ყველაზე მდიდარ პირებს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც აქვს ნახევარი მილიონი დოლარი და უფრო მეტი აქტივები. ასეთ პირთა რაოდენობა კი მოსახლეობის მხოლოდ 0,6 პროცენტია. თუ ვილაპარაკებთ კონგრესში ყველა სოციალური ფენის თანაბარ წარმომადგენლობაზე, მაშინ ზემოაღნიშნულ ჯგუფიდან არჩეული უნდა იყოს 3-4 ადამიანი. რა ხდება სინამდვილეში? დოკუმენტების თანახმად კონგრესის წევრთა ნახევარზე (ე. ი. 267-ზე) მეტის წლიური შემოსავალი ნახევარ მილიონს აღემატება.[5] როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

აფროამერიკელები აშშ-ს მოსახლეობის დაახლოებით 11 პროცენტია, ე. ი. წარმოდგენილნი უნდა იყვნენ 60 დეპუტატით. ფაქტობრივად, 1985 წლის კონგრესში იყო 21 დეპუტატი, 1987 წლისაში კი — 19 შავკანიანი კონგრესმენი.

მიუხედავად აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების როლის ერთგვარი ზრდისა, ემანსიპაციის ტენდენციები თითქმის არ შეხებია კონგრესს — სადაც ამჟამად 511 მამაკაც-კანონმდებელია, ხოლო ქალი მხოლოდ 24.[6]

შეესაბამება თუ არა ეს და სხვა მონაცემები[7] „სახალხო წარმომადგენლობის" სტერეოტიპულ ვერსიას? თუ „დამფუძნებელ მამებს" სახალხო პარლამენტი" ჰქონდათ ჩაფიქრებული, სინამდვილემ უკუაგდო ამის შესაძლებლობა და კონგრესი დღეს ერთგულად და საკმაოდ ეფექტიანად ემსახურება თავის წარმომშობ კლასს — ბურჟუაზიას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ხელისუფლების საკითხი, რომლის განხორციელება კონსტიტუციამ პრეზიდენტს მიანდო.

პრეზიდენტის პოსტის მაძიებელთათვის კონსტიტუციაში დადგენილია რამდენიმე ცენზი — აშშ-ს მოქალაქეობა წარმოშობით; ასაკი — არანაკლებ 35 წლისა და აშშ-ს ტერიტორიაზე 14 წლის განმავლობაში ცხოვრების აუცილებლობა. გარდა ამისა, პოლიტიკურმა პრაქტიკამ შეიმუშავა პრეზიდენტის თანამდებობის არაკონსტიტუციური „კვალიფიკაციები". როგორც წესი, პრეზიდენტია თეთრკანიანი, მამაკაცი, პროტესტანტი, კარგი ორატორი, წესიერი მეოჯახე. პიროვნების სახის („იმიჯის") მასებში დანერგვას დიდად უწყობენ ხელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. რ. რეიგანის არჩევნებში გამარჯვებას უკავშირებენ „თავისი თავის მიწოდების" უნარს, მისი გამოსვლების კარგ რეჟისურას, მსახიობურ ოსტატობას.

კონსტიტუციის მიღმა დარჩენილი ამგვარი მოთხოვნები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ამასთან, სხვადასხვა გარემოების შესაბამისად, შესაძლოა მათი კორექტირება ან საერთოდ უარყოფა. მაგრამ არის დაუწერელი, მუდმივმოქმედი ცენზი — პრეზიდენტი უნდა იყოს მონოპოლიებისათვის სასურველი პირი, რომელსაც გააჩნია დიდძალი ფული.

პრეზიდენტი ხელმძღვანელობს უდიდეს სახელმწიფო აპარატს. ერთ-ერთი არის კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი რგოლი — პრეზიდენტთან არსებული აღმასრულებელი აპარატი. დროთა განმავლობაში ამ აპარატის საქმიანობაში წინა პლანზე წამოიწია ფედერალური სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის მაკონტროლებელმა ფუნქციამ, უფრო მეტიც, როგორც „ირანგეიტის" სკანდალთან დაკავშირებულ გამოძიების დროს გამოაშკარავდა, აღნიშნული აპარატი უშუალო და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური, აშშ-ს პრეზიდენტი ასრულებს განსაკუთრებულ როლს სახელმწიფო ხელმძღვანელობაში. კონსტიტუციის, სასამართლო პრეცედენტებისა და დოქტრინის საფუძველზე პრეზიდენტის უფლებამოსილებანი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

---

[4] Конституции буржуазных государств, М., 1982, с. 12.

[5] «За рубежом», 1982, № 44.

[6] «Известия», 11 июля 1987 г.

См.: «Проблемы американистики», М., 1986, с. 136.

[7] კონგრესის შემადგენლობაში (აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოებშიც) გასაოცარია იურისტების სიმრავლე. ეს პროფესიული ჯგუფი მოსახლეობის 0,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო კონგრესში დაახლოებით 250 ადგილი უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ჯგუფს შეადგენენ უშუალოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი: პრეზიდენტის, როგორც ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და შტატების მილიციის მთავარსარდლის, სამხედრო უფლებამოსილებანი,[8] საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება; საგარეოპოლიტიკური, სამართალქმედითი და ფედერალური თანამდებობის პირების დანიშვნის უფლებამოსილებანი;

მეორე ჯგუფი — ეს, ე. წ. „საგულიხმო“ ანუ „დია“ უფლებამოსილებებია. თუმცა კონსტიტუციაში ისეთი ფორმულირებებიცაა, რაც მათი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მაგალითად, პრეზიდენტი ნიშნავს (სენატის თანხმობით) ფედერაციის თანამდებობის პირებს, ვთქვათ, მინისტრებს, ამასთან, მას მათი გადაყენების უფლებაც გააჩნია, თუმცა, ამის შესახებ ძირითად კანონში არაფერია ნათქვამი.

მესამე ჯგუფს შეადგენენ პრეზიდენტის ის უფლებამოსილებანი, რომლებიც მას დელეგირების წესით მიღებული აქვს კონგრესისაგან.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს პრეზიდენტის პრეროგატივებისა და რეალური ხელისუფლების ზრდა, იგი გასცდა იმ საზღვრებს, რომელიც კონსტიტუციამ დაადგინა და ამჟამად არის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური ფიგურა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „უოტერგეიტმა“, „ირანგეიტმა“ და სხვა ამგვარმა სკანდალმა წარმოშვეს ვარაუდი „პრეზიდენტის ხელისუფლების ინსტიტუციონალური კრიზისის“, „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დემითოლოგიზაციის“ ნიშნების შესახებ.

უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებს „სენატის თანხმობით“ ნიშნავს პრეზიდენტი და ისინი თავის მოვალეობას ასრულებენ, ვიდრე მათი ყოფაქცევა უმწიკვლო იქნება.

უმაღლესი სასამართლო პირველ რიგში და არსებითად სასამართლო ორგანოა, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ მის, როგორც კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოს საქმიანობას. კონსტიტუციის მიღებიდან 1970 წლამდე უმაღლესმა სასამართლომ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოაცხადა 97 ფედერალური კანონი, შტატების 787 კანონი, 90 მუნიციპალური დადგენილება.[9]

უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაში შეიმჩნევა მეტ-ნაკლები აქტიურობის პერიოდები. განსხვავებულია აგრეთვე მისი საქმიანობის სოციალური მიმართულებაც — უაღრესად კონსერვატიულიდან ლიბერალურ-დემოკრატიულამდე .იგი დღემდე რჩება ამერიკის პოლიტიკური ელიტის ბურჯად და მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც საიმედოდ იცავს კაპიტალიზმის სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, უმაღლესი სასამართლო ქვეყნის მოქალაქეთათვის არის პრაქტიკულად ერთადერთი ორგანო, რომლის საშუალებით შესაძლოა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების თანახმად, კონსტიტუციური სისტემის ჭეშმარიტი შემეცნება შესაძლოა მხოლოდ მოქმედი კონსტიტუციისა და კონსტიტუციური რეალობის ადეკვატური ანალიზისა და შედარების გზით.

„კონსტიტუცია ფიქციურია, როდესაც კანონი და სინამდვილე ერთმანეთს შორდებიან; არაფიქციურია, როდესაც ისინი ერთმანეთს ეწყობიან“, წერდა ლენინი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია აღნიშნავს თავის ორსაუკუნოვან იუბილეს და ამ გაგებით იგი, ცხადია, სტაბილურია. ამერიკელი იურისტები და პოლიტოლოგები კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობას „დამფუძნებელი მამების“ წინდახედულებას უკავშირებენ, რომლებმაც შემოიღეს „ურთიერთგაწონასწორებისა და შეკავების“ მოქნილი სისტემა და კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის გართულებული პროცედურა. ალბათ ამის შედეგია, რომ 1787 წლის კონსტიტუციის პრინციპები კვლავ ფუძემდებლურია ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილებისათვის. მაგრამ შეერთებული შტატების საზოგადოების თანამედროვე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმისაკენ ევოლუციამ სათანადო ცვლილებები მის კონ-

---

8 აშშ-ს პრეზიდენტები ძალზე აზვიადებენ კონსტიტუციის ამ ნორმას. შეერთებულმა შტატებმა საზღვარგარეთ დაახლოებით 200-ჯერ გამოიყენა შეიარაღებული ძალები და მხოლოდ 5 შემთხვევაში კონგრესის მიერ ომის გამოცხადების შემდეგ. გამოუცხადებელი სამხედრო ოპერაციები და ომები ვიეტნამის, ლაოსის წინააღმდეგ, გრენადის ოკუპაცია, ფაქტობრივი ომი ნიკარაგუას წინააღმდეგ, ინტერვენციები მსოფლიოს სხვა რეგიონებში ცხადყოფენ, რომ ამერიკის პრეზიდენტი თანდათან სამხედრო დიქტატორის ნიშნებს ავლენს.

9 «Буржуазные конституции на современном этапе», М., 1983, с. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატუციურ ნაწილშიც გამოიწვია. ფორმალურ კონსტიტუციასთან ერთად ჩამოყალიბდა და მოქმედებს რეალური, ანუ ამერიკელთა ტერმინოლოგიით, „ცოცხალი" კონსტიტუცია—სასამართლო გადაწყვეტილებანი და პრეცედენტები, კონგრესის უამრავი კანონი, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ორგანიზაციის, ფუნქციონირების და ურთიერთკავშირის კონსტიტუციური ჩვეულებანი და სხვ.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამდენად არის რეალიზებული კონსტიტუციის პრეამბულაში დაყენებული მიზნები და იდეალები? შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური კონვენტის დელეგატები „უფრო სრულყოფილი კავშირის" შექმნას სახავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა კონსტიტუციის ორივე პრინციპის („ურთიერთგაწონასწორებისა და შეკავების" და ფედერალიზმის) ერთგვარი დეფორმაცია. აღმასრულებული ხელისუფლების გაძლიერების ტენდენციამ, პერმანენტული ხასიათის პოლიტიკურმა სკანდალებმა გამოიწვიეს „ურთიერთგაწონასწორებისა და შეკავების" პრინციპის დევალვაცია, ხოლო ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილებათა ზრდამ ეჭვის ქვეშ დააყენა ფედერალიზმის პრინციპის სიცოცხლისუნარიანობა.

ძირითადი კანონი მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილი იყოს „მართლმსაჯულება" და „თავისუფლების სიკეთენი". დღევანდელ ამერიკაში კი კვლავ გრძელდება ფერადკანიანი მოსახლეობის დისკრიმინაცია, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს სამიზნეში ამოღებულია მმართველი წრეებისათვის საშიში სხვაგვარად აზროვნება, ფართოვდება პოლიციის თვითნებობა[10] და სხვ.

ერთ-ერთი იმ კეთილ სურვილთაგან, რომლითაც შელამაზებულია ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ვიტრინა, არის აგრეთვე „შინაგანი სიმყუდროვე". სინამდვილეში კი ამ ქვეყნის მუდმივმოქმედი ფაქტორია, ცალკერძ მშრომელთა გაფიცვები, ეროვნულ უმცირესობათა გამოსვლები, მშვიდობისა და განიარაღების მომხრეთა მასობრივი მოძრაობები, და ცალკერძ, სოციალურ მანკად ქცეული ყოვლისმომცველი დანაშაულობანი.

კვლავ მიუღწეველ იდეალად რჩება „საყოველთაო კეთილდღეობაც". კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მდიდარ სახელმწიფოში ოფიციალურად დადგენილ „სიღატაკის ზღვარის" ქვემოთ მყოფ პირთა რაოდენობამ 1985 წელს 33,7 მილიონ კაცს მიაღწია.[11]

„დამფუძნებელი მამები" მოუწოდებენ „ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფას", რაშიც ვფიქრობთ, გულისხმობდნენ გარედან თავდასხმის მოგერიებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. განვლილი ისტორია კი სულ სხვას ადასტურებს, „თავისუფალი სამყაროს" და „ცხოვრებისეული ინტერესების" დაცვის ლოზუნგების მომარჯვებით შეერთებული შტატების მმართველი წრეები დაადგნენ იმპერიალისტური ექსპანსიის გზას, მისი მხედრიონი მიისწრაფვის კოსმოსში, იმუქრება პირველი ბირთვული დარტყმით და სხვ.

ამრიგად, კონსტიტუციისა და რეალური სინამდვილის შეპირისპირება მოწმობს, რომ ის კეთილშობილური მიზნები, რომლებსაც ძირითადი კანონი ისახავდა, განუხორციელებელი დარჩა, რადგან კონსტიტუცია შეიქმნა ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი არსებობის 200 წლის მანძილზე საკმაო წარმატებებს აღწევს ამ ასპარეზზე.

---

[10] როგორც გაზეთი „ბოსტონ გლობი" წერს, ფედერალურ, ადგილობრივ და კერძო დაწესებულებებში მყოფ დოსიებში თავმოყრილია 114 მილიონი ამერიკელის პოლიტიკური სახისა და განწყობის ამსახველი ინფორმაცია.

[11] Международный ежегодник «Политика и экономика», вып. 1985, М., 1986, с. 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავამაღლოთ საპროკურორო ზედამხედველობა

ამასწინათ გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, სადაც მოწვეულ იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, ქალაქების, რაიონებისა და ტრანსპორტის პროკურორები. კოლეგიაზე განხილულ იქნა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მუშაობის ძირეული გარდაქმნის ამოცანები, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ცნობილი დადგენილებიდან — „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ვ. ა. რაზმაძე.

სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა — თქვა მომხსენებელმა — ბევრი რამ შეცვალა ცხოვრებაში. ამის დასტურია უკანასკნელ პერიოდში გამართული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები და ის დადგენილებები, რომლებმაც უკვე მიიღეს საგზური ცხოვრებაში. გამომდინარე აქედან და სადირექტივო ორგანოების მითითებათა საფუძველზე, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს მიმდინარე წელს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის გასაძლიერებლად, ამ საქმეში საპროკურორო ზედამხედველობის როლის ასამაღლებლად. ჩატარდა მთელი რიგი ორგანიზაციული და პრაქტიკული ღონისძიებები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონებისა და ტრანსპორტის პროკურატურების საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნის მიზნით, საგამოძიებო-საპროკურორო მუშაობის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, პროკურატურის ორგანოების ახალი კადრების გაჯანსაღებისათვის და ა. შ.

ქალაქების, რაიონებისა და ტრანსპორტის პროკურატურებში დახმარების მიზნით გაიგზავნენ რესპუბლიკის პროკურატურის აპარატის გამოცდილი და პასუხისმგებელი მუშაკები, ადგილებზე შეისწავლეს საქმის მდგომარეობა და გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად დასახეს კონკრეტული ღონისძიებები. უფრო მკაცრი და მომთხოვნი გახდა საპროკურორო ზედამხედველობა მომხდარი დანაშაულის შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების რეგისტრაციაზე, მათი გადაწყვეტის კანონიერებაზე. ამაღლდა პროკურორთა მონაწილეობა და მომთხოვნელობა სისხლის სამართლის საქმეთა გახსნასა, გამოძიებასა და განხილვაზე.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება დადებითად ზემოქმედებდა სამინისტროების, უწყებების, მათი ქვემდებარე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობაზე, მთლიანად რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაზე. სწორედ ამან განაპირობა, რომ მკვეთრად შემცირდა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა განზრახ სხეულის მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღობა, ხულიგნობა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები, ძარცვა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა და სხვ.

ამასთან ერთად, შეინიშნება აგრეთვე მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები, რაც აღინიშნა კიდევ ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე. ბიუროზე მოიყვანეს მაგალითები, როდესაც დამნაშავეობის საერთო შემცირების დროსაც კი რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში შეიმჩნევა ისეთი მძიმე დანაშაულების ზრდის ტენდენცია, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, ჯგუფური გაუპატიურება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მაღალია მუქთახორების, რეციდივისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების ხვედრითი წილი და ა. შ.

კვლავ რთულია ოპერატიული მდგომარეობა ქ. თბილისში, სადაც საგრძნობლად იმატა განზრახ მკვლელობამ, სხეულის მძიმე დაზიანებამ, ყაჩაღობამ, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა მკვლელობის, ყაჩაღური თავდასხმებისა და ზოგიერთი სხვა მძიმე დანაშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულების გასახსნელად. ამ დანაშაულობათა მნიშვნელოვანი ზრდა და მათი გაუხსნელობა შეინიშნება მახარაძის და ქარელის რაიონებში. საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე მძიმე დანაშაულები ლაგოდეხში, ღუშეთში, ხაშურში, ქ. თბილისის საბურთალოსა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები, რომლებიც პროკურატურის ორგანოების საქმიანობას შეეხება, იმას მოწმობს, რომ ზოგიერთმა პროკურორმა დროულად ვერ შეიგნო საპროკურორო ზედამხედველობის დიდი მნიშვნელობა, კვლავ პასიური პოზიცია უკავია, მოქცეულია ვიწროუწყებრივი ინტერესების ზეგავლენის ქვეშ, პრინციპულ შეფასებას არ აძლევს სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობას, მექრთამეობასთან, მიწერებთან ,უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლას, ურიგდება კანონიერების უხეშ დარღვევებს, არ იყენებს საპროკურორო ზედამხედველობის ძალას კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად. სწორედ ამის მიზეზია, რომ კვლავ ხდება კანონიერების დარღვევები, მოქალაქეთა უფლებებისა და მათი ინტერესების შელახვა, უკანონო დაკავებები, დაპატიმრებები. დანაშაულის მიჩქმალვის, მასალების ფალსიფიკაციის ფაქტები მოხდა მახარაძის, წულუკიძის, თერჯოლის, დმანისის, გუდაუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სამართალდაცვით ორგანოებში.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის მწვავე და სამართლიანი კრიტიკა თითოეული საპროკურორო-საგამოძიებო მუშაკისაგან მოითხოვს გარდაქმნაში პოზიციის ღრმად გააზრებას, დისციპლინასა და მინდობილი საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას, აქტიურ მონაწილეობას მუშაობის ახალი, უფრო ეფექტური ფორმებისა და მეთოდების ძიებაში.

საგამოძიებო მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიუხედავად ,საპროკურორო ზედამხედველობა მოკვლევასა და გამოძიებაზე არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. საგამოძიებო აპარატი ნელა გარდაიქმნება. არ არის აღმოფხვრილი .გაჭიანურების და უკანონო გადაწყვეტილებების მიღების ფაქტები. სისხლის სამართლის საქმეებზე ზოგან მართლაც შეუწყნარებლად დაბალია გამოძიების ხარისხი. დაბალი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ ქ. მარნეულის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ახმეტის, ლენტეხის, წალკის, დმანისის რაიონების პროკურატურებს.

საპროკურორო ზედამხედველობის ამაღლების და სასწავლო მეთოდური სემინარების ჩატარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა ძირეული ძვრები სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაში. ზოგიერთი პროკურორი სათანადოდ არ ასრულებს სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციებს, სუსტად ემზადება სასამართლო პროცესებისათვის, სათანადო დახმარებას არ უწევს მოსამართლეებს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ხშირად თვითონ დგას მცდარ პოზიციაზე, ავლენს იურიდიულ უცოდინრობას (ქ. ჭიათურის პროკურორის თანაშემწე გ. მჭედლიშვილი და სხვები).

არის ფაქტები, როდესაც უსაფუძვლო განაჩენები არ პროტესტდება და სასამართლოს შეცდომები სწორდება მხოლოდ საკასაციო საჩივრებით ან ზედამხედველობის წესით. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქ. თბილისის ორჯონიკიძის, ოქტომბრის და ლენინის რაიონებში, ქ. გორის, ადიგენის, ახმეტის, ზუგდიდის, თიანეთის, მახარაძის, საგარეჯოს პროკურატურებში. განაჩენის დაგვიანებით აღსრულების ფაქტებს ადგილი აქვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში. გაუარესდა აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელების დროს საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობის მაჩვენებლები, სასამართლოები ნაკლებად განიხილავენ საქმეებს გამსვლელ სესიებზე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ახმეტის, გორის, წითელწყაროს, თერჯოლის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონებში.

აღმოფხვრილი არ არის სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოებში პროკურორების ფორმალური მონაწილეობისა და მათ მიერ არამოტივირებული, არასწორი დასკვნების მიცემის ფაქტები, რის გამოც სასამართლოებს გამოაქვთ უსაფუძვლო, უკანონო გადაწყვეტილებები (ქარელის, ახალციხის, ზუგდიდის რაიონები). უზრუნველყოფილი არ არის სათანადო ზედამხედველობა სასამართლოებში ცალკეული მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეების განხილვაზე (მახარაძის, თიანეთის რაიონები, ქ. წყალტუბო).

კვლავინდებურად შემაშფოთებელია საპროკურორო ზედამხედველობა რკინიგზაზე, წყლის ტრანსპორტსა და საჰაერო ტრანსპორტზე. კვლავ აქვს ადგილი მატარებლების გადავარდნას, ავარიებს, განსაკუთრებული აღრიცხვის წუნს. არასაკმარისია ტრანსპორტისა და ტერიტორიული პროკურატურების კოორდინაცია მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენებისა და ტვირთის დაცვის საკითხებში, სამოქალაქო ავიაციის სისტემაში გახშირდა მოსალოდნელი

ავარიის შემთხვევები, ხოლო ტრანსპორტის პროკურატურის ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები ნაკლებეფექტური აღმოჩნდა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი რ. ᲡᲘᲠᲘᲐᲜᲘ, გარდაბნის რაიონის პროკურორი Შ. ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ, წულუკიძის რაიონის პროკურორი Ш. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ, ადიგენის რაიონის პროკურორი Ш. ᲑᲝᲒᲝᲚᲣᲑᲝᲚᲐᲫᲔ, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეები Ш. ᲙᲝᲚᲣᲐ და რ. ᲒᲘᲚᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებულმა კოლეგიამ მოიწონა პროკურატურის ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნის, კადრების შერჩევისა და განაწილების გაუმჯობესების, მათში მაღალი პროფესიონალიზმის, პრინციპულობის, გაფართოებული დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში მოქმედების უნარის აღზრდის ღონისძიებები.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲘᲝᲜᲘᲫᲔ

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის ინიციატივით 21-დან 26 სექტემბრამდე რაიონში ჩატარდა პროპაგანდისტის კვირეული, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ახალი — 1987-88 სასწავლო წლის დაწყებას.

მთელი კვირის მანძილზე რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იმართებოდა საინტერესო ღონისძიებები: ლექციები, შეხვედრები, „მრგვალი მაგიდები", საჩვენებელი მეცადინეობები, კონფერენციები, გულახდილი დიალოგები ისეთ აქტუალურ საკითხებზე როგორიცაა მეურნეობრიობის ახალი სისტემის პრობლემები და ამოცანები, რაიონის სახალხო მეურნეობის სიახლენი და პერსპექტივები, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების გარდაქმნა: გამოცდილება, პრობლემები და პერსპექტივები, მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისა და პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის სრულყოფა და სხვა.

კვირეულის დიდი ნაწილი დაეთმო მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისა და ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების საკვანძო საკითხებს.

24 სექტემბერს აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სხდომათა დარბაზში გაიმართა „მრგვალი მაგიდა", რომელიც მიეძღვნა „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის" საკვანძო საკითხებს. ამ საქმიან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ეკონომისტებმა, იურისტებმა, რიგითმა მუშებმა.

„მრგვალი მაგიდა" გახსნა და დამსწრეთ ნაყოფიერი მუშაობა უსურვა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ᲘᲠᲘᲜᲔ ᲚᲔᲣᲨᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ᲨᲣᲠᲐᲒ ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ. მან დაწვრილებით ილაპარაკა გაერთიანებაში მიღწეულ წარმატებებზე. გადაუჭრელ პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ ემზადებიან მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის. შემდეგ საქმიანი და პირუთვნელი სჯა-ბაასი გაიმართა სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის — საწარმოს (გაერთიანების) მართვის, შრომითი კოლექტივების თვითმმართველობისა და სოციალური საქმიანობის საკითხებზე. აქ წამოჭრილ კონკრეტულ პრობლემებზე დაწვრილებით ილაპარაკეს -სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის შრომის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, პროფესორმა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲛᲐᲚᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔᲛ, ფურნალ „საბჭოთა სამართლის" პასუხისმგებელმა მდივანმა ᲒᲔᲚᲐ ᲒᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ და სხვებმა.

„მრგვალი მაგიდის" მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანმა ᲑᲝᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲗᲔᲚᲐᲫᲔᲛ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „Штаат унд рехтис" 1986 წლის მე-10 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ჰანს ლიუმანის რეცენზია „სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები". რეცენზია ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 1984 წელს გამოცემულ საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტთა ერთობლივ შრომას. ჰ. ლიუმანი წერს, რომ „აღნიშნული კრებული მრავალი მიზეზის გამო იმსახურებს რეცენზიას: ერთი მხრივ, აღსანიშნავია სოციალისტური ქვეყნების იურისტთა ინტენსიური თანამშრომლობის წარმატებული ცდა, რაც აადვილებს აქტუალური საზოგადოებრივი და იურიდიული პრობლემების ურთიერთგაცნობას, აღრმავებს მარქსისტ სამართლისმცოდნეთა გამოცდილებას და მეცნიერული კამათის დონეს; მეორე მხრივ, შეჯამდა შედეგები, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამ ორ ქვეყანაში სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ პრობლემებს. ეს მესამე ერთობლივი პუბლიკაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის სექციის მრავალწლიანი თანამშრომლობისა და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია".

კრებულში შესულია 12 სტატია, რომლებიც ეხება სახელმწიფოსა და სამართლის, აგრეთვე დემოკრატიისა და პიროვნების საკითხებს. საინტერესო თემებს ეხება რ. გოლნიკის, მ. უგრეხელიძის და გ. კროიპლის სტატიები.

რეცენზიაში შედარებით სრულად არის განხილული სტატიები, რომლებიც ეხება სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს. კერძოდ, მაღალი შეფასება აქვს მიცემული გ. ტიტცისა და ვ. ლორიას სტატიებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტებისათვის, ნათქვამია რეცენზიაში, განსაკუთრებით საინტერესოა მოქალაქეთა ზოგადი და კონკრეტული უფლებების საკითხი, ვინაიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დარგობრივ ლიტერატურაში ამოსავალი წერტილია ძირითადი უფლებების იურიდიული გათანაბრება. ვ. ლორიას მიერ წარმოდგენილი დაყოფა მოქალაქეთა უფლებების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და პიროვნულ უფლებებად, მოვალეობებად და თავისუფლებად შეიძლება შევადაროთ ე. პოპესა და სხვათა ოთხნაწილიან სტრუქტურას.

ი. ფრიჩე ეხება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოქალაქო სამართლის საშუალებით პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხს. ეს სტატია, აღნიშნავს რეცენზიის ავტორი, იმით არის ყურადსაღები, რომ აქ განხილულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გამიჯვნის საკითხები.

რეცენზიის დასასრულს განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის, პროფესორ ს. ჯორბენაძის სტატია მოქალაქეთა ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოიწვია მათ მიმართ უკანონო ქმედებამ.

ზოთა აფაქიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სტუმრად საჩხერელ მუშებთან

საჩხერის რაიონის ბამბეულის ფაბრიკაში გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომლის ინიციატორებიც იყვნენ რაიონის პროკურატურა და სახალხო სასამართლო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები **შ. ფაფიაშვილი, რ. ციწცაძე** და **ო. ჯიბლაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ვ. ფარქოსაძე,** საჩხერის რაიონის პროკურორი **კ. ყიფიანი,** სახალხო მოსამართლე **ნ. ზამბახიძე** და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი **გ. კურტანიძე.**

საინტერესო მოხსენებების შემდეგ მათ ამომწურავი პასუხები გასცეს კონფერენციაზე მოწვეულებს სისხლის სამართლის, შრომისა და საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე.

ბამბეულის ფაბრიკის მუშებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს ამ საინტერესო ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

თ. ზიმზილაშვილი.
საჩხერის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

ძიება ქვეცნობიერ სამყაროში

პირველად ისევ გრძელიძეს მივადექი და პირდაპირ ვკითხე:

— გაკეთებული გაქვთ?

ამრეზით შემომხედა. კარგა ხანს არ მიპასუხა, ბოლოს აქეთ მკითხა:

— რა მკითხეთ?

— მოწიეთ ან გაიკეთეთ რამე?

— ცოტა, სულ ცოტა.

— როგორ შოულობთ?

— სხვებს ხომ არ „ჩავუშვებ“.

— მაშ ის მითხარით, რატომ იკეთებთ.

— კარგია და იმიტომ. თქვენ რა, არასდროს გაგიკეთებიათ, მაგალითად, მორფი, — თქვა და სიცილი აუტყდა, მერე ისევ განაგრძო: — არ დაკვირვებიხართ ამ ერთი სიტყვის როგორ ეშინიათ „გოიმებს“! გინდა მორფი გითქვამს და გინდა ბომბი აგიფეთქებია, იცით, რატომ? იმიტომ, რომ კარგია, მაგრამ ყველა ვერ ბედავს გაკეთებას, საკმარისია ერთხელ გაიკეთონ და მიეჩვევიან კიდეც, აი სწორედ ეს არ უნდათ... ჰო, თქვენ თუ გაგიკეთებიათ?

— კი. ფეხი მოვიტეხე და მაშინ გამიკეთეს ტკივილის გასაყუჩებლად...

მაგიდაზე გადმოწვა, სახე ახლოს მომიტანა და ნიშნისმოგებით მითხრა:

— ააა, ხომ ხედავთ?!

— რას უნდა ვხედავდე.. თქვენ რა, გტკივათ რამე?

— ფეხის ტკივილი რა არის! „დუშა ბალიტ“. თუმცა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ...

— იქნებ შევძლო...

— რამე რომ ასტკივდეს კაცს, ის რამე ხომ უნდა ჰქონდეს?!

— დავუშვათ მე სული არ მაქვს, მაგრამ თქვენ გაქვთ, ჰოდა, თქვენს სულზე, თქვენს ტკივილზე ვილაპარაკოთ. ნუთუ არ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი სატკივარი სხვას გაუზიაროთ...

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— მართალია, თქვენი მეგობარი არ ვარ, შეიძლება ვეღარც შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან ხდება, რომ უცნობთან უფრო მოგვინდება ხოლმე გულის გადაშლა...

— კი.

— მე მგონი, უმიზეზოდ სული არ აგტკივდებოდათ... მითხარით, რა სჭირს თქვენს სულს?

— ძნელი სათქმელია, — ამოილუღლუღა ძლივს. ეტყობა მართლაც უჭირდა თქმა.

— ძნელია, რა თქმა უნდა! იქნებ. ეს თქმა მაინც მოახერხოთ, რას ნიშნავს ტკივილის დაყუჩება.

ისევ კარგა ხნით ჩაფიქრდა.

— მხოლოდ მიახლოებით თუ შევძლებ, რადგან სიტყვა მეტად ტლანქია ასეთი განცდის გამოსახატავად. ვისაკენებ ხოლმე... შვება მეუფლება. აღარაფერი მაწუხებს, ვიძირები სადღაც, ვიკარგები... კარგია, თითქოს, მე მე კი არ ვარ, არამედ — სხვა, უსაზღვრო სამყაროს ვუერთდები, მეც უსასრულო და უსაბამო სამყარო ვხდები. უტკივილო, შეუშფოთებელი, მარადიული, — გაიღიმა და მცირე ხანს ასე იჯდა. შემდეგ ისეთი ფხიზელი თვალით შემომხედა, გამიკვირდა:

— იმ დროს გარემო აღარ არის უცხო. მტრული... აუტანლად მტრული! იცით, რა, გინდათ, ეგზისტენცია დაარქვით ამას, გინდათ... რაც გნებავთ. მე ამას განვიცდი! მოკლედ, კაიფი მიჭირავს ხოლმე.

— თრობას ჰგავს, ალბათ.

— ვისაც რითი უნდა, იმით დათვრეს!

— კაიფი არაბული სიტყვაა ევროპული გზით შემოსული. იგივე სიტყვა ჩვენში ადრე პირ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ. № 1-6, 1987 წ. № 1, 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბირ შემოვიდა — ქეიფი ჰქვია. გარემო აღარ არის მტრული, აუტანლად მტრულია...

ისევ უსიამოვნოდ მოიშმუტნა:

— რწყევის გუნებაზე მაყენებს. გარემო ისეთი ბინძურია, თითქოს მეც მსვრის... განწმენდის სურვილი მებადება.

— მამასთან რა ურთიერთობა გაქვთ?

გაკვირვებული შემომიბრუნდა, დამაკვირდა:

— ვისთან?

— მამათქვენთან.

გაიღიმა. დამცინავად გაიქნია თავი:

— რა სუფრასთან მოსატანი იყო!—მისაყვედურა, — თქვენ თუ მიპასუხებთ ერთ რამეს გულწრფელად?

— კი, ბატონო!

— დამცინით?

— არც მიფიქრია! ამდენ ნებართვას იმიტომ ვაკეთებ და ამხელა გზას იმიტომ გავდივარ, რომ დაგცინოთ?! ეს არ გეკადრებათ!

— მაშ, მამაჩემი რა შუაში იყო?!

— თქვენ ის მიპასუხეთ, რა ურთიერთობა გაქვთ!

— არავითარი! იმასთან ურთიერთობა არ შეიძლება.

— მომიყევით თქვენს ოჯახზე! ცოლშვილი რომ არ გყავთ, ვიცი. მშობლები?

— დედა აღრე გარდამეცვალა. ექვსი წლის ვიყავი. მე და მამაჩემი დავრჩით. დიდი „შიშკა“ იყო. იქაც მიუხვდნენ რა კაციც იყო. ახლა პენსიაზე ადგია. პირწავარდნილი კარიერისტი იყო, არც ცოლი ეხატა გულზე, არც — შვილი! მისივე „წყალობით“ ცოლი გარდაეცვალა, შვილი ვერ შეეთვისა, სკამიც დაკარგა... ახლა, გაუბედურებული კაცია!

იგი იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ხელები საფეთქლებზე შემოიწყო.

— დედათქვენის გარდაცვალება რა, მისი... ასე ვთქვათ... — ისე წამოვიწყე, თუ სურდა, კიდევ იტყოდა რამეს.

— ქალი სუსტი არსებაა. მას გამუდმებული ზრუნვა, ყურადღება ჭირდება. ცოლი თუ არ უნდოდა, მე რას მერჩოდა; მე მინდოდა დედა!

— ცუდად გექცეოდათ ბავშვობაში?

— ცუდად!

— გცემდათ ხოლმე?

— ხშირად!

— რატომ?

— პირუტყვია და იმიტომ! საკუთარ შვილს, უდედოს... — გაჩუმდა. კარგა ხანს ხმა არ ამომიღია. ვადროვე. შემდეგ თვითონ წამოიწყო:

— უკვე დიდი ვიყავი, მეათე კლასში.. .ისე დამალურჯებდა, გარეთ ვერ გავდიოდი. ახლა იმაზე მომხვდებოდა, რატომ სკოლაში არ იყავი, რატომ გააცდინე, სწავლა არ ყინდა, შენხელა რომ ვიყავი უზარმაზარ წარმოებას ეუფლები ალბათ. ძალიან რომ გამიწარა, ერთხელ, მეც მივარტყი და სულ წავედი შინიდან. ეჰ, არც ღირს მოსაყოლად, თავი შეგაწყინეთ...

— აკი თქვით, მორწმუნე ვარო!

შემომხედა. მზერა დაბინდული აღარ ჰქონდა. ბავშვივით გამიღიმა.

— მერე, თქვენ ხომ მღვდელი არ ხართ!— მიმიხვდა, რატომაც ვუხსენე სარწმუნოება.

— აღსარება მხოლოდ იმიტომ არ მოუგონიათ, შენდობა მიიღოს კაცმა.

— შესანდობი არაფერი მაქვს.

— ჯერ ახალგაზრდა ხართ. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ გულის გადაშლამ შვება იცის...

თავდახრილი იჯდა. ყოყმანობდა. შემდეგ კვლავ ალაპარაკდა:

— რაც თავი მახსოვს, სულ იმის მეშინოდა, რამე არ შემეშალოს, არ მცემოს-მეთქი, — უხერხულობის დასაფარავად სიგარეტს წასწვდა გრძელიძე, — ასე რომ ვიყავი, უფრო მეშლებოდა. ცემა ერთია... ცემა კი არა, ჭყინტ ბავშვს ამხელა კაცი რომ დაგადგება თავს და გჩაგრავს, შეურაცხყოფას გაყენებს... მამა, საკუთარი მამა! თან, რომ ატყობ, სიამოვნებს ეს... — კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ თავი შეიკავა. მოულოდნელად მკითხა, — ერთი საათი არ გავიდა ჯერ?

საათზე დავიხედე. მივხვდი, აღარ უნდა მივძალებოდი.

— —კარგი, წავალ! — ფეხზე წამოვდექი, — ერთს შეგეკითხები კიდევ. სასამართლოზე თუ იყო?

არ ყოფილაო, თავი გააქნია გრძელიძემ.

— მაშა, კიდევ მოვალ, ოღონდ, შეეცადეთ ისე მელაპარაკოთ, თითქოს თქვენზე კი არა, სხვაზე გვქონდა საუბარი. მე სულაც არ მინდა ტკივილი მოგაყენოთ.

არც კი უთქვამს, არც არა, იჯდა და სარკმელში იყურებოდა.

იმ საუბრის შემდეგ მამამისსაც მივადექი შინ. რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ ილია გრძელიძე ვერ შევისწარი. ეჭვი შემეპარა, იქნებ ცოცხალი აღარც არის-მეთქი. ბოლოს, კარის მეზობელს გამოველაპარაკე, ხანშიშესულ ქალს. მისი ნახვა თუ გინდა, პარკში ჩადი, იქ იქნებაო. ჩავედი, გავიკითხე, როგორც იქნა, მივაგენი. მაღალი კაცი იყო. წლოვანებას ადვილად ვერ მივუხვდი. სამოცზე მეტის, თითქოს, არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოტეხილი ჩანდა. მარტო იჯდა ძელსკამზე. გაზეთს კითხულობდა. გვერდით მივუჯექი და პირდაპირ სათქმელს მივადექი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ილია გრძელიძე, მიხეილის მამა ბრძანდებით, არა?

— დიახ.

— სად არის თქვენი ვაჟი, იცით?

არ ესიამოვნა ასეთი შეკითხვა. ცოტა არ იყოს, აგდებულად მომმართა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

საოცარია, მაგრამ ამ კითხვაზე გამზადებული პასუხი არ მქონდა. რაც მომადგა ენაზე, ის ვუთხარი:

— ბისი დამცველი ვარ.

— ასეც ვიცოდი, დამცველი რომ დასჭირდებოდა კიდევ. — ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა.

— ესე იგი; ახლა სად არის, ნამდვილად არ იცით?

— ვხედები, ციხეშია, სხვაგან სად უნდა იყოს, ქურდის და არამზადის ადგილი ციხეა.

— თქვენც ხომ არ გიდევთ ამაში წვლილი?! — პირდაპირ მივახალე პირში.

— მე ცდა არ დამიკლია, მაგრამ არაფერი გამოვიდა, — სრულიად მშვიდად თქვა და უფრო მოხერხებულად მოეწყო სკამზე.

— თქვენი ცდა რაში გამოიხატებოდა?

— თავიდანვე უსაქციელო ბავშვი იყო. საწყალი დედამისიც მისმა უზნეობამ გადაიყოლა...

— მაინც, რას შვრებოდა ასეთს?

— რომელი ერთი გითხრათ... რა ექნა, ჩემი შვილი კია, მაგრამ... შვილი რომ მამას ხელს შემოკრავს, მისგან რა სიკეთეა მოსალოდნელი? სანამ ვერეოდი, ხელში მეჭირა, მერე სულ აიშვა.. პატარა კი აღარ იყო. პირველ კურსზე სწავლობდა... ეჰ, დღევანდელი ახალგაზრდები! — ხელი ჩაიქნია ილიამ, — სხვისთვის რა პასუხი უნდა მომეთხოვა, საკუთარ შვილს ვყავდი ამუჩად აგდებული..

აყოლა ვარჩია და კვერი დავუკარი:

— კი, ნამეტანი წახდნენ!

— მეც მყავდა მამა, კეტით გამზარდა. ენას როგორ შევუბრუნებდი! დარწმუნებული ვიყავი, მომკლავდა! ასე უნდა, აბა! რომ არ მეცემა, სულ გაველურდებოდა! ერთხელ, დავანამუსე, თუ არ გინდა სწავლა, ნუღარ წაბ-ვალ სკოლაში-მეთქი. მართლა არ წავიდა! ვუყურე ერთი დღე, ორი, კვირა! ზის შინ და იმხელა ვირი ზღაპრებს კითხულობს. ვარეთ მაინც გასულიყო, ბურთი ეთამაშა, რამე ექნა. არ ვიცი, არ ვიცი! არ მიმერტყა?! მითხარით, რა უნდა მექნა! გინდა თუ არა მანქანა მიყიდეო. თხუთმეტი წლის ბიჭისთვის მანქანა როგორ მეყიდა! სულ უბრალო რამე! შემჭამდა, ზოოპარკში წამიყვანეო. იმხელა იყო. ჩემი წაყვანა რად უნდოდა? კარგი, ბატონო, გამოვნახავდი დროს, შოვცდებოდი საქმეს, წავიდეთ-მეთქი, რომ მომეკლა, აღარ წამოვიდოდა; ეს რაღა არის?! გამაგებინეო, რა არის ეს?!

კიდევ ბევრი იბობოქრა, მაგრამ, ძირითადად, ერთი და იგივეს ამბობდა და მეტი აღარ ჩამიწერია.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ვანო ბაბეური მოვინახულე კოლონიაში და შეწყვეტილი საუბარი განვაგრძე:

— ვანო! ერთი შეხედვით შენ თითქოს სხვა გზა არ გქონდა. ამიხსენი, ერთი, რას ჰქვია, სხვა გზა არ გქონდა?

პასუხის გაცემა გაუჭირდა. ასეც ვიცოდი, თუ გულწრფელი იქნებოდა, ვერაფერს იტყოდა. ეს კითხვა საუბრის გეზის ასაღებად მჭირდებოდა მხოლოდ.

— გშიოდა?

— კი.

— ოთახის ქირაც გადასახდელი გქონდა, არა? ვინ იყო შენი დიასახლისი?

— ერთი მარტოხელა ქალი. სამი ოვე ვერ მივეცი ფული. მითხრა, ან ფული მომეცი, ან სხვა უნდა შემოვასახლოო.

— დედ-მამამ თუ იცოდა, სად ცხოვრობდი, რა დღეში იყავი?

— მივწერე, მშენებლობაზე ვმუშაობ-მეთქი.

— რატომ არ მუშაობდი?

— ვიმუშავე ცოტა ხანს. მერე, დამითხოვეს, ჩაწერილი უნდა იყოო.

— მშობლები რაღას მოატყუე?

— უკან წამიყვანდნენ, არ მინდოდა დაბრუნება...

— შენს გარდა ხუთი და-ძმა ხართ, მაგრამ, შენი მშობლები არც ისე გაჭირვებული არიან, ლუკმა დაემადლებინოთ შენთვის.

— არა.

მართალია, გულწრფელად მპასუხობდა, მაგრამ ინიციატივას არ იჩენდა.

— ცუდად გეექცეოდნენ?

— არა.

— რა გინდოდა, აბა, მითხარი!

— არ მინდა სოფელში ცხოვრება.

— რატომ, ამიხსენი!

— არ მიყვარს სოფელი. ქალაქი უკეთესია.

— იქნებ, იმიტომ გირჩევნია, რომ აქ ქურდობის და ყაჩაღობის მეტი საშუალებაა... შენი ფიქრით, რა თქმა უნდა!

— არ მინდოდა, არა... მომეხმარეთ! — მთხოვა უცებ.

— ან იმას ვერ უმხელ თავს, რომ გინდოდა, ან იმას, რომ სხვისი გავლენის ქვეშ მოჰყევი.

— სხვა გზა რომ მქონოდა, არ ვიზამდი.

— შენ თავად ხომ არ ჩაიყენე თავი გამოუვალ მდგომარეობაში?! სოფელში დაბრუნება არ მინდოდა, დახმარებას როგორ ვითხოვდი,

მათხოვარი ხომ არ ვარო. რა მოხდა, ახალგაზრდა კაცს ვინმე თუ დაგეხმარება...

—ჯარშიც კი არ წამიყვანეს, — შემაწყვეტინა სიტყვა.

— ვიცი, ბრტყელტერფიანი ხარ, ცოტას კოჭლობ კიდეც.

— სოფელში ვერ გამოვდექი. აქ, მაინც... კაცი ვარ!

როგორც იქნა, თქვა სათქმელი. ახლა უნდა დამეცალა, იქნებ კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ კარგა ხანს იჩოჩმანა, ბოლოს გაბედა და თქვა:

— ბავშვობიდან აგდებული ვყავდი ყველას. სირბილი მე არ შემეძლო და მუშაობა... ქალაქში კი ამას ვერ ვგრძნობდი... არავინ არ გიცნობს...

— რაღაც მიზეზი კიდევ უნდა იყოს, ასე რომ აითვალწუნე შენი სოფელი... — ჩავერიე, მაგრამ შევატყე, მეტის თქმას აღარ აპირებდა. მაინც არ მოვეშვი:

— კარგი, ვთქვათ, სოფელში სამუდამოდ ცხოვრება არ გინდოდა, კაცია და გუნება, მაგრამ დაბრუნებულიყავი ერთი წლით, წაიმუშავებდი, უკეთ მოემზადებოდი, მუშაობის სტაჟიც გექნებოდა, ჩაბარებდი ინსტიტუტში, ინჟინერი გახდებოდი და ქალაქში იცხოვრებდი, სულ ნახევარი ქულა არ დაგაკლდა?.. კიდევ გეცადა.

— არ მინდოდა დაბრუნება.

— ერთი წლითაც კი? — გამიკვირდა და ვიგრძენი, რომ საუბრის გაგრძელებას ახლა აზრი აღარ ჰქონდა, — ჰო, კარგი, მოვრჩეთ დღეს! დაფიქრდი, ორ-სამ დღეში შემოგივლი, შემდეგ განვაგრძოთ...

— რა საჭიროა?!

დროულად დამისვა კითხვა, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა განმემარტა ჩემი ვიზიტების მიზეზი:

— რა საჭიროაო... შენ ხუთი წელი მოგისაჯეს, ხომ?

— კი.

— ალბათ, უკვე გაიგე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მალე გახვალ აქედან. ვიცი, გულწრფელად გწამს, რომ მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენ, სხვა ცხოვრებას დაიწყებ, მაგრამ გავა ხანი და ისევ წაგიცდება ხელი. იქნებ ასე არც მოხდეს, მაგრამ მგონი, თავს ვერ შეიკავებ... გრძელიძის მაგალითი აიღე. პირველად სასამართლომ გაითვალისწინა მისი ახალგაზრდობაც, ისიც, რომ პირველი შეშფოთებული იყო; გამოსწორდება, მეტს აღარ იზამსო და რაც შეიძლებოდა ნაკლები მიუსაჯეს. გამოვიდა, რამდენიმე თვე ძლივს დაჰყო გარეთ და ხელმეორედ ჩავარდა. მესამედ კი თორმეტი წელი მიუსაჯეს. იცი, რატომ ვერ მოიშალა ქურდობა?! თავადაც არ იცოდა, რატომ ქურდობდა, რატომ აირჩია ცხოვრების ეს გზა... რამ უბიძგა, დამნაშავე გამხდარიყო. იცი, ადამიანი თავისთავად, ისეთი ბუნების არის, თუ რამემ არ უბიძგა, ბოროტმოქმედი არ ხდება. ეს ფილოსოფიური თემაა, ახლა არ ღირს სიტყვის გაგრძელება. თუ კი ბოლომდე, დაუფარავად გაიაზრებ დანაშაულის ჩადენის მიზეზებს, სხვა დროს აღარ იზამ. მე იმიტომ ვარ აქ, რომ დაგეხმარო... შენზე მეტი ვიცი და მინახავს, გამომიცდია კიდეც... სხვა, სხვის საქმეში ბრძენიაო, ხომ გაგიგია! რაც არ უნდა საჩოთიროდ მოგეჩვენოს, სათქმელი უნდა სთქვა, გულში ჩაგუბებული ბოღმისგან გათავისუფლდები... აბა, კარგად იყავი!

ახლა ირაკლი სუხიაშვილთან მივედი კოლონიაში.

— ირაკლი, ვალის დაბრუნება და ბაბეურის დახმარება შენი საქციელის საბაბი უფრო იყო, ვიდრე მიზეზი.

— თითქმის ასეა... ვალი ნამდვილად მქონდა! აუცილებლად უნდა გამესტუმრებინა, — ამყვა საუბარში ირაკლი.

— ეგ თხუთმეტი მანეთი ყაჩაღობას არ ამართლებს, ნუთუ, თხუთმეტ მანეთს ისე ვერ იშოვიდი?! გასამართლებელს კი ნუ ეძებ, გულში ჩაიხედე და...

— კი, გასაგებია, როგორ ვერ ვიშოვიდი...

— ისე, რომ მამაშენს არ გაეგო, არა?

— დიახ. ვანოს დახმარება ნამდვილად მინდოდა.

— ვითომ ეგ ამართლებს შენს თვალში ყაჩაღობას?! კარგად დაფიქრდი, ნუ იჩქარებ პასუხს. ის, რომ ყაჩაღობა კი არ დამალე, არამედ თითქმის ყველა შემხვედრს მოუყევი, სულ ადვილად ხსნის მიზეზს.

— თქვენი თქმით, ეს საქმე იმიტომ ვქენი, რომ მეტრაბახა?! — უნებურად მოწკურა ბიჭმა თვალები.

— მე ეგ არ მითქვამს. შენ თქვი ამ წუთში.

— თქვენს ლოგიკას აქეთ მივყავარ.

— ჩემს ლოგიკას არა, შენი ქცევის ლოგიკურ გააზრებას. ეს სხვადასხვა რამეა. არ ვარ მართალი?

— მართალია! — ისე მოულოდნელად დამეთანხმა, არც კი ველოდი.

— შენ თავის გამოჩენის დაუძლეველი სურვილი... უფრო სწორად, ლტოლვა, გქონდა.

— რატომ მქონდა?

— რატომ გქონდა? ეს უკვე სხვა საკითხია. მოდი, ჯერჯერობით, ასე დავსვათ კითხვა. ვის უნდა, საერთოდ, თავის გამოჩენა?

— ყველას!

— სწორი ხარ, ყველას უნდა, მაგრამ საამისოდ სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ, ხანდახან კი საშუალებებს არად აგდებენ ხოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ძალიან ეჩქარებათ და იმიტომ წარმოჩენის ჩვეული გზები და საშუალებები ძალზე შორეულად ეჩვენებათ. შენ, ეტყობა, ისე გეჩქარებოდა თავის გამოჩენა, სწავლით, განათლებით, შრომით ამის მიღწევას დიდი დრო მოუხდებოდა, შენ კი ამდენს ვერ მოითმენდი. ვის ეჩქარება ასე?! ვინც დროულად ვერ აისრულა რაღაც წადილი...

— ან, ვინც მთელი ცხოვრება სრულიად უყურადღებოდ არის მიგდებული, — არ მაცალა აზრის დამთავრება.

— ესეც შესაძლებელია! მაგრამ, ნუთუ, ჩვიდმეტი წლის ბიჭს შეუძლია თქვას, მთელი ჩემი ცხოვრებაო. ჯერ რა დროს მთელ ცხოვრებაზეა ლაპარაკი! კი, ვიცი, სამოცი წლის კაცისთვის, ვთქვათ, სამოცი წელია მთელი ცხოვრება, შენთვის კი — ჩვიდმეტი წელი. კარგი, ასე იყოს! შენ გყავს დედა, მამა, ბებიები, ყველა შენ შემოგცქეროდა... შეიძლება, შენნაირ გრემოცვაში მყოფმა კაცმა უყურადღებობა დაიჩივლოს?!

— შეიძლება! სიმრავლე საკითხს არ წყვეტს.

— არ წყვეტს, სწორი ხარ!

კარი შემოაღეს. დრო გასულიყო.

— კიდევ გნახავ, — შევპირდი და დავტოვე ირაკლა სუხიაშვილის გულწრფელობის დასადგენად მისი ახლობლების მონახულება გადავწყვიტე. მაინტერესებდა რა აწუხებდა ბიჭს.

პირველად მამამისს ვესტუმრე სამსახურში. ცნობილი ქირურგი იყო; მაღალი, ომახიანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი. მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, შეწუხდა.

— არ ვიცი, არ ვიცი! ვერაფრით გონზე ვერ მოვსულვარ! სულ ამაზე ვფიქრობ.. სწორ გზას ვერ დავადექი. ირაკლისგან ამას როგორ წარმოვიდგენდი... გულწრფელად მოგახსენებთ! ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა. ირაკლიმ იყაჩაღა! ეს [illegible] არ უნდა მომხდარიყო! მერწმუნეთ, იმიტომ არ ვამბობ ამას, რომ ჩემი შვილია; არა! უბრალოდ, კარგად ვიცნობ. ხომ უნდა არსებობდეს ყველაფერში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი... ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე მეგონა. მე რეალისტი ვარ, ქირურგი, ყოველი დაავადების მიზეზს ვადგენ და ვცდილობ, მოვკვეთო. კი, ვთქვათ, მეგობრის დახმარება სურდა, მაგრამ... სხვანაირადაც ხომ შეიძლებოდა დახმარება! რატომ მე არ მომმართა?!

— მიზეზ-შედეგებზე ბრძანეთ, ირაკლის მართლა ჰქონდა თქვენი ვალი? — ვკითხე.

— დიახ, მთხოვა, მასესხეო.

— თხუთმეტი მანეთი?

— კი, თხუთმეტი. ტყუილი არ უთქვამს. არ უნდა მიმეცა?! ეს ხომ არ იყო ჩემი შეცდომა? — გულწრფელად მკითხა.

— შემდეგ უკან დაგიბრუნათ ვალი?

— რა ვიცოდი, რა გზით ჰქონდა ნაშოვნი! — მაგიდაზე დაჰკრა მჯიღი დავით სუხიაშვილმა.

— რომ გამოართვით, არ უნდა გეკითხა: ვინ მისცა მას ის ფული. ან, როცა ჩვიდმეტი წლის ბიჭი მამას ფული დაგესესხათ, ეს, რა, ნორმალურ ამბად მიგაჩნიათ?

—ადრეც ბევრჯერ ვასესხე...

— მერე, დაგიბრუნათ?

— კი, მგონი კი...

— როგორ...

— რა მოგახსენოთ... დედას გამოართმევდა, ან ბებიას. საჭიროა, რომ ადამიანი თავიდანვე მიეჩვიოს სესხის დაბრუნებას. არ ვარ სწორი?

— ესე იგი, თქვენთვის დასაბრუნებელი ფული ისევ სხვისაგან უნდა ესესხა არა?

— ჰო, ალბათ...

— საქვეყნოდ ცნობილი ექიმი ბრძანდებით, პროფესორი, მაგრამ იცნობთ კი თქვენს შვილს?

— თქვენ გგონიათ, არ ვცადე, მასთან ურთიერთობის დამყარება?!

— კი, სცადეთ, მაგრამ თქვენს ჭკუაზე ვერ მოიყვანეთ და მიუშვით, არა?

— უცნაური ბიჭია... ყველაფრის უკმაყოფილო იყო. ყოველ წუთში ჩხუბი რომ არ მოგვსლოდა, განზე გადგომა ვარჩიე...

— ვინ ზრდიდა ირაკლის?

— ბებიამისი, ჩემი მეუღლის დედა.

ბოდიში მოვუხადე შეწუხებისთვის და დავემშვიდობე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ერთერთი ძირითადი მიზეზი, თავისუფალი დროის გამოყენების არაორგანიზებულობა და უკონტროლობაა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია და იგი მოითხოვს ჩვენი საზოგადოებრიობის გაზრდილ ძალისხმევას. საჭიროა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად ურთიერთშეთანხმებულად იღვაწონ ოჯახმა, სკოლამ და კომკავშირმა. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ჩვენს ხელთ არსებული პროპაგანდისტული საშუალებები, მათ შორის ისეთი გავრცელებული და ნაცადი ფორმა, როგორიცაა ლექციური პროპაგანდა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველომ შეიმუშავა არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის გამიზნულ ლექციათა სანიმუშო თემატიკა. მიგვაჩნია, რომ იგი საჭირო დახმარებას გაუწევს ამ თემაზე მომუშავე ლექტორებს.

ლექციის გეგმა:

1. არასრულწლოვანი და პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენისათვის;
2. არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილების ზოგადი დახასიათება;
3. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა.

ლექციაში მოცემული უნდა იყოს ძნელად აღსაზრდელ მოზარდთა კრიმინოლოგიური და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური დახასიათება. პირველი მათგანი მოიცავს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია შრომასთან, სწავლასთან, გარემოსთან და ა. შ. ე. ი. დებულებებს, რომლებსაც აქვთ უშუალო კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა და მიუთითებენ არასრულწლოვან სამართალდამრღვევ პირთა ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებაზე. მეორე ჯგუფის დებულებანი უშუალოდ დაკავშირებულნი არ არიან არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოზარდებისა და ადრეული ასაკის ახალგაზრდების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ პერიოდში ხდება ადამიანის მორალური და სოციალური განწყობის საფუძვლების ფორმირება.

ჩვენს ქვეყანაში მოზარდთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა განუხრელად არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის ძირითად ამოცანებთან. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილებისაკენ არის მიმართული როგორც საერთო, ისე სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, რათა გამოვავლინოთ და ადრეულ ასაკშივე ავაცილოთ მათ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების ზეგავლენა.

არასრულწლოვანია დანაშაულისათვის დამახასიათებელია ისეთი სპეციფიკური ფაქტორების ერთიანობა, როგორიცაა არასაკმარისი მეთვალყურეობა და სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე, აღზრდის არასწორი მეთოდები ოჯახში და შრომის სუსტი დისციპლინა წარმოებაში. ლექციაში აუცილებლად უნდა გათვალისწინოვდეს, რომ გატარებული პროფილაქტიკურ-კომპლექსური ღონისძიებები მაშინ მოგვცემენ სასურველ შედეგებს, თუ ისინი ერთი საერთო მიზნით ორგანულად იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ლოთობასთან ბრძოლის საკითხს, რადგან იგი ხშირად გვევლინება არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის წინაპირობად. ლექ-

ტორმა თვალსაჩინოებისათვის ფართოდ უნდა გამოიყენოს კონკრეტული ფაქტები, სასამართლო პრაქტიკის მასალები და სხვ.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებთან ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი არასრულწლოვანის პიროვნების შთაგონებისაკენ იმ მოზარდთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდისაკენ, ვინც, ამა თუ იმ მიზეზით, უკვე ჩაიდინა სამართალდარღვევა.

ლექტორმა, კონკრეტული მაგალითების გამოყენებით, სათანადოდ უნდა განმარტოს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევისა და უკონტროლობის თავიდან აცილების საქმეში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციათა, არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლების და სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ძირითადი უფლება-მოვალეობანი. ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების უპირველესი მიზანია არასრულწლოვანთა გამოსწორება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ხდება.

ლიტერატურა:

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“, თბ., 1984.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის, შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 26 მაისი.

ა. ფალიაშვილი — არასრულწლოვანთა დამნაშავეობა და კანონი, თბ., 1974.

ზ. წულაია — მოზარდთა დამნაშავეობა და მასთან ბრძოლა, თბ., 1974.

მ. ლეკვეიშვილი — არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბ., 1974.

Ленин В. И. Доклад о работе в деревне на VIII съезде РКП (б) 23 марта 1919 года, Полн. собр. соч., т. 38.

Калинин М. И. О молодежи, М., 1975.

Горбачев М. С. Политический доклад Центрального Комитета КПСС XXVII съезду Коммунистической Партии Советского Союза, М., Политиздат, 1986.

«Конституция СССР», М., Политиздат, 1985.

«Программа КПСС, М., Политиздат, 1986.

«Материалы XXVII съезда КПСС», М., 1986.

Постановление ЦК КПСС от 2 июля 1984 г. «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи», «Правда», 7 июля 1984 г.

Альхименко В. В., Козловский А. Б. Правовое воспитание молодого поколения, М., 1985.

Кравцов Б. Правовое воспитание граждан — программная задача КПСС, «Советская юстиция», № 15, 1986.

Мехов Ф. С. Жить без проступков и правонарушений, М., 1986.

Долгова А., Кожевникова А., Медведев А. Правовое воспитание несовершеннолетних, М., 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

მაფიის ისტორია

დიდი გულარი

რეალური ხელისუფლება და კანონიერი ხელისუფლება

თავისი კანდიდატების გამარჯვების უზრუნველყოფისათვის მაფიამ შემოიღო მეთოდი, რომელიც მოქმედებდა შეუფერხებლად. „პიჩოტების“ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მიდიან ამომრჩევლებთან და აძლევენ მათ ზუსტ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მისცენ ხმა. ვაი იმას, ვინც არ შეასრულებს ამ ინსტრუქციას —დაუწვავენ ბეღლებს, დაუხოცავენ საქონელს, ხოლო ნათესებს — გაუქელავენ. მიუხედავად ასეთი რეკომენდაციებისა, მათ მაინც მეთვალყურეობენ არჩევნების დღემდე და თავს ანებებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოვალეობას შეასრულებენ. კანდიდატი ასეთნაირად მოგვითხრობს ერთ ასეთ საინტერესო სცენაზე:

— საარჩევნო უბნების მახლობლად საეჭვო პირთა ჯგუფები ქმნიდნენ თავისებურ ღობურებს. ამომრჩეველს ჯერ შეაჩერებდნენ და სცემდნენ, შემდეგ კი პატიჟებდნენ „ჭიქის გადასახუბად“. საგულდაგულო გაჩხრეკის შემდეგ აძლევდნენ სამთავრობო პარტიის კანდიდატის ბიულეტენს და ეს საცოდავი, ორი არამზადის თანხლებით, მიდიოდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, რომელიც მეტად თავაზიანად ჩამოართმევდა მას საარჩევნო ბიულეტენს და ჩაუშვებდა ურნაში.

ახლა უკვე რეალური, ამასთან კანონიერი ხელისუფლება ეკუთვნოდა მაფიას, რომლის მადაც სულ უფრო იზრდებოდა; იგი ხალისით ავრცელებდა თავის ძალაუფლებას ქალაქზე, მითუმეტეს, რომ სოფლებიდან, როგორც ირკვეოდა, უკვე ვეღარაფერს წაიღებდნენ. მაფიამ ჯერ პალერმოდან დაიწყო, სადაც უკვე ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული, შემდეგ კი თავისი ძალაუფლება გაავრცელა ტრაპანზე, აგრიჯენტოზე და კალტანისეტზე. საინტერესოა, რომ მესინი, კატანია, სირაკუზი და საერთოდ, კუნძულის აღმოსავლეთის ყველა ქალაქი წინააღმდეგობას უწევდა მის შეღწევას.

ეს მოვლენა მაფიის ყველა სპეციალისტის გაოცებას იწვევდა და ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მისი ზუსტად ახსნა.

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ, — წერს ჟან სიუზინი, — სხვადასხვა დამპყრობნი მკვიდრდებოდნენ იმ რაიონში, სადაც შეიჭრებოდნენ და ამდაგვარად მოსახლეობას შორის ავრცელებდნენ ვარიანტებს კულტურისას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ ეროზიას?“

სრულიად შესაძლებელია, და ვიდრე არ შემოგვთავაზებენ უფრო დამაჯერებელ მოსაზრებას, ეს საკითხი კვლავინდებურად დგას.

თუმცა აღმოსავლეთში მაფიის დაწინაურება დამუხრუჭდა, იგი სხვაგან ყველგან წარმატებით ავრცელებდა თავის ძლევამოსილებას. 1915 წელს იტალიის ომში ჩაბმას, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეშალა მაფიის ზრდისათვის და დაემუხრუჭებინა მისი ძლიერება, პირიქით, მხოლოდ განამტკიცა იგი. რადგან სახელმწიფოს სხვა პრობლემები ჰქონდა, რომლებიც ზრუნვას საჭიროებდნენ, ამან მაფიას შეუქმნა სრული თავისუფლება, რითაც ურცხვად სარგებლობდა კიდეც. რეკვიზიციებმა და ვაჭრობის უკუგებამ მაფია უზრუნველყო შემოსავლის ახალი და მოულოდნელი წყაროებით .რაც შეეხებათ ახალგაზრდა „პიჩოტებს“, რომლებსაც იარაღი კი არა, სამხედრო ფორმა და სამხედრო დისციპლინა ეზიზღებოდათ, ისინი ათასობით დეზერტირობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ დონ ვიტო იზრუნებდა მათზე. და მართლაც, ეს უკანასკნელი, როგორც წინდახედული ბელადი, არალეგალურად აგზავნიდა მათ შეერთებულ შტა-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987, № 2, 3, 4.

ტებში, სადაც უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდათ „შავი ხელის“ რიგებში შესვლა.

პირველი ბზარები

თუმცა, როცა ომი დამთავრდა და ხელსაყრელი საქმეებიც გაქრა, დონ ვიტო სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ომის შემდეგ იტალიაში შეიქმნა ბუნდოვანი ვითარება, რაც სრულ საფრთხეს უქადდა მაფიას. მის რიგებს უცაბედად შეემატა მრავალი ყოფილი ფრონტელი, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ომის საშინელებანი. ისინი დაბრუნდნენ მრავალი ახალი იდეით, მთავარი კი ის იყო, რომ ძლიერება სწყუროდათ.

დონ ვიტომ სწრაფად შეიგნო ამ ახალი უდისციპლინო და სხვაგვარად მოაზროვნე ტალღის საშიროება „ძველი მაფიისათვის“, რომელსაც კვლავინდებურად იგი მეთაურობდა. მაგრამ დონ ვიტო ამაოდ ცდილობდა თავისი ავტორიტეტის გამოყენებას, რათა დაეწყნარებინა თავისი ახალგაზრდა მგლები; მან ვერ შეძლო მათი შეკავება. ახალბედები ანგარიშს არ უწევდნენ იმ იერარქიას, რომელიც, მათი აზრით, მოძველდა, არ იცავდნენ სიფრთხილის ტრადიციულ მითითებებს, რომლებსაც დღემდე იცავდნენ უფროსები. პირიქით, დაარღვიეს უსტყვო პაქტი, რომელიც იოლად არ დამყარებულა რომსა და „პატივცემულ საზოგადოებას“ შორის და კუნძულს ისე შეესივნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანას. მალე მათ ექსცესებზეც ალაპარაკდნენ. ეს იყო სერიოზული შეცდომა, რისთვისაც მათ იტალიის ახალმა გამგებელმა მუსოლინიმ, რომელმაც ხელისუფლება 1922 წელს ჩაიგდო ხელში, მკაცრად აგებინა პასუხი.

თავდაპირველად, 1924 წლამდე, დუჩე, მიუხედავად თავისი წარსული სოციალისტობისა, როგორც ირკვევა, მაფიის მიმართ განსაკუთრებულ ანტიპათიას არ განიცდიდა. ცხადია, იგი მაფიას აქამდე ცუდად იცნობდა ან დრო არ ჰქონდა, რათა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მისთვის. მისი სიძულვილი მაფიისადმი როგორც ჩანს, წარმოიშვა სტიქიურად პიანა-დეი-გრეჩში. სწორედ აქ შეელახა მას ღირსება, რისთვისაც დაუყოვნებლად გამოუცხადა ომი „პატივცემულ საზოგადოებას“.

ინციდენტი პიანა-დეი-გრეჩში

ეს არის ფართოდ გახმაურებული ინციდენტი, რომელზეც ხშირად ლაპარაკობდნენ. რომში ლაშქრობიდან ორი წლის შემდეგ მუსოლინიმ სიცილიაში მოგზაურობა გადაწყვიტა. იგი მარტო როდი გაემგზავრა, მას თან ახლდა მრავალრიცხოვანი ოფიცრობა და სამოქალაქო პოლიციელთა და კარაბინერთა მთელი კოჰორტა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მისი დაცვა. მუსოლინის პიანა-დეი-გრეჩში ჩამოსვლის დროს, ამ ქალაქის მერმა დონ ჩიჩო კუჩამ, რომელიც, რა თქმა უნდა, მაფიის წევრი იყო, მისალმებისას თავი ვერ შეიკავა და შესძახა:

— რა საჭიროა ამდენი პოლიციელი? როცა მე თქვენს გვერდით ვარ, თქვენს მოწყალებას საფრთხე არ ემუქრება!

ეს იყო სრული სიმართლე, მაგრამ დუჩეს არ მოეწონა. ცხადია, მას, სრულიად საფუძვლიანადაც, მიიჩნდა, რომ იტალიის სახელმწიფოს თავკაცის უსაფრთხოება არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მაფიის კეთილ ნებაზე. ამას გარდა, მას უნდა ეფიქრა, რომ ეს ორი ძალა — მაფია და ფაშიზმი — ერთმანეთის პირისპირ უფრო აღმოჩნდებოდნენ, კიდრე საერთო ენას მოძებნიდნენ, და რომ, უკეთესი იქნებოდა, თუ მაფიას დაუყოვნებლივ მოიშორებდა თავიდან.

რომში დაბრუნებისთანავე პიანა-დეი-გრეჩის მერის დაპატიმრების ბრძანება გასცა. დეპუტატებისადმი მიმართვაში მან თქვა:

— ბატონებო, დროა უკვე, რომ გითხრათ თუ რას წარმოადგენს მაფია, მაგრამ უწინარესად, მინდა ამ თავზე ხელაღებულთა საკრებულოს ჩამოვაშორო ყოველგვარი პოეტურობა და მიმზიდველობა. დაე, ნუღარასოდეს ილაპარაკებენ მაფიის კეთილშობილებასა და რაინდულობაზე.

შემდეგ მან პოლიციელი ჩეზარე მორი პალერმოს პრეფექტად დანიშნა და აღუურვა იგი განუსაზღვრელი უფლებამოსილებით. მუსოლინის ასეთი მოქმედება მის ფარულ აზრსაც შეიცავდა. მან იცოდა, რომ მაფიის განადგურება, ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლას ნიშნავდა. ცალკერძ, შეძლებდა მსხვილ მიწათმფლობელთა გადაბირებას, რომლებიც გაბედნიერდებოდნენ, რადგან თავს დაიძვრენდნენ მაფიის თავკაცებზე სამარცხვინო დამოკიდებულებისაგან, და რაც მთავარია, იგი წესრიგისათვის ზრუნავდა და უნდოდა, რომ მსხვილ კონსერვატორულ პარტიას საბოლოოდ დაეწესებინა თავისი პრივილეგია. ცალკერძ, მან იცოდა, რომ მორი თავის სრულ თავისუფლებას, ამავე დროს, ლიბერალური ოპოზიციის უმეთაუროდ დატოვებისთვისაც გამოიყენებდა.

ძილქუში

მორიმ საშინელი რეპრესიები განახორციელა. იტალიის ხელისუფლებამ პირველად შეუტია მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიას, და ამას აკეთებდა თვით მაფიის იარაღით, ესე იგი, ცინიკურად, სასტიკად, ისე, რომ ანგარიშს არ უწევდა კანონს. მორიმ ჯარების, ფაშისტური პოლიციისა და კარაბინერთა გამოყენებით განახორციელა ურიცხვი ალყის შემორტყმა. ცხადია, დამნაშავეებთან ერთად ააატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულოებსაც, მაგრამ ყველას ასამართლებდნენ და პალერმოს, შაკისა და ტერმინი-იმერესეს მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე წარადგინეს ასობით ბრალდებული. აღიარების მიღწევისა და წრიული თავდებობის დაშლისათვის ფაშისტური პოლიცია მათ წამებასაც არ ერიდებოდა. იგი არც თუ სამხილთა შეთხზვას თაკილობდა, თვით დონ ვიტოც ვერ დაუსხლტა მორის ბადეს. როცა მას შეთხზულ სამხილთა საფუძველზე სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მოსამართლეებს ესღა უთხრა:

— ბატონებო, თქვენ არ შეგიძლიათ დამიმტკიცოთ ჩემს მიერ ჩადენილი მრავალრიცხოვანი რეალური დანაშაულობანი და იძულებული გახდით, რათა გაგესამართლებინეთ იმ ერრადერთი დანაშაულისათვი, რომელიც მე არ ჩამიდენია.

მაფიის უმაღლეს ხელმძღვანელს ისე უკრეს თავი ციხეში, როგორც ჩვეულებრივ ჭურდს, ათასობით „პიჩოტი“ გააგზავნეს კატორღაში, ხოლო ხელმძღვანელთა უმრავლესობას კუნძული ლიპარი მიუჩინეს. თითქოს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მორიმ წარმატებით შეასრულა თავისი მისია და, რომ ასეთი ბართლომეს ღამის შემდეგ მაფია უკვე ვეღარასოდეს გაიმართებოდა წელში. მაგრამ საქმე ასე არ იყო, რადგან მთავარი — სულისკვეთება მაფიისა — ვერ გატეხეს. მაფია სისხლისაგან დაცალეს, მაგრამ ვერ მოკლეს. შემგუებლობის თავისი უჩვეულო უნარის წყალობით მან ისე დაიჭირა თავი, თითქოს არსებობა შეწყვეტაო. იგი მიიმალა, მიიყუჟა, ძილქუშს მიეცა, ამავე დროს კი ძალებს იკრებდა, ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა კვლავ აღორძინებულიყო. თუმცა ასეთი განცხრომის უფლება ჰქონდა, რადგან ოკეანის გაღმა მას უკვე ჰყავდა უჩვეულოდ ცხოველუნარიანი და მოწიფული შვილი, რომელიც საჭირო ჟამს მოვიდა მის დასახმარებლად.

„შავი ხელიდან“ „კოზა ნოსტრამდე“

კრიმინალისტთა უმრავლესობას ამერიკაში მაფიის დაარსების თარიღად 1860 წელი მიაჩნია. ასეთი სიზუსტე, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ შეერთებულ შტატებში დაახლოებით 60-იან წლებში ჩამოვიდა იტალიელ ემიგრანტთა პირველი მსხვილი პარტია. მათ შორის სიცილიელიც მრავლად იყო. თავისთავად ცხადია, რომ ზოგიერთი მათგანი მაფიის წევრი იქნებოდა, მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ მშობლიურ მიწას მოშორებული ეს ხალხი მაშინვე ერთ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ისინი ჯერ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგუებოდნენ ახალ გარემოს და სწორედ ამის საფუძველზე ჩასახულიყო ამერიკული მაფია. ცხადია, იგი შეინარჩუნებს სიცილიური წარმოშობის ნიშნდობლივ სულისკვეთებასა და მეთოდებს, მაგრამ ამასთანავე ექნება განსაკუთრებულობა და თვითმყოფადობაც.

უმეტეს შემთხვევაში, ეს სამხრეთ იტალიელები ამერიკაში გარბოდნენ სიღარიბის, შიმშილის ან უკეთესი ცხოვრების იმედის გამო. მაგრამ, რაც მგზავრობის დამთავრების შემდეგ ნახეს, სრულად როდი შეესაბამებოდა მათ ოცნებებს. თითქმის ყველა კათოლიკე, გლეხი და გაუნათლებელია, ხოლო ის ქვეყანა, სადაც ჩამოვიდნენ, თითქმის მთლიანად პროტესტანტულია და, თუმცა, ჯერ თავისი ტრადიციები არ გაიჩნია, მაგრამ მთლიანად უარყოფს ჩამოსულთა ტრადიციებს. მთავარი კი ის არის, რომ ისინი ყველაზე ბოლოს ჩამოვიდნენ, კარგი ადგილები უკვე დაკავებულია, ხოლო ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებმაც მათ დაასწრეს, — ირლანდიელები, ებრაელები, ბერძნები და სლავები, თავგამოდებულები იცავდნენ თავიანთ პირველობას, რაც იტალიელებს ამოცანას ურთულებდა.

იტალიელები თავდაპირველად დამცირებულნი და იმედგაცრუებულები იყვნენ, მაგრამ მალე ერთი ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ, გაერთიანდნენ ,შეკავშირდნენ, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ერთიანობა — ეს ძალაა, და ყოველ ქალაქში შექმნეს „პატარა იტალია“, სადაც რის ვაი-ვაგლახით ცდილობდნენ წინანდებური ცხოვრების აღდგენას. ამრიგად, მას შემდეგ, რაც სიცილიელები გაერთიანდნენ სიცილიელებად, ნეაპოლიტანელები ნეაპოლიტანელებად, ისინი უკვე წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას მტრულ გარემოცვას.

ამასობაში თავისი ვაჟკაცობის, შეუპოვარი შრომის, ცხოვრების ცოდნისა და თავისდაძვრენის უნარის წყალობით იტალიურმა კოლონიამ არა მარტო გაძლო, არამედ თავისი ადგილი მოიპოვა მზის ქვეშ. პარალელურად ამისა, სწორედ ასეთ ხელსაყრელ პირობებში ჩაისახა მაფია. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ამერიკული მაფია იტალიურმა კოლონიამ შექმნაო, მაგრამ ის კი უნდა ვაღიაროთ, რომ მან გარკვეულწილად აკვნობა გაუწია. ამ აკვნის, ასეთი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველი გარემოს (ზოგჯერ კი თანამზრახველობის) გარეშე, სავსებით შესაძლებელია, რომ მაფია ვერასოდეს ნახავდა ამერიკის დღის სინათლეს.

მაფიის პირველი პიონერების ჩამოსვლიდან 30 წლის შემდეგ (მაშასადამე, საჭირო გახდა მთელი თაობა, რათა იგი აღდგენილიყო და გზა გაეკვლია), 1890 წელს, ისტორიკოსები გვაძლევენ ცნობას სიცილიელთა ბანდის თაობაზე ახალორლეანში, რომლის ნავსადგურშიც ყველაფერს ეს ბანდა განაგებდა. არც ერთ სატეირთო ხომალდზე დატვირთვა-გადმოტვირთვა არ შეიძლებოდა ამ ბანდის ნებართვის გარეშე, სხვანაირად რომ ვთქვათ, „უ პიცცუს“ გადახდის გარეშე. თითქმის ამავე დროს გამოჩნდა სახელგანთქმული „შავი ხელი“, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ იტალიურ კოლონიაში მძვინვარებს.

„ამ სახელწოდების მიზეზი, — განმარტავს პიტერ მაასი, — იყო უხეშად დახატული შავი ხელი იმ წერილების ქვეშ, რომლებსაც უგზავნიდნენ კონკრეტულ მსხვერპლს და შვილების მოკვლის ან დამახინჯების მუქარით ითხოვდნენ ფულს“.

გამოძალვის ამ მეთოდს იყენებდნენ არა მარტო მდიდრების მიმართ, მაგალითად, სახელოვან კარუზოს 5 ათასი დოლარი მოსთხოვეს, არამედ ყველაზე ღარიბების მიმართაც. მუშა იქნებოდა თუ ბოსტნეულით მოვაჭრე, მოვალე იყო ყოველკვირა ერთი დოლარი მიეცა მორიგე მაფიის წევრისათვის. ვინც ამას არ გააკეთებდა, დიდ რისკს გასწევდა — მის ფარდულს ბომბით ააფეთქებდნენ, ხოლო თვით მას სადმე კუთხეში დანას გაუყრიდნენ. ამ დროს ამერიკელთა დიდი უმრავლესობა და თვით პოლიციაც კი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებენ. ისინი თვლიან, რომ ვიდრე ეს მეთოდები მხოლოდ „თავისიანებს“ ეხებათ, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

ამასობაში ერთმა ინციდენტმა ყველაფერი შეცვალა და სიტყვები „მაფია“ და „შავი ხელი“ პირველად გამოჩნდა გაზეთების პირველ გვერდებზე. 1890 წლის 18 ოქტომბერს ახალი ორლეანის პოლიციის უფროსი დეივ ჰენესი მკვდარი იპოვეს. დააპატიმრეს მრავალი ეჭვმიტანილი, მაგრამ ამერიკაშიც მოქმედებს წრიული თავდებობის კანონი. სამხილთა უკმარობის გამო ყველა გაამართლეს. ახალი ორლეანის მოსახლეობის გულისწყრომამ ზღვარს მიაღწია, ღამით ციხეში შეიჭრნენ და პატიმრები ლინჩის კანონით გაასამართლეს. ამით იტალიელები მეტად აღშფოთდნენ როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში.

იუიდი ნებისმიერ ადამიანს

ამ აურზაურის დროს ჩამოვიდა დონ ვიტო, რომელმაც დაამყარა კონტაქტები თავის თანამოძმეებთან. მეგობრული გასაუბრების შემდეგ, ისინი სასტიკად გააკრიტიკა. პირველ რიგში, მკაცრად უსაყვედურა მათ პოლიციელის მოკვლისათვის. მან მრავალგზის გაუმეორა მათ, რომ მაფიის ერთ-ერთი ძირითადი კანონია — არასოდეს დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას. თუ გსურთ მისი ნეიტრალიზება, ან მისი გამოყენება, ყველაზე უკეთესი იარაღი, ერთადერთი იარაღი —ეს არის ფული. იყიდი ნებისმიერ ადამიანს, პოლიციელი იქნება იგი, დეპუტატი თუ სენატორი. მთელი საქმე ფასშია. ცხადია, ფულსაც მოვნა უნდა. დონ ვიტო მოუწოდებს მათ, რომ აქაც დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ: „ნაღები ისე უნდა მოხსნა,— ამბობს ის,— რომ ქოთანი არ გატეხო“.

ცნობილია, რომ დონ ვიტო სამ წელს დარჩა შეერთებულ შტატებში და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს. მსგავსად იმისა, თუ როგორ შექმნა სიცილიაში თანამედროვე მაფია, დონ ვიტომ მოახდინა ბრწყინვალე ამერიკელი შთამომავლის რეორგანიზაცია და სრული გარდაქმნა. შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ თავდაცვის ძველი სიცილიური სისტემა შეუფერხებლად მოქმედებს, თავის ახალ მოსწავლეებს ასწავლა ამ სისტემის ადათწესები. ამის შემდეგ იგი შეეცადა განემარტა მათთვის თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია იერარქიასა და დისციპლინას. როცა იგი 1904 წელს გემით გაემგზავრა პალერმოში, „შავ ხელს“ შეეძლო ეამაყა, რომ იგი დაეწია, თუ არ გაუსწრო, ამერიკის სხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებს — ირლანდიელთა და ებრაელთა ბანდებს, რომლებიც, სხვათა შორის, მასზე დიდი ხნით ადრე შეიქმნენ.

დონ ვიტოს გაკვეთილებმა მალე გამოიღო ნაყოფი. მაფიამ სულ ახალ-ახალი ქალაქები და შტატები მოიცვა და ისე გაიდღაბნა, როგორც ზეთის ლაქა. რეკეტმა სულ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო და გასცდა კიდეც იტალიური კოლონიის საზღვრებს. ამით შეწუხდა საზოგადოებრიობა და პოლიციაც იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში. სწორედ ამ პერიოდში დაევალა ნიუ-იორკის პრეფექტს ლეიტენანტ ჯოზეფ პეტროსინოს, რათა წერტილი დაესვა მაფიის მეტად სწრაფი ზრდისათვის, რაც სულ უფრო მეტისმეტად გახდა თვალში საცემი. პეტროსინო წარმოშობით იტალიელი იყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან შეაძლებინა ჩაწვდომოდა აზროვნების ხასიათს მისი მოწინააღმდეგისა, რომელსაც იგი არ ინდობდა. რამდენიმე თვის მანძილზე დაპატიმრა მაფიის წევრთა დიდი ნაწილი, უფრო მეტი კი იტალიაში გაამგზავრა. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, „შავი ხელი“ კვლავ იფურჩქნებოდა, და იმისათვის, რომ აღეკვეთა უკანონო ემიგრაცია, პეტროსინო პალერმოში გაემგზავრა. თუ რა მოხდა შემდეგ, ეს უკვე ვიცით.

მიუხედავად თავისი ლეიტენანტის სიკვდილისა, შესაძლოა, ამ მკვლელობის გამოც, ამერიკის პოლიცია აგრძელებდა „შავი ხელის“ დევნას და, როგორც ჩანს, გარკვეული წარმატებითაც, რადგან 1910-დან 1920 წლამდე რეკეტი აშკარად შემცირდა.

მაგრამ ერთმა ახალმა ფაქტორმა ყველაფერი შეცვალა და მაფიას დაუბრუნა ძლიერება და აყვავება. 1920 წლის 17 იანვარს პროტესტანტულმა ეკლესიამ მიაღწია, რათა კონგრესს შესწორებები შეეტანა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, კერძოდ, აიკრძალა ალკოჰოლის წარმოება და გაყიდვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კონტრაბანდის ოსტატებისათვის გაიხსნა ბაზარი — მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი და ყველაზე მდიდარი ქვეყნის ბაზარი. ამერიკის აყვავება მირაჟი როდი იყო. ქვეყნის ეკონომიკა არნახულად ვითარდებოდა. მისი შემოსავალი ათი წლის მანძილზე სამჯერ გაიზარდა.

ქალაქები მხრებს შლიდნენ დაუჯერებელ სისწრაფით. დოლარი საერთაშორისო ვალუტა გახდა, ხოლო ნიუ-იორკის საფინანსო ბირჟა უკვე ლონდონის ბირჟას ეჯიბრება.

მაგრამ, ამერიკა 20-იან წლებში ჯერ კიდევ რჩებოდა უზარმაზარ მშენებლობად, სადაც სრულ უწესრიგობაში გააქტიურდა საზოგადოების ფორმირება. აქ თითოეულს შეეძლო ჰქონოდა ქონების დაგროვების იმედი. ყველაფერი ფხიანობაზე იყო დამოკიდებული. ყველაფერია შესაძლებელი. ასე მიაჩნდათ მაფიის წევრებსაც, რომლებიც უკვე შეეზარდნენ ამ საზოგადოებას. მათ ყველა შესაძლებლობა გააჩნდათ, რათა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახათ მშრალი კანონიდან. არც ერთი ეთნიკური ჯგუფი არ იყო ასე მომზადებული მთელ ქვეყანაში სოკოებივით მომრავლებული იტალიელების სამეკიტნოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. იტალიელებმა, უმეტესად გლეხური წარმოშობის, კარგად იცოდნენ სპირტიანი სასმელების დამზადება და მომრავლდა პატარა საოჯახო „სპირტის სახდელები“. მაფიას ისღა რჩებოდა, რომ კონტროლი გაეწია ამ კუსტარული წარმოებისათვის და მიეცა მისთვის ინდუსტრიული მასშტაბი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დაჯილდოება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის **„პროკურატურის საპატიო მუშაკის“** სამკერდე ნიშნით დაჯილდოდა საქართველოს სსრ პროკურატურის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვაჟა მიხეილის ძე შენგელია.**

გასწორება

ზუახევის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩეულია **მურმან იურის ძე ქამადაძე** და არა ქადაგიძე, როგორც ეს, სამწუხაროდ, დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მე-4 ნომერში. ამისათვის რედაქცია ბოდიშს უხდის პატივცემულ მურმან ქ-მადაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული შეკითხვების პასუხად მკითხველებს განვუმარტავთ, რომ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ლიმიტირებული არ არის და მისი გამოწერა შეიძლება შეუზღუდავად წლის ნებისმიერ დროს.

ერთი ნომრის ფასია 60 კაპ.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1987 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ

ინდექსი 76185

5 30/194